


რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი



თბილისის და პრაღის უნივერსიტეტების თანამშრომლობით



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

რელიგიური დისკრიმინაციისა და
კონსტიტუციური სექულარიზმის
კვლევა საქართველოში



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

თბილისი, 2014



GEORGIA

EAST · WEST
MANAGEMENT
INSTITUTE



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

TOLERANCE & DIVERSITY INSTITUTE

კვლევა მომზადდა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში.

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI-ის შეხედულებებს.

- გვერდები:** სამართლებრივი ანალიზი – ეკატერინე ლომთათიძე
მედიის მონიტორინგი – მაია წიკლაური
- მასპირტი:** ბექა მინდიაშვილი
- პროექტის ხელმძღვანელი:** ეკატერინე ჭითანავა
- რედაქტორი:** ლია შარვაშიძე
- თარგმანი:** ეკატერინე ლომთათიძე
სოფიო ტყემალაძე
- დიზაინი:** ნატალია ლლონტი
- ყდა:** პაულ კლეე,
ცეცხლი სავსე მთვარის დროს, 1933

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ტირაჟი: 400

ბეჭდვა: შპს „უნივერსალი“

ISBN: 978-9941-0-6951-2

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

სექულარობისა და დისკრიმინაციის შესახებ	5
კვლევის მიზანი	6
კვლევის მეთოდოლოგია	7

პირველი ნიშლი

1. სექულარიზმი და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში	11
1.1. კონსტიტუციური დებულებები და მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური მდგომარეობა	12
1.2. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	14
2. პრეფერენციული მოპყრობა საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ	18
2.1. კონსტიტუციური შეთანხმების ანალიზი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა	19
2.2. სამხედრო ვალდებულება	24
2.3. საგადასახადო შეღავათები	25
2.4. საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საკულტო ნაგებობების დაბრუნება	30
2.5. მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიები საჯარო განათლების სფეროში	33
2.6. სახელმწიფო ქონების პრივატიზება	36
3. საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით	39
3.1. საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება	39
3.2. საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია	41
3.2.1. სინაგოგის საქმე	43
3.2.2. ლათინ კათოლიკეთა ეკლესიის საქმე	45
4. რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევები და მართლმსაჯულების აღსრულება	50

4.1. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის მიერ აღრიცხული სამართალდარღვევები და მათი სამართლებრივი შედეგები..... 51

4.2. მუსლიმთა თემის წინააღმდეგ 2012-2013 წელს ჩადენილი სამართალდარღვევები 57

4.3. დევნის დაწყებისა და მსჯავრდადების სტატისტიკის ანალიზი საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და მთავარი პროკურატურის ინფორმაციის საფუძველზე..... 62

4.4. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი..... 66

5. საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვა 69

5.1. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია: თერჯოლის შემთხვევა 70

5.2. მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ორგანიზაციის მიერ ნაგებობის მშენებლობა მანგლისში..... 72

5.3. ლათინ კათოლიკეთა ეკლესია რუსთავში 73

5.4. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის სამეფო დარბაზების მშენებლობა ხაშურსა და სურამში..... 74

6. რელიგიური ინსტიტუტების ავტონომიის საკითხი 76

6.1. საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა და მართვა 77

7. რეკომენდაციები ხელისუფლებისადმი..... 78

მეორე ნაწილი

1. რელიგიის თემაზე საჯარო განცხადებების მიმოხილვა..... 81

1.1. 17 მაისის მოვლენები..... 82

1.2. სოფელ სამთაწყაროში მიმდინარე მოვლენები 87

1.3. მინარეთის დემონტაჟი სოფელ ჭელაში..... 90

1.4. ინციდენტი „ხანუქას“ დღესასწაულზე..... 94

1.5. თვითმმართველობის კოდექსის მიღება..... 95

1.6. პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლე 100

1.7. მთავრობის ინიციატივა „ოთხი კონფესიის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით 102

1.8. „ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის“ განხილვა..... 103

დასკვნა 113

სეკულარობისა და დისკრიმინაციის შესახებ

შეუწყნარებლობა ქართველი საზოგადოების ფუნდამენტური პრობლემაა. ის არის ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად ახერხებენ ან ვერ ახერხებენ საქართველოს მოქალაქეები თანამედროვე საზოგადოებად ჩამოყალიბებას. თანამედროვე საზოგადოება ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს ეფუძნება, ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი თავის გამოხატვის და საკუთარი პიროვნების განვითარების საშუალება. თანამედროვე საზოგადოება სწორედ ასეთი, თავისუფალი ადამიანების ერთობლიობაა.

შეუწყნარებლობას, ერთი მხრივ, არქაული, პრემოდერნული ცნობიერება კვებავს, რომელიც ნებისმიერ განსხვავებულ ადამიანში უცხოა და მტერს ხედავს, მეორე მხრივ კი – ტოტალიტარული მემკვიდრეობა, რომელიც საზოგადოებას უნიფორმულად, ერთსახოვანად წარმოიდგენდა. უმრავლესობა, რომელიც ყოველთვის მართალი სწორედ იმიტომ იყო, რომ უმრავლესობა იყო, დაწესებული ნორმიდან ნებისმიერ გადახვევას პირდაპირ თუ ირიბად დანაშაულად აცხადებდა. საქართველოში შეუწყნარებლობა ძალადობის, ჩაგვრის და აქედან გამომდინარე კონფლიქტების უშუალო წყაროა.

ტოლერანტობის პრინციპი ადამიანების თანასწორობაა. ის არ აუქმებს განსხვავებებს ადამიანებს შორის, არამედ ამ განსხვავებას ლეგიტიმურად აღიარებს. საქართველოს კონსტიტუცია ამ მხრივ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე წინაა. ის აღიარებს ადამიანების თანასწორობის უნივერსალურ პრინციპებს, რომლებიც საქართველოში ირღვევა საკანონმდებლო დონეზე, ყოველდღიურ პრაქტიკასა და საჯარო დისკურსში.

წინამდებარე კვლევა შეუწყნარებლობის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს ეძღვნება. პირველი ნაწილი იკვლევს, რამდენად არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სხვა აღმსარებლობებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებული და იძლევა რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება აღმოვფხვრათ საქართველოს არამართლმადიდებელ მოქალაქეთა უფლებების აქედან გამომდინარე შელახვა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ სახელმწიფო თვალსაზრისითაც. თანამედროვე სახელმწიფო, სხვათა შორის, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპს ეფუძნება და შესაბამისად, სახელმწიფოს მკაცრად მიჯნავს ეკლესიისაგან. ბოლო წლებში ვხედავთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სეკულარულ საფუძვლებს მართლმადიდებელი ეკლესიის მზარდი გავლენის ფონზე სახელმწიფოს ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების კლერიკალიზაციით ექმნება საფრთხე, როგორცაა, მაგალითად, განათლება, თავდაცვა, საჯარო ადმინისტრაცია.

კვლევის მეორე ნაწილი, რომელიც საჯარო დისკურსის ჯერ მხოლოდ ზედაპირს ეხება, იკვლევს პოლიტიკოსთა და საჯარო პირთა რიტორიკას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები, სასულიერო პირები, მოქალაქეები, ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპებს აღიარებენ, ისინი გარკვეულ დათქმებს აკეთებენ, რომლებიც საბოლოოდ ამ პრინციპების ნიველირებას ახდენს და პირდაპირ თუ ირიბად ძალადობის ლეგიტიმაციას იძლევა.

ზაალ ანდრონიკაშვილი

კვლევის მიზანი

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია,¹ ისევე როგორც ქვემდგომი კანონმდებლობა,² ერთმნიშვნელოვნად აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასა და თანასწორობას განურჩევლად რელიგიისა.

1 საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995, მუხლი 9, პუნქტი 1, მუხლი 14, მუხლი 19, პუნქტი 1.

2 მაგალითისთვის იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22 ივლისი, 1999, მუხლი 53, ნაწილი 3¹; საქართველოს შრომის კოდექსი, 12 დეკემბერი, 2010, მუხლი 2, ნაწილი 3,4; საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 2 მაისი, 2014.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს სხვადასხვა რელიგიისადმი თანასწორ მოპყრობასა და სეკულარულ სივრცეს მთელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, ბოლო დროს ჩატარებული კვლევები და განვითარებული მოვლენები ადასტურებს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის რადიკალურ ზრდას მოსახლეობაზე, რაც მისდამი პრეფერენციულ მოპყრობას განაპირობებს რელიგიური გაერთიანებების ფუნქციონირების ყველა სფეროში.

მეორე მხრივ, არცთუ იშვიათია სხვა რელიგიების ან უმცირესობებისადმი მართლმადიდებელი უმრავლესობის შეუწყნარებლობის აქტები, რაც უმეტესწილად ეფექტური რეაგირების გარეშე რჩება.³

რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს: საკანონმდებლო ჩარჩოს, შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე სახელმწიფოს რეაგირების, რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობებთან ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და სტრუქტურების დამოკიდებულების, პოლიტიკოსების, სახელმწიფო და საჯარო მოხელეების რელიგიის კონტექსტში გამოვლენილი პოზიციების კრიტიკულ ანალიზს; ამ კუთხით არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას და უფრო მყარ გარანტიებს შექმნის საქართველოს სეკულარული განვითარებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის გამოწვევი ქვეყნის მოდელების იდენტიფიცირებისა და მათზე სათანადო რეაგირების მექანიზმების შემუშავებისთვის ჩაიწერა და დამუშავდა ინტერვიუები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან. კვლევის ავტორებმა გააანალიზეს საკანონმდებლო აქტები; გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია სასამართლოებიდან, შინაგან საქმეთა

³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, გვ. 293-317.

სამინისტროდან, მთავარი პროკურატურიდან, საქართველოს მთავრობიდან და სხვა შესაბამისი უწყებებიდან. ამასთან, გაანალიზდა პოლიტიკოსების, სახელმწიფო და საჯარო მოხელეების განცხადებები, რომლებიც მედიაში გამოქვეყნდა.

კვლევის პირველი ნაწილისთვის ჩატარდა ინტერვიუები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან: ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის ხუცეს შმაგი ჭანკვეტაძესთან, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის წარმომადგენელ ლელა ხონელიძესთან, „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე ტარიელ ნაკაიძესთან, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის (ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია) მღვდელ აკაკი ჭელიძესთან, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიცთა ორგანიზაციის სასულიერო პირებთან, ბორის ჭარაიასა და ალექსანდრე შვარცთან, იეჰოვას მოწმეების ქრისტიანული ორგანიზაციის წარმომადგენელ იურისტ მანუჩარ ციმინტიასა და ასირიულ-ქალდეური კათოლიკე ეკლესიის მოძღვართან, ბენიამინ ბეთიადეგართან.

ამ ინტერვიუებზე დაყრდნობით და რელიგიური უმცირესობების მიერ მოწოდებული მასალების (სასამართლო გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტები, საჯარო მოხელეებთან მიმოწერა, ა.შ.) საფუძველზე კანონმდებლობის ის სფეროები გამოვლინდა, რომლებიც, სავარაუდოდ, უშვებს საჯარო მოხელთა მიერ თვითნებური და დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღებას და არ უზრუნველყოფს რელიგიური უმცირესობების ჯეროვან დაცვას ძალადობის ან უთანასწორო მოპყრობისგან.

შესაბამისი კანონმდებლობის შემდგომი ანალიზისთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გაეგზავნათ საქართველოს ყველა საერთო სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარ პროკურატურას, საქართველოს მთავრობასა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, აგრეთვე, 70-მდე საჯარო სკოლას საქართველოში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და სხვა ორგანოებს.

მოპოვებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა, გამოვყოთ საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო პრაქტიკის ის სფეროე-

ბი, სადაც რელიგიური უმცირესობები დაუსაბუთებელ დაბრკოლებებს აწყდებიან, რასაც ისინი განსხვავებულ და დისკრიმინაციულ მოპყრობად აღიქვამენ. ამგვარია:

- საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზების სფეროში რელიგიური გაერთიანებების დისკრიმინაცია;
- საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეულ სადავო ეკლესიებზე საკუთრების უფლების დადგენა;
- რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სამართლებრივი დევნის დაბალი მაჩვენებელი და ეფექტური რეაგირების ნაკლებობა;
- მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული წარმოება;
- მართლმადიდებლური რელიგიის ინდოქტრინაცია საჯარო სკოლებში;
- ჩარევა რელიგიური ინსტიტუტების ავტონომიაში;
- სავადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პრივილეგიები.

შესაბამისად, სამართლებრივი კვლევა წარმოდგენილია აღნიშნულ საკითხებზე კანონმდებლობისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის ანალიზის სახით, რაც ეფექტური რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცების თვალსაზრისით.

კვლევის მეორე, მედიის ნაწილში მიმოხილულია 2013-სა და 2014 წლის პირველ ნახევარში პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ რელიგიური ნიშნით ნეიტრალურობის დარღვევისა და შეუწყნარებელი რიტორიკის გამოყენების შემთხვევები.

კვლევის ობიექტები იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები; ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის წევრები; პარლამენტარები; სხვა საჯარო უწყებების გადაწყვეტილებების მიმღები პირები, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებები იმ მედიასაშუალებებში, რომლებიც ფოკუსირებულია რელიგიური საკითხების, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის პრობლემატურ ასპექტებზე. ესენია: ვებ-გამოცემები „ნეტგაზეთი“ და „ტაბულა“. ასევე მონიტორინგი განხორციელდა საერთო-ეროვნული დაფარვის მქონე არხის, „რუსთავი 2“-ის ტოქშოუებში: „არჩევანსა“ და „პოზიციაში“ გაკეთებულ განცხადებებზე. ამასთან, მკვლევარებმა შეისწავლეს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული მასალები, რადგან ამ გამოცემას უმცირესობებისადმი აშკარად შეუწყნარებელი და დისკრიმინაციული სარედაქციო პოლიტიკა აქვს, გარდა ამისა, მონიტორინგში შემთხვევითი შერჩევის წესით მოხვდა ის მედიაც, სადაც საჯარო პირების რეზონანსული განცხადებები გამოქვეყნდა.

მონიტორინგის პერიოდში სულ მიმოვიხილეთ ვებ-გვერდებზე „ტაბულა“ და „ნეტგაზეთი“ გამოქვეყნებული 160 სტატია, 10 მასალა გაზეთ „ასავალ-დასავალიდან“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 7 გადაცემა.

ნანილი პირველი

1. სეკულარიზმი და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში

სეკულარიზმის იდეა გულისხმობს განსაზღვრული ტიპისა და ინტენსივობის ინსტიტუციურ გამიჯვნას სახელმწიფოსა და რელიგიას შორის და საერო საჯარო სივრცის უზრუნველყოფას რელიგიის პრივატიზების გზით.⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ სახელმწიფო იყოს ნეიტრალური რელიგიებთან მიმართებაში:

„რეგულაციის უფლებამოსილების განხორციელებისას ამ სფეროში და სხვადასხვა რელიგიებთან, დენომინაციებთან და სარწმუნოებებთან ურთიერთობისას სახელმწიფოს აქვს ვალდებულება იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი... რაც შეუთავსებელია სახელმწიფოს მიერ რელიგიური რწმენის ლეგიტიმურობის შეფასებასთან... ხელისუფლების ორგანოების როლი... იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დაპირისპირება აღმოფხვრან პლურალიზმის განადგურების გზით, არამედ მათი როლია, უზრუნველყონ შემწყნარებლობა... სახელმწიფოს ამგვარი როლი ხელს უწყობს საჯარო წესრიგს, რელიგიურ ჰარმონიას და შემწყნარებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში... და ნაკლებ წარმოსადგენია, რომ ამან დაამციროს იმ ეკლესიის ან რწმენის როლი, რომელთანაც კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობა ისტორიულად და კულტურულად ასოცირდებოდა...“⁵

ქვემოთ გაანალიზებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის რელიგანტური დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელს საქართველოში და ამასთან, ადგენენ რწმენის თავისუფლების გარანტიებს. აგრეთვე, გაანალიზებული იქნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესი-

⁴ R. Palomino, Legal Dimensions of Secularism: Challenges and Problems, 4 Contemp. Readings L. & Soc. Just 208 2012, გვ. 208, 2011.

⁵ იეპოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი ნო. 71156/01, 2007 წლის 3 მაისი, პარ. 131-132.

ის დომინანტური მდგომარეობა და პრივილეგიები სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნა და მისი პერსპექტივები არსებულ ვითარებაში.

1.1. კონსტიტუციური დებულებები და მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური გავლენა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი აცხადებს:

„1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.“⁶

ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და ამასთან, ადამიანის უფლებებისთვის პრიმატის მინიჭების შემდეგ ხაზს უსვამს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის [შემდეგში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“] „განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“. ამ ტიპის მიდგომა საქართველოს აქცევს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელში, რომელსაც „წახალისებული ეკლესიის მოდელი“ ეწოდება.⁷

6 საქართველოს კონსტიტუცია, 24 ავგისტო, 1995 წელი, მუხლი 9.

7 ქოულ დურჰემის განმარტებით: „წახალისებული ეკლესია სარგებლობს აღიარებით, მაგრამ ქვეყნის კონსტიტუცია ადგენს, რომ ყველა ჯგუფი თანასწორია. ზოგჯერ მხარდაჭერა შედარებით უვნებელია და შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ იმის აღიარებით, რომ კონკრეტულმა რელიგიურმა ტრადიციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიასა და კულტურაში. სხვა შემთხვევებში, მხარდაჭერა ფუნქციონირებს როგორც ორგანიზაციისთვის მინიჭებული პრეროგატივების შენარჩუნების ცუდად შენიღბული მეთოდი, თუმცა, ფორმალურად უფრო ლიბერალური რეჟიმის სახეს ინარჩუნებს“. ამდენად, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის

თუმცა, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ორ მნიშვნელოვან დათქმას შეიცავს: ერთი მხრივ, ის უპირველესად რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას აცხადებს და ამით განსაზღვრავს კონტექსტს, რომლითაც აღიარებულია მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება დამატებით განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლშიც. მეორე მხრივ კი, ის მიუთითებს ეკლესიის დამოუკიდებლობაზე სახელმწიფოსგან, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების, დამოუკიდებელ სუბიექტებად გამოცხადებისა და მათი შესაბამისი სფეროების გამიჯვნის გარანტიაა და წარმოადგენს კიდევ სეკულარობის არსს.

სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობაზე ყურადღების გამახვილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთან მართლმადიდებელი ეკლესიის მჭიდრო კავშირის ისტორიის გათვალისწინებით. საქმეში *კედროფი და სხვები წრდილოეთ ამერიკაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ნიკოლოზის კათედრალის წინააღმდეგ*, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის განვითარება ისტორიულად ცარის ძალაუფლების გაფართოების პროპორციული იყო, რადგან ეკლესია „საჯარო სამსახურის მზარდ ნაწილს წარმოადგენდა“.⁸ ეს დაკვირვება, რომელიც მიუთითებს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურების საჯარო სამსახურთან ასოცირებაზე, სიმართლეს წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს უკანასკნელი 1811 წლიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი გახდა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალური სტატუსის დაბრუნება მხოლოდ 1917 წელს შეძლო.

დღესდღეობით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიების უმნიშვნელოვანესი გამოხატულება და საფუძველია კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს შორის, რომლითაც საპატრიარქომ მიიღო

მოდელების წრფეზე, რომლის ერთ ბოლოში სახელმწიფო რელიგიის მოდელია, მეორეში კი სახელმწიფოსა და ეკლესიის მკაცრი გამიჯვნის მოდელი, საქართველო უფრო ახლოს დგას სახელმწიფო ეკლესიის მოდელთან. იხ. W. Cole Durham, *Perspectives on Religious Liberty: A Comparative Framework*, *KrebulSi Religious Human Rights in Global Perspective*, J.D. van der Vyver and J. Witte, Jr. (eds.), 1996 Kluwer Law International, გვ. 1-44.

8 KEDROFF v. ST. NICHOLAS CATHEDRAL, 344 U.S. 94 (1952) 344 U.S. 94.

ავტონომიისა და სამართლებრივი და ქონებრივი პრობლემების გადაწყვეტის გარანტიები, რაც ქვემოთ იქნება დეტალურად განხილული.

სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, საგადასახადო შეღავათები, საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საკულტო ნაგებობების საკუთრების საკითხები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვისაც, თუმცა, მათი პრობლემების მოსაგვარებლად ზომების მიღება ზოგ შემთხვევაში კონსტიტუციური შეთანხმების დადებიდან თითქმის ათი წლის შემდეგ მოხდა (მაგ. რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის თაობაზე), ზოგ შემთხვევაში კი, საკითხი ჯერაც გადასაწყვეტია (მაგ. საბჭოთა კავშირის მიერ ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების საკითხი).

საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მოსახლეობის ნდობისა და მხარდაჭერის მაღალ მაჩვენებელს.⁹ აღნიშნული, ერთი მხრივ, განაპირობებს დომინანტური რელიგიისადმი ხელისუფლების მკაფიო კეთილგანწყობასა და მის პრივილეგიურებას როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, ისე საზოგადოებრივი რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით; მეორე მხრივ კი, ადგილი აქვს მართლმადიდებელი უმრავლესობის მხრიდან უკიდურესი შეუწყნარებლობის აქტებს სხვა რელიგიების ან უმცირესობების მიმართ, რაც ხშირად სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური რეაგირების გარეშე რჩება.¹⁰

1.2. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფისა და მათთვის აქტუალური სხვა საკითხების მოგვარების მანდატით, საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 29

⁹ იხ. მაგ. 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემები: გამოკითხულთა 72% სრულად ენდობა მართლმადიდებელ ეკლესიას (ხელმისაწვდომია: <http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/TRUGOCH/>), ხოლო გამოკითხულთა 8% თავს მართლმადიდებელ რელიგიას განაკუთვენებს. (<http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/RELIGION/>).

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 293-317.

ნოემბერს N305 დადგენილებების თანახმად შექმნა რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია.¹¹ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირები და არც ერთი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი. კომისიის დებულების თანახმად, მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა რელიგიურ-საკულტო ნაგებობების მშენებლობის მარეგულირებელი და რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობის ანალიზი და შემუშავება, აღნიშნული გაერთიანებების საკუთრების შესწავლა და ა.შ.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან.¹² როგორც მოწოდებული ინფორმაციით¹³ ირკვევა, კომისიამ 2013 წლის 29 ნოემბრიდან 2014 წლის 10 თებერვლამდე ჩაატარა 5 სხდომა და შეიმუშავა „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და აგრეთვე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. პირველი საქართველოს მთავრობამ მიიღო 2014 წლის 27 იანვარს,¹⁴ მეორე კი – 2014 წლის 19 თებერვალს.¹⁵

11 საქართველოს მთავრობის დადგენილება ნო. 305, რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 29 ნოემბერი.

12 იქვე, დებულების მუხლი 2.

13 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი ნო. 153-გ, 20.02.2014.

14 საქართველოს მთავრობის დადგენილება ნო. 117, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე, 2014 წლის 27 იანვარი.

15 საქართველოს მთავრობის დადგენილება ნო. 177, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 19 თებერვალი.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნის შემდეგ, კომისიამ 2014 წლის 30 ივნისს არსებობა შეწყვიტა.¹⁶

დებულების თანახმად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდეგში „სააგენტო“) წარმოადგენს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის საკონსულტაციო ორგანოს რელიგიის სფეროში და მის უფლებამოსილებებს განეკუთვნება: რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის გაანალიზება, სამართლებრივი აქტების პროექტებისა და რეკომენდაციების მომზადება, კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების შესრულებისთვის რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე, საკულტო ნაგებობების მშენებლობასა და რელიგიის სფეროში განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება, რელიგიურ გაერთიანებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში შუამავლის როლის შესრულება, ტოლერანტული გარემოს მხარდაჭერა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულების მიზნით დამატებით არსებობს 2012 წელს შექმნილი სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობა და ფუნქციები შემდეგ თავში იქნება განხილული. აღნიშნული კომისია ჯერ გაუქმებულად არ გამოცხადებულა და კონსტიტუციურ შეთანხმებასთან მიმართებით ადგილი აქვს უფლებამოსილებების დუბლირებას სააგენტოსა და კომისიას შორის.

2014 წლის 24 ივნისის სააგენტოს წერილში¹⁷ მითითებულია, რომ ამ ეტაპზე სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას და ცალკეულ პროექტებს ამზადებენ და ჯერჯერობით სააგენტოს არც ერთი რეკომენდაცია არ გაუცია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

2014 წლის თებერვალში ჩატარებულ ინტერვიუებში რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ რელიგიური საკითხებისთვის სააგენტოს შექმნა საბჭოთა კავშირის დროს არსებული რელიგიურ საქმეთა საბჭოს ისტორიულ ასოციაციას იწვევდა. რელიგიურ საქმეთა საბჭო 1965 წელს შეიქმნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხთა საბჭოსა და რელიგიური კულტების საკითხთა საბჭოს გაერთიანების გზით: „საბჭოს ჩამოყალიბება განიხილებოდა... როგორც სარწმუნოების მიმართ

16 საქართველოს მთავრობის დადგენილება ნო. 423, „რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის ნო. 305 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, 2014 წლის 30 ივნისი.

17 სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ წერილი ნო. 1/129, 24.06.2014.

სახელმწიფო პოლიტიკის გადასვლა რელიგიების მდგომარეობისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის „ზედამხედველობიდან“ მათ „კონტროლზე“.¹⁸

რელიგიის საკითხების ორგანოსთან დაკავშირებული მძიმე ისტორიული გამოცდილების გარდა, ამ ორგანოს მიმართ უნდობლობას იწვევს ისიც, რომ მთავრობას სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან ან შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან რაიმე კონსულტაცია არ გაუფლია.¹⁹ რაც მთავარია, შექმნილი ორგანო არ არის დაფუძნებული წარმომადგენლობაზე, რაც „რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევის რისკებს წარმოშობს“, – ნათქვამია სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში.²⁰

აღსანიშნავია, რომ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რათა შექმნან რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებზე სპეციალიზებული ორგანო. თუმცადა, საქართველოს შესახებ ევროპული კომისიის 2010 წლის მოხსენების თანახმად, კომისია რეკომენდაციას უწევდა მხოლოდ რასიზმთან ბრძოლის სპეციალიზებული ორგანოს შექმნას და ხაზს უსვამდა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოებისა და ტოლერანტობის ცენტრის მიღწევებს რელიგიური შეწყნარებლობის ხელშეწყობის თვალსაზრისით: „2005 წელს სახალხო დამცველთან დაარსდა ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიათა საბჭოები, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან საკონსულტაციო ფუნქციას... სახალხო დამცველთან მუშაობს აგრეთვე ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც ახორციელებს სიტუაციის მონიტორინგს და პასუხობს ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ გამოვლენილ შეუწყნარებლობის ფაქტებთან დაკავშირებულ პრობლემებს... რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო დამცველის საკვანძო როლის გათვალისწინებით, ECRI ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას კვლავაც განაგრძოს ამ ინსტიტუტის მხარდაჭერა. ECRI რეკომენდაციას უწევს საქართველოს

18 И.М. Советов, Совет по делам религий при СМ СССР: структура, функции и основные направления деятельности.

19 სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: http://www.tolerantoba.ge/index.php?news_id=600.

20 იქვე.

ხელისუფლებას, განაგრძოს დიალოგი რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, კერძოდ, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში”.²¹

სააგენტოსთან დაკავშირებით პრობლემურია ის, რომ მისი მანდატი გამჭვირვალე არ არის. გაუგებარია მისი რეკომენდაციების სამართლებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეკომენდაციის ადრესატი იქნება არა მთავრობა, რომელიც მისი დამფუძნებელი ორგანოა, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ან სხვა ორგანოები; გაუგებარია, აგრეთვე, როგორ შემუშავდება რეკომენდაციები, რამდენად სამართლიანი და ინკლუზიური იქნება პროცედურები დაინტერესებული მხარეების აზრის მოსმენისა და გათვალისწინების თვალსაზრისით, როდის შეასრულებს შუამავლის როლს გაერთიანებებს შორის კონფლიქტისას სააგენტო – როცა მხარეები მიიწვევენ თუ როდესაც თვითონ გადაწყვეტს, ასევე რამდენად სავალდებულო და შემოხტავი იქნება რელიგიური გაერთიანებებისთვის სააგენტოს მითითებები და მოთხოვნები.

ამ დროისთვის, როდესაც სააგენტოს არც ერთი რეკომენდაცია არ არსებობს, არ იქნება მართებული დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენებს სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ორგანოს მანდატის ფარგლები ბუნდოვანია და არ არის გამჭვირვალე იმ ქვეყანაში, რომელსაც რელიგიური უმცირესობების დევნის ისტორია აქვს, შემფოთების საფუძველს იძლევა.

2. კრეფარენციული მოპყრობა საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისადმი

მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ცალკე ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნა მისი პრობლემების მოსაგვარე-

²¹ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეოთხე ციკლი), 28 აპრილი, 2010, გვ. 21, 22, 37.

ბლად, არამედ კონსტიტუციური შეთანხმებით მინიჭებული არაერთი სხვა პრივილეგია, რომლებითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ექსკლუზიურად სარგებლობს: ცალკეული საგადასახადო შეღავათები, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებზე, მონასტრებზე, მათ ნანგრევებსა და მიწის ნაკვეთებზე და საეკლესიო საგანძურზე საკუთრების უფლების აღიარება, დიდი საეკლესიო დღესასწაულების დასვენების დღეებად გამოცხადება. კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფომ აიღო აგრეთვე ვალდებულება, აენაზღაურებინა XIX-XX საუკუნეებში, განსაკუთრებით 1921-1990 წლებში, მიყენებული ქონებრივი ზიანი, შეექმნა მოძღვრის ინსტიტუტი საჯარისო ფორმირებებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები განეხორციელებინა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამ სფეროებში პრეფერენციული მოპყრობის არსი ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

2.1. კონსტიტუციური შეთანხმების ანალიზი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმდა 2002 წლის 14 ოქტომბერს.

კონსტიტუციური შეთანხმებით განისაზღვრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი – ის ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გამოცხადდა. რელიგიური გაერთიანებისთვის, მათ შორის – დომინანტური რელიგიური გაერთიანებისთვის, სამართლებრივი სტატუსის მინიჭება რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობისთვის. თუმცა, კონსტიტუციური შეთანხმების დადებისას ეს წარმოადგენდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ პრეფერენციული მოპყრობის აშკარა მაგალითს და უდიდეს უპირატესობას ანიჭებდა მას, რადგან სხვა რელიგიურ გაერთიანებებს არათუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, არამედ საერთოდ,

იურიდიულ პირად რეგისტრაცია არ შეეძლოთ, თუ რელიგიური მიზნების დეკლარირებას მოახდენდნენ.

2005 წლამდე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვ.) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებოდნენ. ამ მუხლის საფუძველზე რელიგიურ გაერთიანებებს არ შეეძლოთ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად (იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კავშირებად ან ფონდებად) რეგისტრაცია. თუმცა, პრობლემა ის იყო, რომ მათ არც საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრაცია შეეძლოთ, რადგან სახელმწიფომ შესაბამისი კანონმდებლობა არ მიიღო, რომლითაც რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი და სტატუსი განისაზღვრებოდა.

სწორედ ამგვარად განმარტა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები: „ვიდრე კანონით არ განსაზღვრულა რელიგიური ორგანიზაციების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია კერძო სამართლის იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენება“.²² ამ საფუძველით 2001 წელს გაუქმდა იეჰოვას მოწმეთა გაერთიანების რეგისტრაცია კერძო სამართლის იურიდიულ პირად. სამოქალაქო კოდექსის ამგვარი განმარტება რელიგიური გაერთიანებებს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კანონმდებლობის მიღებამდე იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას ართმევდა.

რეგულირება შეიცვალა 2005 წელს, როდესაც რელიგიურმა გაერთიანებებმა მიიღეს კერძო სამართლის იურიდიული პირების ფორმით (კავშირებისა და ფონდების, შემდგომში არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით) რეგისტრაციის უფლება. საბოლოოდ, კონსტიტუციური შეთანხმებით შექმნილი პრივილეგირებული მდგომარეობა აღმოფხვრა 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს სამო-

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება 3კ/599, 22 თებერვალი 2001 წელი.

ქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის გზით – კოდექსს დამატება 1509² მუხლი, რომლის პირველი ნაწილი აცხადებს: „რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად“. შესაბამისად, სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცათ შესაძლებლობა, სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით გათანასწორობდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

კონსტიტუციური შეთანხმებითვე (მუხლი 11) იქნა გათვალისწინებული, რომ უნდა შექმნილიყო საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების საკითხებზე პარიტეტული კომისია. მართლაც, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულებით²³ განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა“ შემადგენლობები. ბრძანებულება ითვალისწინებდა ხუთი კომისიის შექმნას: 1. ჯვრისწერის სახელმწიფო აღიარებასთან დაკავშირებით; 2. სამხედრო-საჯარისო ფორმირებებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის (კაპელანის) ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებით; 3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების სწავლების საკითხთან დაკავშირებით; 4. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ღონისძიებებთან დაკავშირებით; 5. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძანებულების მიხედვით, თითოეულ კომისიას ორ თვეში უნდა წარედგინა პრეზიდენტისთვის შესაბამისი კომისიის დებულება, ამგვარი დებულებები არ მომზადებულა. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საქართველოს მთავრობას აღნიშნული კომისიების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხის თანახმად, ამ კომისიათა სხდომის ოქმები საქართველოს

²³ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნო. 1, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა შექმნის შესახებ, 2003 წლის 7 იანვარი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული არ არის.²⁴ საქართველოს მთავრობამ აღნიშნული კომისიების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოსათხოვად ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის წერილი რაიმე დასაბუთების გარეშე გადაუგზავნა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, რომლის ოფიციალური პასუხის თანახმად, მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია კომისიების საქმიანობის შესახებ.²⁵ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მაღალი ალბათობით, კომისიებს არ დაუწყიათ საქმიანობა და ამით არის განპირობებული ინფორმაციის არარსებობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში.

პრეზიდენტის ნო. 1 ბრძანებულება გაუქმდა 2012 წლის 21 თებერვლის ნო. 125 პრეზიდენტის ბრძანებულებით. სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის ნო. 63 დადგენილებით შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისია“, განისაზღვრა მისი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და დებულება. დადგენილებაში ბოლო ცვლილება შევიდა 2013 წლის 21 მაისს. 2014 წლის 5 ივლისის მდგომარეობით, ამ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, არსებობს 8 სამუშაო ჯგუფი: 1. ქონებრივი საკითხების განმხილველი და ეკლესიის ეკონომიკური საქმიანობისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნელი; 2. XIX და XX სს-ში (საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში) ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის დამდგენი; 3. სახელმწიფო მუზეუმებში დაცული საეკლესიო საგანძურისა და ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების მოვლა-პატრონობის რეჟიმის დამდგენი; 4. კანონით დადგენილი წესით ჯვრისწერის აღიარების განმსაზღვრელი; 5. სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის განმსაზღვრელი; 6. განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის განმსაზღვრელი; 7. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საპატრიარქოს სამართლებრივი სტატუსისა და იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობისა და საკუთრების განმსაზღვრელი; 8. რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა წარმომადგომლობის დამდგენი.

²⁴ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წერილი ნო. 3493 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს, 28.04.2014.

²⁵ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილი ნო. 14/10899, 26 მარტი, 2014.

აღსანიშნავია, რომ რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა წარმომავლობის საკითხი უშუალოდ ეხება საქართველოში არსებული სხვა რელიგიური გაერთიანებების, განსაკუთრებით სომეხთა მართლმადიდებელი სამოციქულო წმინდა ეკლესიისა და ლათინ კათოლიკეთა ეკლესიის ინტერესებს. თუმცა, ამ ჯგუფის, ისევე როგორც ყველა სხვა ჯგუფისა, წევრები არიან მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ მათმა გადაწყვეტილებებმა სხვა რელიგიების საკუთრების საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს მათი მონაწილეობის გარეშე.

როგორც ჩანს, ამ სამუშაო ჯგუფების არსებობა ისევ ნომინალურია და საკითხების შესწავლისა და შესაბამისი წინადადებების მომზადებისთვის მუშაობა არ მიმდინარეობს. კომისიისა და მისი სამუშაო ჯგუფების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს (TDI) მოაწოდა კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის მხოლოდ ერთი სხდომის ოქმი, რომელიც 2012 წლის 29 მარტს ჩატარდა.²⁶ სხდომის ოქმით ირკვევა, რომ კომისია შეთანხმდა, ინტენსიურად ემუშავა სამუშაო ჯგუფებში, კერძოდ, ქონებრივი საკითხების განმხილველი სამუშაო ჯგუფი უნდა შეკრებილიყო საორიენტაციოდ 2 კვირაში ერთხელ, დანარჩენი ჯგუფები კი თვეში ერთხელ. სააგენტომ სხვა ინფორმაციის მოწოდება ვერ შეძლო, რაც ისევ საშუალებას იძლევა, დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული კომისიის საქმიანობის შესახებ სხვა ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში დაცული არ არის.

როგორც წინა თავში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოზე მსჯელობისას, აღვნიშნეთ, მის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს რეკომენდაციების მომზადება კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით სამთავრობო კომისიისა და სააგენტოს კომპეტენციებს შორის არსებობს დუბლირება.

²⁶ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი ნო. 14/15481, 01/მაისი/2014.

2.2. სამხედრო ვალდებულება

კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის თანახმად, „სასულიერო პირი“, რაც ტერმინთა განმარტებით ნიშნავს მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმულ პირს, თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისგან.

აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირების გათავისუფლებას საერთო არაფერი აქვს კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან, რადგან მართლმადიდებელ ეკლესიას სამხედრო ვალდებულების მოხდის საწინააღმდეგო რაიმე დოქტრინა არ გააჩნია; რელიგია არც ეკლესიის მიმდევრებს და არც სასულიერო პირებს ამ საფუძვლით სამხედრო სამსახურზე უარის თქმას არ სთხოვს.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუადგებათ მღვდელმსახურებს და მათ, ვინც სასულიერო სასწავლებელში სწავლობენ. „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასულიერო პირები“ თავისუფლდებიან სარეზერვო სამსახურის გავლისგან. როგორც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით იკვეთება, სასულიერო პირში მოიაზრება არა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ სხვა რელიგიების, მაგალითად, იეჰოვას მოწმეთა მღვდელმსახურიც. თუმცა, ისევ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ფორმალური მიზეზის გამო (მაგ. დროულად გამოუცხადებლობა გამწვევ კომისიაში) სასულიერო პირებსაც შეიძლებოდა დაჰკისრებოდათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.²⁷

რელიგიის მიმდევრები, რომლებსაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა აქვთ სამხედრო ვალდებულების მოხდის მიმართ, არათუ არ თავისუფლდებიდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესრულებისგან, არამედ 2011 წლამდე ალტერნატიული სამსახურის – სამხედრო-სარეზერვო სამსახურის მოთხოვნის შესაძლებლობაც არ ჰქონდათ. 2006 წლის „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ“

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ბს-1599-1575(კ-11), 9 თებერვალი, 2012.

საქართველოს კანონი ითვალისწინებდა საქართველოს ყველა მოქალაქის ვალდებულებას, გაეგვლოთ სამხედრო-სარეზერვო სამსახური და არ უშვებდა გამონაკლისს იმ პირებისთვის, ვისაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ჰქონდა რეზერვის მიმართ.²⁸ სარეზერვო სამსახურზე უარის თქმა, თუნდაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის თანახმად (სამხედრო-სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობა სამხედრო-სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით), სამართალდარღვევას წარმოადგენდა და 500-ლარიანი ჯარიმის ან ადმინისტრაციული პატიმრობის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. ეს ნორმა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან შეუსაბამობის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 22 დეკემბერს არაკონსტიტუციურად ცნო.²⁹ ამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მიღებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ ქვემდგომ სასამართლოებს დამკვიდრებული ჰქონდათ პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა არ ითვლებოდა სარეზერვო სამსახურისგან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველად.³⁰

2.3. საბაღასახალო შეღავათი

კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის თანახმად, „ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისგან“.

ამდენად, მართლმადიდებელი ეკლესიის არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა, შემოწირულობა და საღვთისმსახურო პროდუქციის წარმოება და მიწოდება არ შეიძლება დაიბეგროს. რელიგიური ორგანიზაციის, მათ შორის – დომინანტური რელიგი-

²⁸ საქართველოს კანონი „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ“, 2006 წლის 27 დეკემბერი, მუხლი 2, პუნქტი 2.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/1/477, 2011 წლის 22 დეკემბერი.

³⁰ იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ბს-1599-1575(კ-11), 9 თებერვალი, 2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ბს-477-471(2კ-12), 20 სექტემბერი, 2012.

ური ორგანიზაციის, გადასახადებისგან გათავისუფლება თავისთავად არ ქმნის პრობლემას სეკულარობის თვალსაზრისით. კითხვა იმაში მდგომარეობს, სარგებლობენ თუ არა იმავე საგადასახადო შეღავათებით ის რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში რელიგიურ საქმიანობას ეწევიან.

განვიხილოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის³¹ შესაბამისი მუხლები. საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლი ადგენს, რომ რელიგიური საქმიანობა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. ამასთან, რელიგიური ორგანიზაციების საწარმოთა საქმიანობაც, რაც დაკავშირებულია რელიგიური ლიტერატურის ან საგნების წარმოებასთან ან რეალიზაციასთან, აგრეთვე წარმოადგენს რელიგიურ საქმიანობას.³² ეს განმარტება ეხება თავისთავად ყველა რელიგიურ ორგანიზაციას და არა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას. რამდენადაც რელიგიური ორგანიზაციები არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, ისინი არ წარმოადგენენ „საწარმოს“ საგადასახადო კოდექსის გაგებით.³³

აღნიშნული გამიჯვნა რელიგიურ და ეკონომიკურ საქმიანობას შორის ათავისუფლებს რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს მოგების გადასახადისგან. საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის გადამხდელები არიან მხოლოდ საწარმოები და არა ორგანიზაციები. შესაბამისად, რელიგიურ ორგანიზაციას მოგების გადასახადი ვერ დაეკისრება იმ ნაწილში, სადაც ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებულია რელიგიური დანიშნულების საგნებისა და რელიგიური ლიტერატურის წარმოებასთან, რეალიზაციასა და ამ საქმიანობით მიღებული შემოსავლის გამოყენებასთან. როგორც აღვნიშნეთ, მე-11 მუხლის თანახმად, ეს ყველაფერი რელიგიურ და შესაბამისად, არაეკონომიკურ საქმიანობად კვალიფიცირდება საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის.

მიუხედავად, იმისა, რომ ნორმის როგორც ტექსტობრივი, ისე მიზნობრივი ანალიზით ცხადია, რომ რელიგიური ორგანიზაცია არ არის საწარმო და ვერ დაიბეგრება მოგების გადასახადით, გაურკვეველია 99-ე მუხლის შინაარსი, რომელიც ჩამოთვლის, თუ რა თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. გათავისუფლებულთა შორის მოხსენ-

31 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, №3591-III ს, 2010 წლის 17 სექტემბერი.

32 იქვე, მუხლი 11, ნაწილი 2.

33 იქვე, მუხლი 21.

ნიებულისა „საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება“. იმის გათვალისწინებით, რომ რელიგიური ორგანიზაციის მიერ რელიგიური დანიშნულების პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება ისედაც თავისუფლდება მე-11 მუხლის (რელიგიური საქმიანობა) და 96-ე მუხლის საფუძველზე, გაურკვეველია, რატომ იყო საჭირო საპატრიარქოსთან მიმართებით ამის გამეორება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ბუნდოვანება და კითხვები, თუმცა, რელიგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების მკაცრი გამიჯვნის პირობებში, ერთმნიშვნელოვანია, რომ კოდექსი არ უტოვებს საგადასახადო ორგანიზაციებს სივრცეს რელიგიური საქმიანობის დასაბეგრად.

მოგების გადასახადისგან განსხვავებული სიტუაციაა დღგ-სთან დაკავშირებით. საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით (ნაწილი 1, „ვ“ ქვეპუნქტი) და ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა (ნაწილი 2, „ბ“ ქვეპუნქტი). ამდენად, დღგ-ით დაბეგვრის ნაწილში აშკარაა პრეფერენციურებული მოპყრობა საპატრიარქოს, ანუ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, რადგან მისი დაკვეთით სხვა სუბიექტების მიერ განხორციელებული ოპერაციაც კი თავისუფლდება დღგ-სგან. ეს თავისთავად მნიშვნელოვან ფინანსურ უპირატესობას ანიჭებს საპატრიარქოს ყველა სხვა რელიგიურ ორგანიზაციასთან შედარებით.

ქონების გადასახადთან დაკავშირებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი შეიცავს დათქმას, რომ ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე, ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა. რადგან 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ორგანიზაცია მოიცავს რელიგიურ ორგანიზაციასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა რელიგიური ორგანიზაცია თავისუფლდება

ქონების გადასახადისგან, გარდა მიწისა და ლიზინგით გაცემული ქონებისა.

რაც შეეხება მიწის გადასახადს, საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს დაბეგვრის განსხვავებულ რეჟიმს და არც ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს მისგან. დღგ-ის შემთხვევისგან განსხვავებით, საგადასახადო კოდექსი არ შეიცავს გამონაკლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც. თუმცა, აქ საქმეში ერთვება კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც ამ საკითხზე ცალსახა დებულებას შეიცავს: „ეკლესიის... მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისგან“. შესაბამისად, მართალია, საგადასახადო კოდექსი არ ათავისუფლებს მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ ეს უზრუნველყოფილია ზემდგომი, ნორმატიული ძალის მქონე აქტით – კონსტიტუციური შეთანხმებით და მიწის გადასახადთან დაკავშირებითაც მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს მნიშვნელოვანი ფინანსური უპირატესობით სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რომლებიც მიწის გადასახადს იხდიან.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლში ლაპარაკია აგრეთვე მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გაკეთებული შემოწირულობის გათავისუფლებაზე გადასახადისგან. ამ ნაწილში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური ორგანიზაციები თანასწორ მოპყრობას ექვემდებარებიან, რადგან საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემოწირულობა (ანუ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი, მომსახურება და ფულადი სახსრები) გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

ამდენად, საგადასახადო კოდექსისა და კონსტიტუციური შეთანხმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტიტუციური შეთანხმება ოთხ სფეროში (შემოწირულობები, მიწა, ქონება, საღვთისმსახურო პროდუქცია) მართლმადიდებელ ეკლესიას გადასახადებისგან ათავისუფლებს. აქედან მოგების გადასახადსა და შემოწირულობებთან დაკავშირებით ყველა რელიგიური ორგანიზაცია თანაბარ მდგომარეობაშია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულებების წყალობით. ქონების გადასახადისგან მართლმადიდებელი ეკლესია თავისუფლდება სრულად, ხოლო სხვა რელიგიური ორგანიზაციები იხდიან გადასახადს ქონების მხოლოდ

კონკრეტულ სახესთან დაკავშირებით (მაგ. ლიბინგით გაცემული ქონება). რაც შეეხება მიწის გადასახადსა და საღვთისმსახურო პროდუქციის მიწოდების ან დაკვეთის დაბეგვრას დღგ-ით, ამ სფეროში მართლმადიდებელი ეკლესია ერთმნიშვნელოვნად პრივილეგირებულია და სარგებლობს ფინანსური შეღავათით, რაზეც არ მიუწვდებათ ხელი სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს, რაც უდავოდ უთანასწორო მოპყრობის მაგალითია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უთანასწორო მოპყრობით სარგებლობს აგრეთვე საბაჟო კონტროლის სფეროში. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების 90-ე მუხლის თანახმად, „ოქროს სიაში“ შეყვანის პირობების დაკმაყოფილების გარეშე, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან ერთად „ოქროს სიის“ მონაწილეა საქართველოს საპატრიარქოც (მუხლი 90, პუნქტი 2, „ზ“ ქვეპუნქტი).³⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ოქროს სიის მონაწილეს საშუალება აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის ან გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით და გადასახადები გადაიხადოს განსხვავებულ ვადებში.

იმავედროულად, რელიგიურმა ორგანიზაციებმა ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს (TDI) მიაწოდეს ინფორმაცია იმ ბიუროკრატიული სირთულეების შესახებ, რაც ხვდებოდა რელიგიური ლიტერატურისა და რელიგიური დანიშნულების საქონლის საქართველოში შემოტანისას. ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის პასტორმა შმაგი ჭანკვეტაძემ აღნიშნა, რომ მათ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლეს საქართველოში გამოგზავნილი წიგნების საწყობებში განთავსება იმ მიზეზით, რომ საბაჟო კონტროლის ორგანოები ვერ ახერხებდნენ გამომგზავნი პირის იდენტიფიკაციას. აგრეთვე, სისტემური პრობლემა აქვს სომხურ კათოლიკურ ეკლესიასაც საქართველოში. როგორც აღნიშნული ეკლესიის არქივის კოპიის რაფაელ მინასიანი აღნიშნავს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გაგზავნილ წერილში: „სომხური კათოლიკური ეკლესია ყოველ წელს აწყდება ერთსა და იმავე პრობლემას. საქმე ის არის, რომ ჩვენი საეკლესიო კალენდრები იბეჭდება

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №290 „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, 2012 წლის 26 ივლისი.

სომხეთში და გვიჩნდება პრობლემა კალენდრების საქართველოში შემოტანის დროს. საზღვარზე არ ატარებენ არავითარ ლიტერატურას – არც კალენდრებს, არც წიგნებს, ალბათ, იმის შიშით, რომ არის სეპარატისტული ლიტერატურა...“³⁵ ამ ბიუროკრატიული სირთულეებისგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაზღვეულია არა მხოლოდ შესაბამისი საჯარო მოხელეების კეთილგანწყობის გამო ამ ეკლესიის მიმართ, არამედ ნორმატიულად განმტკიცებული სტატუსის წყალობითაც – ის „ოქროს სიის“ მონაწილეა და სამართლებრივად მიუწვდება ხელი გამარტივებულ პროცედურებზე.

2.4. საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საკულტო ნაგებობების დაბრუნება

კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის თანახმად, საქართველომ აღიარა XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის ვალდებულება იკისრა. კონსტიტუციური შეთანხმების დადების შემდეგ, 2002 წლიდან, სახელმწიფო ყოველწლიურად აფინანსებს საქართველოს საპატრიარქოს. არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის თანახმად, „2002-2013 წლებში ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილმა პირდაპირმა დაფინანსებამ 160 672 200 ლარი შეადგინა“.³⁶ ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში საპატრიარქოსთვის გამოყოფილი დახმარების ოდენობა, ძირითადად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება (2011-2012 წლების გამონაკლისის გარდა). დამატებით, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიები ყოველწლიურად და საკმაოდ მნიშვნელოვანი ოდენობის თანხით ფინანსდებიან აგრეთვე მუნიციპალური ბიუჯეტებიდანაც.³⁷ აღნიშნული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით რაიმე სამართლებრივი წყარო არ არ-

³⁵ აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარი, არქივპოსკოპოს რაფაელ მინასიანის წერილი საქართველოს რეიტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს პაატა ზაქარეიშვილს, რ. 03.13, 24.12.2013.

³⁶ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, მოკლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ, 4 ივლისი, 2013.

³⁷ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, სახელმწიფო დაფინანსება მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებისთვის, 18 თებერვალი, 2014.

სებობს. არსად აღინიშნება, ეს თანხა კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესრულების სახით ერიცხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თუ მისი ანაზღაურების ვალდებულების შესრულება გადაიდო და მთელი ეს წლები გაურკვეველი დანიშნულებისთვის ხარჯავს სახელმწიფო საბიუჯეტო თანხის მნიშვნელოვან ოდენობას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის მეორე ნაწილს, ჩამორთმეული ეკლესიების, მიწებისა და მოძრავი ქონების სახით, ამასთან დაკავშირებითაც კონსტიტუციური შეთანხმება მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს: „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული“.

თუმცა, კონსტიტუციური შეთანხმების მიღებამდე გაცილებით ადრე, 1990 წლის 12 აპრილს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება N183, რომლის მე-3 პუნქტის თანახმადაც, „საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა, უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა“.³⁸

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად იყენებს ორივე აქტს როგორც მისთვის ჩამორთმეული საკულტო ნაგებობებისა და მათთან დაკავშირებული ქონების დასაბრუნებლად, ისე სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკულტო ნაგებობებზე საკუთრების უფლების რეგისტრირებისთვის, როგორც ეს შემდეგ თავში იქნება ნაჩვენები.

ილუსტრირებისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ანჩისხატის ეკლესიის ეზოში არსებულ შენობასთან დაკავშირებული დავა. თბილისში არსებულ ანჩისხატის ეკლესიაში 1988 წლიდან განაწესდა ღვთისმსახურება, მაგრამ ეკლესიის ეზო (მიწა) და ეზოში მდებარე სახლი რჩებოდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ბალანსზე 1981 წლის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, გადაწყვეტილება ნო. ბს-470-408-კ-04, 10 ნოემბერი, 2004.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით. 1990 წელს სსრ მინისტრთა საბჭოს N183 დადგენილებით ყველა მართლმადიდებელი ეკლესია და მათი უძრავ-მოძრავი ქონება საპატრიარქოს საკუთრებად გამოცხადდა. 2001 წელს კი საზოგადოების სამართალმემკვიდრე ფონდმა შენობა თავის საკუთრებად დაარეგისტრირა. საპატრიარქო მოითხოვდა მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაზე ფონდის საკუთრების ბათილად ცნობას, რადგან ამტკიცებდა, რომ საკუთრების აღიარება კანონის დარღვევით მოხდა. კერძოდ, ფონდს არ გააჩნდა მიწათსარგებლობის დამადასტურებელი საბუთი, რაც აუცილებელი იყო საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის. მეორე მხრივ, ფონდი მიუთითებდა, რომ სადავო შენობა-ნაგებობა არ წარმოადგენდა საკულტო ნაგებობას და არ უნდა მიკუთვნებოდა N183 დადგენილების საფუძველზე საპატრიარქოს.

მიუხედავად იმისა, რომ შენობა 1981 წლიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების ბალანსზე იყო, როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო სასამართლოში³⁹ მოტივაცია დააფუძნეს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაზე, რომლის თანახმადაც სადავო ნაგებობა – საეპისკოპოსო სახლი ანჩისხატის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. არგუმენტად მოყვანილ იქნა ისიც, რომ 1981 წელს არსებული კანონმდებლობის მიხედვით, შენობის გადაცემა ბალანსზე მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, ფონდის საკუთრების რეგისტრაცია გაუქმდა და საპატრიარქოს მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

აღნიშნული საქმე ცხადყოფს, რამდენად პრივილეგირებულია საპატრიარქო თავისი საკუთრების უფლების აღდგენის თვალსაზრისით, არა მხოლოდ უშუალოდ საკულტო ნაგებობებზე, არამედ მიმდებარე შენობებზეც, თუ რაიმენაირად დადგინდება ამ შენობების კავშირი საკულტო ნაგებობასთან, თუნდაც ეს უკანასკნელი სხვა ორგანიზაციის საკუთრება იყოს. როგორც შემდგომ თავში ვნახავთ, სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ საკულტო ნაგებობაზე მესაკუთრეობის აღსადგენად ისტორიული წარმოშობის მტკიცება არ არის საკმარისი. განსაკუთრებით რთულდება საქმე, თუ სადავო ნაგებობა უკვე საპატრიარქოს საკუთრებად არის რეგისტრირებული, როგორც ეს ჩანს კათოლიკეების ეკლესიის საქმეში.

39 იქვე.

2.5. მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიები საჯარო განათლების სფეროში

კონსტიტუციური შეთანხმების მე-5 მუხლის საფუძველზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიიღო საჯარო განათლების სფეროში: მართლმადიდებელი სარწმუნოების ნებაყოფლობითი სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეკლესიის სასწავლო დაწესებულებების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების აღიარება, ერთობლივი პროგრამების განხორციელება და ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა.

აღნიშნული გარანტიები ასახულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში⁴⁰ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში⁴¹. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი აღიარებს რწმენის თავისუფლებას, მაგრამ, იმავდროულად, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი უშვებს საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს რელიგიის ნებაყოფლობით შესწავლას ან რელიგიური რიტუალის ჩატარებას. მე-18 მუხლში ამკარად იგულისხმება დაშვება, რომ რელიგიური რიტუალი ან რელიგიის შესწავლა მოხდება ისევე სკოლის ტერიტორიაზე, სხვაგვარად ამ დათქმას აზრი არ ექნებოდა, რადგან სკოლის გარეთ სკოლის მოსწავლეებს ისედაც აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ მათთვის სასურველ რელიგიურ მსახურებაში. ეს დებულება კონსტიტუციური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის ქმნის სივრცეს და საჯარო სკოლაში მართლმადიდებლური რელიგიის სწავლების საშუალებას იძლევა. მართალია, მართლმადიდებელი ეკლესია არსად არის დაკონკრეტებული, მაგრამ მასწავლებელთა და მოსწავლეთა უმრავლესობის აღმსარებლობის გათვალისწინებით თავისთავად ცხადია, რომ ნებაყოფლობით მხოლოდ ამ რელიგიის შესწავლა მოხდება.

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წარმომადგენლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლება ოფიციალურად ნებაყოფლობითია, მაგრამ ცხრილში ეს გაცვეთილები სხვა გაცვეთილებს შორის არის მოქცეული და სხვა აღმ-

⁴⁰ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, №1330-ს, 2005 წლის 8 აპრილი.

⁴¹ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, №688-რს, 2004 წლის 21 დეკემბერი.

სარებლობის მოსწავლეებიც იძულებულნი ხდებიან, დაესწრონ ამ გაკვეთილებს. სხვა აღმსარებლობის მოსწავლის დასწრება მართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლებაზე იწვევს იმას, რომ ერთი მხრივ, ეს სწავლება აღარ გამოდის ნებაყოფლობითი, მეორე მხრივ კი ეს მოსწავლეები, ბუნებრივია, ვერ ერთვებიან რელიგიურ აქტივობებში და შესაბამისად, ხდება მათი სეგრეგაცია დანარჩენი კლასისგან.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) საქართველოს 74 საჯარო სკოლას მიმართა რელიგიის სწავლების მოდელის გასარკვევად; სკოლებს ვთხოვეთ აგრეთვე რელიგიის გაკვეთილების ცხრილის წარმოდგენაც. მიღებული პასუხების უმრავლესობა უარყოფდა სკოლაში ნებაყოფლობით რელიგიის შესწავლას, შესაბამისად, ვერ მოხერხდა სასწავლო ცხრილის მიღება, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა რელიგიის სწავლების შესახებ ინფორმაციას. თუმცა, გამოკითხული საჯარო სკოლების ნაწილმა აღიარა, რომ სკოლაში განთავსებულია რელიგიური სიმბოლოები ან სამლოცველოები, მიუხედავად იმისა, რომ „არააკადემიური მიზნებისთვის“ რელიგიური სიმბოლოების განთავსება აკრძალულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით. სკოლის დირექტორების მტკიცებით, ეს ხდება მოსწავლეთა და მშობელთა სურვილით. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოფენილი რელიგიური სიმბოლოები არის მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური სიმბოლოები, ხატები და სამლოცველოები, ანუ კანონი ექსკლუზიურად ერთი რელიგიის წახალისებისთვის ირღვევა, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეაგირების გარეშე რჩება.

მართლმადიდებელი ეკლესია ცალსახა უპირატესობით სარგებლობს უმაღლესი განათლების სფეროშიც. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება არსებობდეს საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურული ერთეულის ან ცალკე კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით. დამატებით, კანონის 31¹ მუხლის თანახმად, მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აფუძნებს, მის წესდებას ამტკიცებს და კანონით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ სტრუქტურა-

სა და მართვის ორგანოებს განსაზღვრავს, აგრეთვე, აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს ადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო დაწესებულებების შემდგომი პრივილეგიებისთვის 89⁴ მუხლის თანახმად, ეს დაწესებულებები 2015 წლის 1-ელ იანვრამდე ითვლებიან ავტორიზებულად და მხოლოდ ამის შემდეგ მოეთხოვებათ ავტორიზაციის გავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც რთული პროცესია და ქვეყანაში არსებული ყველა სხვა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სავალდებულოა.

კანონის დონეზე განმტკიცებულ პრივილეგიებსა და უთანასწორო მოპყრობას ემატება საჯარო სკოლების მასწავლებელთა დამოკიდებულებაც,⁴² რომელიც ორიენტირებულია მართლმადიდებლური სარწმუნოების პროზელიტიზმისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით. რელიგიური უმცირესობების – იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის, ლათინ კათოლიკეთა ეკლესიის, „ქართველ მუსლიმთა კავშირის“ წარმომადგენლები ინტერვიუებში მიუთითებდნენ მასწავლებელთა მიერ გაკვეთილებზე აგრესიული პროზელიტიზმის, განსხვავებული სარწმუნოების მოსწავლეების გაკიცხვისა და მათზე ზეწოლის ფაქტებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე დარღვევას ჰქონდა ადგილი სიმონ სხირტლაძის სახელობის ონის საჯარო სკოლაში, სადაც ბიოლოგიის მასწავლებელმა მშობელთან შეუთანხმებლად და არასრულწლოვანზე ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ 13 წლის ნ. გ. მონათლა მართლმადიდებლური წესით, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლის ოჯახის წევრების იეჰოვას მოწმე ქრისტიანები იყვნენ და ცნობილი იყო, რომ ოჯახი მართლმადიდებლური ნათლობის წინააღმდეგი იქნებოდა. ამ ფაქტმა არასრულწლოვანს მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი მიაყენა, თუმცაღა, სკოლის მასწავლებელს პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ სკოლის შინაგანაწესის დარღვევისთვის – სკოლიდან მოსწავლის თვითნებური გაათავისუფლებისთვის; დირექტორის გადაწყვეტილებით რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცი-

⁴² იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა „რელიგია საჯარო სკოლებში“, 2014, გვ. 11

ისა და ინდოქტრინაციის გამო მასწავლებელს რაიმე პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.⁴³

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უშუალო პასუხისმგებლობაა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათ შორის – საჯარო სკოლების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი.⁴⁴ როდესაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ასე ამკარად ირღვევა, მხოლოდ ფორმალური ახსნა-განმარტებით შემოფარგვლა და სამართალდარღვევის შინაგანაწესის დარღვევად დაკვალიფიცირება ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტი თავის მოვალეობას არ ასრულებს.

აღნიშნული შემთხვევა მიუთითებს, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტი არ ასრულებს მისი მანდატით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს და არ უზრუნველყოფს მოსწავლეების კანონით გარანტირებულ უფლებას, დაცულნი იყვნენ ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმისგან.

2.6. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია

საქართველოს კანონმდებლობის კიდევ ერთი სივრცე, სადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს ცალსახა უპირატესობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით, არის სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი და „საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას – ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური

⁴³ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი ქოჩიშვილის წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსს, ირაკლი მჟავანაძეს, ნო. 07-2-19/26267, 24/07/2012.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება ნო. 37 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, 2004 წლის 21 მაისი, მუხლი 41, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „გ“.

მართლმადიდებელი ეკლესია⁴⁵. აღნიშნული პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ არც ერთ სხვა რელიგიურ ორგანიზაციას არ შეუძლია პირდაპირი მიყიდვის წესით სახელმწიფო ქონების შემძენი იყოს, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომლისთვისაც სპეციალური გამონაკლისია დაშვებული. დამატებითი გარანტიის სახით ამავდროულად მუხლში ხაზგასმულია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს უფლება, უსასყიდლოდ მოახდინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზება⁴⁶. იგივე გარანტია გვხვდება კანონის მე-11 მუხლშიც, რომელიც დამატებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად აცხადებს მის სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაცია ცხადყოფს, რა აქტიურად იყენებენ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო პრივილეგიებს სახელმწიფო ქონების პრაქტიკულად უსასყიდლოდ, ერთ ლარად მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში გადასაცემად.

მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ 2011 წელს პრეზიდენტმა გამოსცა 6 განკარგულება მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი მიყიდვის წესით ქონების გადაცემის შესახებ და სულ მას გადაეცა დაახლოებით 12 ჰა (120 511, 5 კვმ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, მათზე არსებული შენობა-ნაგებობების ფართის გარეშე; 2012 წელს გამოიცა კიდევ 15 მსგავსი შინაარსის განკარგულება და საპატრიარქოს საკუთრებაში გადაეცა დაახლოებით 29 ჰა მიწა (299553,8 კვმ), ისევე მათზე განლაგებული შენობა-ნაგებობების ფართის გარეშე; 2013 წელს გამოიცა მხოლოდ 3 განკარგულება და საპატრიარქომ საკუთრებაში მიიღო დაახლოებით 0.6 ჰა (6207 კვმ) მიწა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ხოლო 2014 წელს ამ განკარგულებების ოდენობა ისევე გაიზარდა – გამოიცა 8 განკარგულება და მანქანებთან, ავტობუსებთან, შენობა-ნაგებობებსა და სხვა ინვენტართან ერთად საპატრიარქომ მიიღო საკუთრებაში დაახლოებით 12 ჰა (120 633 კვმ) მიწა.

⁴⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, №3512–რს, 2010 წლის 21 ივლისი, მუხლი 2, პუნქტი 1.

⁴⁶ იქვე, მუხლის 2, პუნქტი 2.

მაშინ, როდესაც ყოველწლიურად საქართველოს ყველა რეგიონში ყოველგვარი დასაბუთების, საპრივატიზაციო პირობების დადგენისა და სასყიდლის გარეშე საპატრიარქოს დიდი ღირებულების სახელმწიფო ქონება გადაეცემა, სხვა რელიგიური ორგანიზაციები ვერ ახერხებენ სახელმწიფოსგან საკუთრებაში მიიღონ მიწის მცირე ნაკვეთები მათზე განლაგებული შენობებით, რომლებიც წლების განმავლობაში ამ რელიგიური ორგანიზაციების სარგებლობაშია და მათი საკულტო ნაგებობების ფუნქციას ასრულებს.

მაგალითად, ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ მიმართა ეკონომიკისა და განვითარების სააგენტოს მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის პრივატიზების თხოვნით, რაზეც 2014 წლის იანვარში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უარი მიიღო. უარის საფუძველს წარმოადგენდა ზემოხსენებული „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს პირდაპირი მიყიდვის წესით სახელმწიფო ქონება ვერ გადაეცემა. სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მნიშვნელოვნად არ ჩათვალა ის, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ვრცელდება და თავისი არსითა და სამართლებრივი რეჟიმის თვალსაზრისით ასეთი რელიგიური ორგანიზაციები კერძო სამართლის იურიდიულ პირთან გათანაბრებული პირები არიან.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 576 კვმ მიწის ნაკვეთის პრივატიზება სურს საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიასაც ქუთაისში, რადგან ის ამ ნაკვეთით 1998 წლიდან სარგებლობს და აქვე ატარებს ღვთისმსახურებას. მათაც მიმართეს პრივატიზების თხოვნით ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს, თუმცა, მაღალი ალბათობით მათი სამართლებრივი სტატუსის გამო ისინიც ვერ შეძლებენ ამ ქონების საკუთრებად რეგისტრირებას.

3. საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით

3.1. საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 27 იანვრის დადგენილებების თანახმად, მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გარდა, დამატებით ოთხი რელიგიური ჯგუფისთვის აენაზღაურებინა საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი. ზიანი ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ 2014 წლის 27 იანვრამდე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებებს“. თუმცა, გაურკვეველია, რა კრიტერიუმის გამოყენებით ან რა ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეირჩა მხოლოდ ეს ოთხი კონფესია მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ანალოგიურად იდევნებოდნენ სხვა რელიგიური ჯგუფებიც (იეზიდები, ლუთერელები, კრიშნაიტები და სხვ.). დაზარალებულთაგან მხოლოდ ოთხი კონფესიის შერჩევა დისკრიმინაციული მოპყრობის კიდევ ერთი მაგალითია.

საზოგადოდ, სამართლებრივად ზიანის ანაზღაურება ემსახურება კონკრეტული პირისთვის სამართლებრივად დაცული ინტერესის შელახვის გამოსწორებას. ამისთვის, საჭიროა განისაზღვროს კონკრეტული ისტორიული მოვლენით ან მოვლენებით დაზარალებული პირი ან პირები, ქმედებები, რომლებმაც უშუალოდ გამოიწვიეს ზიანი და ბოლოს, დადგინდეს ზიანის ოდენობა. მთავრობის განსახილველი დადგენილება არც ერთ ამ ელემენტს არ შეიცავს. მთავრობა არ დაინტერესებულა იმის გარკვევით, კერძოდ, რომელ რელიგიურ გაერთიანებებს მიადგათ ზიანი საბჭოთა რეჟიმის დროს და თვითნებურად შეარჩია ოთხი რელიგიური აღმსარებლობა – ანუ დაზარალებულ პირთა წრე განისაზღვრა ისტორიული კრიტერიუმების გვერდის ავლით. ასევე, განმარტებიდან გამომდინარე, გაურკვეველია გამოწვეული ზიანის ოდენობაც: „უცნობია... ზიანის ზუსტი ოდენობა და ამდენად, ზიანის ანაზღაურება განხორციელდება სიმბოლურად... სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის ყოველწლიურად გამოყოფის გზით“. ამასთან, თუ ერთი რელიგიური აღმსარებლობა წარმოდგენილია რამდენიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის

მიერ, მათ მოეთხოვებათ ერთ იურიდიულ პირად გაერთიანება, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, ან ერთ-ერთი გაერთიანების სასარგებლოდ ანაზღაურების უფლების დათმობა, იმისთვის, რომ რელიგიურ გაერთიანებაზე თანხის გაცემა მოხდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს არა საბჭოთა კავშირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ გაურკვეველი და გაუმჭირვალე პროცესის შედეგად შერჩეული რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების გეგმას, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება განპირობებული იყოს უშუალოდ ამ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების მოტივით, მეორე მხრივ კი, მიზნად ისახავდეს საქართველოს საპატრიარქოსთვის წლების განმავლობაში მინიჭებული საბიუჯეტო სახსრების შემდგომ ლეგიტიმაციას იმის წარმოჩინებით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა სხვა რელიგიური გაერთიანებებიც სარგებლობენ საჯარო რესურსებით. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაღალი ალბათობით ზიანის ანაზღაურების დადგენილება მიმართულია არა უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრისკენ, არამედ არსებული უთანასწორო მოპყრობის შენარჩუნებისკენ და, იმავდროულად, ქმნის უთანასწორობის ახალ ტალღას ჩამოთვლილ ოთხ აღმსარებლობასა და საბჭოთა კავშირის დროს დაზარალებულ სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის, რომლებიც ამის მიუხედავად დახმარებას ვერ მიიღებენ.

2014 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო N437 განკარგულება „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“. აღნიშნული განკარგულების მიხედვით, ანაზღაურების მიზნით 2014 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა განისაზღვრა 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის განაწილების პირობების განსაზღვრა, ისევე როგორც ანაზღაურება, დაევალა სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“. ამ მიმართულებით სხვა ნაბიჯები ჯერჯერობით არ გადადგმულა.

3.2. საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია

20 წელზე მეტია, რაც რელიგიური გაერთიანებები, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქია საქართველოში, კათოლიკე ეკლესია, ევანგელურ-ლუთერული ეკლესია, მუსლიმთა თემი და იუდაური თემის წარმომადგენლები საბჭოთა რეჟიმის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუციას სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საპატრიარქო სარგებლობისა და საკუთრების უფლებით მართლმადიდებლური ტაძრები დაიბრუნა, თუმცა საპატრიარქოსთვის გადაცემულ ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს შორის, მართლმადიდებლურთან ერთად, ის ეკლესიებიც აღმოჩნდა, რომლებიც ისტორიულად სხვა რელიგიურ გაერთიანებებს ეკუთვნოდა. ამასთანავე, დაუბრუნებელი დარჩა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ის რელიგიური დანიშნულების ნაგებობები, რომლებიც საპატრიარქოს ინტერესს არ წარმოადგენდა, სახელმწიფო ან კერძო მფლობელობაში ირიცხებოდა და საზოგადოებრივი დანიშნულებით ფუნქციონირებდა (მაგ. თეატრი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და ა.შ.).

ამჟამად, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსგან ექვსი ტაძრის დაბრუნებას ითხოვს. მათგან ხუთი თბილისში და ერთი ახალციხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. რესტიტუციის გაჭიანურების გამო, სომხური ტაძრები, რომლებიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენს, დროთა განმავლობაში, მნიშვნელოვნად ზიანდება ან/და ინგრევა. ზოგ შემთხვევაში კი, მათი იერსახე მიზანმიმართულად იცვლება და მახინჯდება. კათოლიკე ეკლესია ვერ იბრუნებს ქუთაისის, გორის, ბათუმის, ივლიტასა (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და უდეს (ადიგენის მუნიციპალიტეტი) ეკლესიებს. ევანგელურ-ლუთერული ეკლესია ითხოვს სოფელ ასურეთის მოქმედი საკულტო ნაგებობისა და ბოლნისში ეკლესიის შენობის დაბრუნებას, რომელშიც ამჟამად სპორტული დარბაზია განთავსებული.

რელიგიური უმცირესობებისთვის აღნიშნული საკულტო ნაგებობების რესტიტუციის პრობლემა მოუგვარებელია, რადგან მათზე საკუთრების პრეტენზიას საქართველოს საპატრიარქო აცხადებს, ან

სახელმწიფომ ეს ტაძრები მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრების უფლებით უკვე გადასცა.

საქართველოში უფუნქციო მეჩეთებისა და სინაგოგების საკუთრების უფლებით დაბრუნების საკითხი პრობლემურია მუსლიმური და იუდაური თემებისთვისაც.

რელიგიურმა უმცირესობებმა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და შენობების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნების მიზნით სასამართლოს ორ შემთხვევაში მიმართეს. ქვემოთ, აღნიშნულ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზია წარმოდგენილი.

3.2.1. სინაგოგის საქმე

რელიგიური ორგანიზაციებისთვის საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ებრაელთა სინაგოგის საქმეზე, რომელიც 2001 წლის 10 აპრილს იქნა მიღებული.⁴⁷

საქმე ეხებოდა თბილისში არსებულ შენობას, რომელიც თბილისის ებრაელთა რელიგიური საზოგადოების მტკიცებით წარმოადგენდა ებრაელთა თემის სამლოცველოს და რომელიც მათ ჩამოართვეს გასული საუკუნის 30-იან წლებში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 1994 წლის განკარგულების თანახმად, ადგილობრივ ორგანოებს უნდა უზრუნველყოთ სხვა კულტურულ-ისტორიულ ობიექტებთან ერთად, ებრაელთა სალოცავების დაბრუნება კანონიერი მფლობელებისთვის. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის დადგენილებით, თბილისში, ათონელის ქ. 10-ში მდებარე შენობა საკუთრების უფლებით გადაეცა ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას. თუმცა, 1988 წლიდან შენობა ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა სახელმწიფოს ახალგაზრდულ დრამატულ თეატრ-სტუდია „მ.თ.“-ს, რომელმაც, თავის მხრივ, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შენობა გადასცა „ჯ.ბ.-ის სახელობის თბილისის ... ინსტიტუტს“. თეატრ-სტუდიამ და ინსტიტუტმა ჯერ საარბიტრაჟო, ხოლო ამ უკანასკნელის გაუქმების შემდეგ, საერთო სასამართლოებში დაიწყეს დავა ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისთვის შენობის გადაცემის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საპასუხო მოთხოვნის სახით, ებრაელთა რელიგიური საზოგადოება მოითხოვდა მათ გამოსახლებას სადავო შენობიდან. „მ. თ.“ და „ჯ.ბ.-ის სახელობის თბილისის ... ინსტიტუტის“ ერთ-ერთი არგუმენტი, რის გამოც უნდა გაუქმებულიყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის დადგენილება, იმაში მდგომარეობდა, რომ სადავო შენობა არ წარმოადგენდა ებრაელთა საკულტო ნაგებობას, ხოლო ებრაელთა რელიგიური საზოგადოება არ წარმოადგენდა სამართალსუბიექტს და

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ნო. 33/აღ132, 10 აპრილი, 2001.

შესაბამისად, მისთვის შენობის გადაცემას არ ჰქონდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შენობის საკულტო ხასიათი არ წარმოადგენდა დავის საგანს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანი იყო იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ფაქტობრივი საფუძველი ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას სადავო შენობის დაბრუნების მოთხოვნისთვის. სასამართლომ შეაფასა ისტორიული მტკიცებულებები შენობის წარმოშობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სადავო შენობის დაბრუნების მოთხოვნას ფაქტობრივი საფუძველი ჰქონდა და შესაბამისად, ძალაში დატოვა მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა სადავო შენობის ყოფილი სამლოცველო დარბაზის გადაცემას ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისთვის, ხოლო დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა შენობის სხვა ნაწილის გადაცემას, ბათილად ცნო.

ქვემოთ განხილული კათოლიკური ეკლესიის საქმეზე გადაწყვეტილების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, იყო თუ არა ქართველ ებრაელთა კავშირი პროცესში მონაწილეობის უფლების მქონე პირი, მიუხედავად იმისა, რომ ის არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს: „მართალია, კანონით დღემდე არ არის განსაზღვრული რელიგიურ ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის გამოცხადებულია კანონგარეშედ და რომ ასეთ ორგანიზაციებს (მორწმუნე პირების გაერთიანებებს) არა აქვთ თავიანთი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები... სადავო დადგენილებით... თბილისის მორწმუნე ქართველ ებრაელთა საზოგადოებას წარმოეშვა უფლებები და მოვალეობები, რომელიც მას საპროცესო უფლებაუნარიანობით აღჭურავს. [მათი] მონაწილეობა განპირობებული იყო არა მათი დამოუკიდებელი სარჩელით, არამედ მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვით“.⁴⁸ ებრაელთა რელიგიური საზოგადოების მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას დაუდგინდა საკუთრების უფლება სადავო შენობის იმ ნაწილზე, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ დადასტურდა საკულტო ნაგებობის არსებობა (წილობრივი თანასაკუთრება).

ამდენად, ამ საქმეში რელიგიურმა ორგანიზაციამ საკუთრების აღდგენა მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად არ წარ-

48 იქვე.

მოადგენდა რელიგიურ ორგანიზაციას და ამისთვის გადაწყვეტი იყო შენობის წარმომავლობის ისტორიული მტკიცებულებები და ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისთვის შენობის დაბრუნების შესახებ მუნიციპალიტეტის კაბინეტის გადაწყვეტილება. როგორც ვნახავთ, კათოლიკეთა ეკლესიის მიერ ქუთაისში ეკლესიის დაბრუნების მცდელობისას სასამართლომ განსხვავებული, ბევრად ფორმალისტური მიდგომა აირჩია.

3.2.2. ლათინ კათოლიკეთა ეკლესიის საქმე

ლათინ კათოლიკეთა ეკლესია ერთ-ერთია საქართველოში მათ შორის, ვინც ვერ ახერხებს საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ტაძრების დაბრუნებას. ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის დაბრუნებისთვის გამართული სამართალწარმოება ნათელს ფენს სამართლებრივი პრობლემების მთელ რიგს, რასაც აწყდება რელიგიური უმცირესობა თავისი საკუთრების აღდგენის გზაზე, განსაკუთრებით, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია სადავო ქონებას ეუფლება და მასზე პრეტენზია უჩნდება.

2000 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკურმა მრევლმა საბჭოთა კავშირის დროს ქუთაისში ჩამორთმეული ეკლესიის დასაბრუნებლად დააფუძნა კავშირი „სავარდი“.

2001 წლის 21 დეკემბერს კავშირმა „სავარდი“ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სადავო ნაგებობა 1990 წლიდან მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა, ხოლო 2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენს. დამატებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კავშირი „სავარდი“ არ წარმოადგენდა კათოლიკე ეკლესიის სამართალმემკვიდრეს.

კავშირმა „სავარდი“ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

- 2000 წელს დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი – კავშირი „სავარდი“ წარმოადგენდა თუ არა XIX-XX საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე რომის კათოლიკე ეკლესიის რელიგიური საზოგადოების სამართალმემკვიდრეს.
- 1939 წელს ქართველ კათოლიკე მორწმუნეთა საზოგადოებისთვის ჩამორთმეული ტაძარი წარმოადგენდა თუ არა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ქონებას საქმის განხილვის მომენტისთვის.
- არსებობდა თუ არა სამართლებრივი საფუძველი, რათა პრეზიდენტს თავისი აქტით გადაეცა სადავო ეკლესია „სავარდისთვის“, როდესაც ეკლესია 2003 წლის 6 მარტიდან რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელზე.

სასამართლომ სამივე კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა. უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ კავშირი „სავარდი“ არ იყო XIX-XX საუკუნეებში საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიის რელიგიური საზოგადოების სამართალმემკვიდრე, რადგან ეს არ დასტურდებოდა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტაციით. ამიერკავკასიაში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორის, მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოს წერილი ადასტურებდა, რომ „სავარდი“ იყო რომის წმინდა საყდრის მიერ აღიარებული, წარსულში მოქმედი კათოლიკე რელიგიური გაერთიანებების ერთადერთი მემკვიდრე ორგანიზაცია. აღნიშნული მტკიცებულება სასამართლომ უგულვებელყო როგორც გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსის მქონე, იმ მიზეზით, რომ საქართველოში ვატიკანის წარმომადგენლობას არ მოუხდენია ამ ინსტიტუტების ლეგიტიმაცია.

ერთი მხრივ, გაურკვეველია, რატომ არ მოითხოვა სასამართლომ ამ ტიპის ლეგიტიმაციის მტკიცებულების წარმოდგენა ვატიკანის წარმომადგენლობისგან ან თავად მხარისგან, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული პროცესის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ინკვიზიციურობაა და სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია მტკიცებულებების მოპოვება. ამის ნაცვლად, სასამართლო შემოიფარგლა

მხოლოდ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გაქარწყლებით და სხვა უფრო რთული კრიტერიუმების შემუშავება არ უცდია იმის გამოსარკვევად, შეიძლებოდა თუ არა კავშირი „სავარდი“ ისტორიულად არსებული კათოლიკე რელიგიური ორგანიზაციების სამართალმემკვიდრედ ჩათვლილიყო. ეს მიდგომა კონტრასტს ქმნის ზემოგანხილული სინაგოგის გადაწყვეტილებასთან, სადაც „სამართალმემკვიდრე“ – ებრაელთა რელიგიური საზოგადოება აგრეთვე არ წარმოადგენდა არათუ რელიგიურ ორგანიზაციას, იურიდიულ პირსაც კი. ამისდა მიუხედავად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობას ამ საკითხზე არ უნდა შეეშალა ხელი ორგანიზაციის კონსტიტუციური უფლებების დაცვისთვის. ლათინ კათოლიკეთა საქმეში „სავარდის“, როგორც კათოლიკე თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის, კონსტიტუციურ უფლებებზე სადავო ეკლესიაზე მსჯელობა საერთოდ არ გამართულა და საკითხი მისი სამართლებრივი სტატუსის ფორმალური შეფასებით ამოიწურა.

დამატებით, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ეკლესია, რომელიც 1939 წლამდე კათოლიკეთა რელიგიური ღვთისმსახურების ადგილს წარმოადგენდა, დავის მომენტში „მართლმადიდებლური ეკლესია“ იყო. დადგინდა, რომ 1988-1989 წლებში ქ. ქუთაისის კათოლიკურმა საზოგადოებამ 1939 წელს ჩამორთმეული ეკლესიის შენობის დაბრუნების მოთხოვნით ქუთაისის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე მიმართა შუამდგომლობით. მათი თხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭომ 1989 წელს ეკლესია სარგებლობისთვის გადასცა მართლმადიდებელ მორწმუნეთა საზოგადოებას. ამასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილს მიღებული დადგენილებით, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობაში არსებული ყველა საკულტო ნაგებობა მის საკუთრებად გამოცხადდა. როგორც უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, „ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტები არავის გაუუქმებია, დღესაც კანონიერ ძალაშია და ამდენად, 1989-1990 წლებიდან ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაა“. დამატებით, სასამართლომ მიუთითა 2002 წლის ოქტომბერში სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველ პუნქტზე: „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს...“. აღნიშნულის საფუძველზე ვაკეთდა დასკვნა, რომ

რადგან სადავო ეკლესია ქუთაისი-გაენათის სახელზე იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, სადავო ეკლესია საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენდა.

აქ მართებული იქნება შედარება ანჩისხატის ტაძრის ეზოში არსებულ შენობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან (ზემოთ, II.4 ნაწილი). იქაც ოფიციალურად შენობა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ფონდმა დაირეგისტრირა, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა ისტორიული მტკიცებულებები, რომ ის საკულტო ნაგებობის ანჩისხატის ნაწილს – საეპისკოპოსო სახლს წარმოადგენდა და გააუქმა ფონდის საკუთრების რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში, თავად ის ფაქტი, რომ ეკლესია უკვე საპატრიარქოს საკუთრებად იყო რეგისტრირებული, კათოლიკეთა მოთხოვნაზე უარის თქმის ავტომატური საფუძველი გახდა და სასამართლოს არც უცდია შეეფასებინა, რამდენად კანონიერი და საფუძვლიანი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აღნიშნულ ტაძარზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

რაც შეეხება კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის არგუმენტს, იქ საკმაოდ ნათლადაა გადმოცემული მიდგომა: ეკლესია ან მონასტერი უპირველესად მართლმადიდებლური უნდა იყოს და ეს არის პირობა მისი საპატრიარქოს საკუთრებად გამოცხადებისთვის. ამის ნაცვლად, სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემულია საპირისპირო მსჯელობა: იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული ეკლესია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელზეა რეგისტრირებული, ამიტომ უნდა ჩაითვალოს მართლმადიდებლურად. ეს არის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის დისკრიმინაციული ინტერპრეტაციის ნათელი მაგალითი. „სავარდის“ მიერ წარმოდგენილი ისტორიული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს სწორედ იმაზე უნდა ემსჯელა, იყო თუ არა ეკლესია მართლმადიდებლური, რაც მეორე ეტაპზე მისი ამჟამინდელი მესაკუთრის – საპატრიარქოს კანონიერების შემოწმების საშუალებას შექმნიდა. ამის ნაცვლად, საკუთრების რეგისტრაცია ეკლესიის მართლმადიდებლური წარმომავლობის დამადასტურებელ მტკიცებულებად იქნა გამოყენებული და თავისთავად ამოიწურა ეკლესიაზე საკუთრების უფლებისთვის დავის შესაძლებლობა, რაც კათოლიკე თემის ინტერესების სრული უგულებელყოფით მოხდა.

ეს გადაწყვეტილება სინაგოგისა და ანჩისხატის ეკლესიის საქმისგან იმითაც გამოირჩევა, რომ წინა ორ შემთხვევაში ეკლესიის წარმომავლობის შესახებ ისტორიულ მტკიცებულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრების საკითხის გადასაწყვეტად, განსახილველ შემთხვევაში კი სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია ეკლესიის წარმომავლობაზე. თუმცა, ამ მხრივ, არც არავის გაუხდია სადავოდ ის ფაქტი, რომ საქმე ნამდვილად 1939 წელს ჩამორთმეულ კათოლიკურ ეკლესიას ენებოდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, რომ პრეზიდენტს გამოეცა აქტი, რომლითაც მას სარგებლობაში გადაეცემოდა სადავო ეკლესია, საფუძველს მოკლებული იყო, რადგან სადავო საკუთრება აღარ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. სადავო ქონება უკვე საპატრიარქოს საკუთრება იყო და შესაბამისად, პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლებამოსილება ამ ეკლესიის გამოდავაში ჩარევისა.

იმის გათვალისწინებით, რომ საპატრიარქოს სადავო ეკლესიაზე საკუთრების უფლება ეფუძნებოდა თანასწორი მოპყრობის პრინციპების უგულვებლყოფით მიღებულ რამდენიმე ადმინისტრაციულ აქტს, გამოსავალი სწორედ ამ აქტების გაუქმებასა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გზით საკუთრების საკითხის ხელახლა გადაწყვეტაში მდგომარეობდა. შესაბამისად, ბოლო საკითხზე სასამართლოს პასუხი წარმოადგენდა დავის არსის იგნორირებას, კათოლიკე საზოგადოების შელახული საკუთრების და რელიგიური ინტერესის გამო სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის მოხსნის მცდელობასა და ახალი მესაკუთრისკენ – საპატრიარქოსკენ მოსარჩელის გადამისამართებას.

ამ გადაწყვეტილებამ ცუდი პრეცედენტი შექმნა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ არასწორად რეგისტრირებული საკულტო ნაგებობების დაბრუნების პერსპექტივის თვალსაზრისით. თავად ლათინ კათოლიკეებსაც აღარ უდავიათ მათი სხვა ეკლესიების დასაბრუნებლად სასამართლო წესით. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ სასამართლომ ამ ტიპის დავებში ვერ შეძლო ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და კათოლიკე თემის კონსტიტუციური უფლებების დამცველის როლის შესრულება, რითაც რელიგიური უმცირესობის უფლებრივი დაცვის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

4. რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევები და მართლმსაჯულების აღსრულება

2007 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ.⁴⁹ აღნიშნულ საქმეში, რომელიც ენებოდა მამა ბასილსა და მისი მომხრეების თავდასხმასა და ძალადობას იეჰოვას მოწმე ქრისტიანებზე 1999 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა კარგად დოკუმენტირებულ ძალადობის ფაქტებზე ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობისა და სათანადო და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარების ვალდებულების დარღვევის გამო. დარღვეულად ჩაითვალა აგრეთვე კონვენციის მე-9 მუხლი, რადგან ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ტოლერანტული გარემო, სადაც მოსარჩლეები მოახერხებდნენ, ესარგებლათ თავიანთი რწმენის თავისუფლებით. მე-9 და მე-3 მუხლთან მიმართებით კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოები თავიანთი უმოქმედობით მამა ბასილსა და მის მომხრეებს სიძულვილით მოტივირებული გამოსვლებისა და რელიგიური ნიშნით ძალადობის საშუალებას აძლევდნენ და პრაქტიკულად მისი ძალადობის თანამონაწილეები იყვნენ, რითაც აშკარად არღვევდნენ კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორობის პრინციპს.

ამდენად, რელიგიური დისკრიმინაციით მოტივირებული სამართალდარღვევების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოების მიერ ეფექტური ზომების მიღება პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად და დასასჯელად თავისთავად გამომდინარეობს ადამიანის არასათანადო მოპყრობისგან დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ისევე როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა, შეიცავს მთელ რიგ დებულებებს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების აღსაკვეთად, აგრეთვე, სიტყვიერ შეურაცყოფაზე (გინებაზე, შეურაცხმყოფელ გადაკიდებაზე) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. იმის შესა-

⁴⁹ საქმე „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“, განაც. 71156/01, 2007 წლის 3 მაისი.

მოწმებლად, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება ამ რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ სამართალდარღვევებზე მართლმსაჯულება, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა სისხლის სამართლის შესაბამის მუხლებთან დაკავშირებით დევნისა და მსჯავრდადების სტატისტიკა გამოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, აგრეთვე, შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად მიმართა საქართველოში არსებულ ყველა საერთო სასამართლოს. ხელისუფლების ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის შედარება იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის მიერ წარმოებულ სამართალდარღვევის ფაქტების სტატისტიკასთან საშუალებას იძლევა დავასკვნათ, თუ რამდენად ეფექტური იყო საქმის გამოძიება და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა.

ბოლო ნაწილში განხილულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და სამართლის განმარტების პრობლემები.

4.1. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის მიერ აღრიცხული სამართალდარღვევები და მათი საგარტლებრივი შედეგები

იეჰოვას მოწმებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ გასული წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა მრავლობით შემთხვევას, როდესაც იეჰოვას მოწმეებს რელიგიური წესების მშვიდობიანი შესრულების პროცესში ან რელიგიური აღმსარებლობის გამო აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ან აზიანებდნენ ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ შენობებს – სამეფო დარბაზებს, ამტვრევდნენ ფანჯრებს ან აბრებს. როგორც იეჰოვას მოწმეების წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს განაცხადა, ამგვარი შემთხვევების რიცხვი 2012 წელს 10-მდე იყო, 2013 წელს კი 40-ს გადააჭარბა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შედარებით იშვიათად ეკისრებათ ამ ტიპის სამართალდარღვევებისთვის, მაშინაც კი, როდესაც შეურაცხყოფის მიმყენებელი პირი იდენტიფიცირებულია და იმეორებს კიდევ დანაშაულებრივ ქმედებას.

ამის შთამბეჭდავი მაგალითია სასულიერო პირი ი. ხ., რომელმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა იეჰოვას მოწმეებს, ო. ყ.-ს და ი. ც.-ს 2013 წლის 6 ოქტომბერს კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში. რამდენიმე წლით ადრე, 2008 წლის 9 დეკემბერს, იმავე პირმა იეჰოვას მოწმეების სხვა მიმდევრებს, კერძოდ, ბ. ო.-ს და პ. მ.-ს, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო 23 დეკემბერს – სიტყვიერი შეურაცხყოფა; აგრეთვე, დაემუქრა მათ ცემით. ბ. ო.-სა და პ. მ.-ს მიმართ იგივე გაიმეორა 2009 წლის 3 ივლისს. კიდევ უფრო ადრე კი, 2007 წლის 20 მარტს, ი. ხ. ცდილობდა იეჰოვას მოწმეების – ი. გ.-სა და ი. ზ.-ს ეკლესიაში ძალის გამოყენებით შეყვანას.

2008 წელს განხორციელებული შეურაცხმყოფელი და ძალადობრივი აქტების პასუხად, შსს კასპის რაიონულ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საფუძველზე (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონო ხელის შეშლა). თუმცა, 2009 წლის 12 აპრილით დათარიღებული გორის რაიონული პროკურორის მოადგილის პასუხიდან ჩანს, რომ წინასწარი გამოძიება 2009 წლის 30 იანვარს შეწყდა და ი. ხ.-ს მიმართ სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

ძიების შეწყვეტის თაობაზე ასეთი შინაარსის დოკუმენტი შედგა:

„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით გამოირკვა, რომ... მღვდელმა ი. ხ.-მ სოფლის ქუჩაში მყოფ ბ. ო.-ს ხელი ჩაავლო ჰალსტუხში და რამოდენიმეჯერ უბიძგა, შემდეგ ზურგის არეში ხელი ჩაარტყა, რის შემდეგ იეჰოვას მოწმეებმა გაქცევით უშველეს თავს. 2008 წლის 23 დეკემბერს... ი. ხ.-მ სახალხოდ ამხილა ცრუ მოძღვრებაში პ. მ. და ბ. ო. ... ბ. ო. შეეპასუხა მას, რა დროსაც მღვდელმა ი. ხ.-მ ხელი შემოარტყა სახეში და შეაგინა დედის მისამართით...“

მოწმეთა დაკითხვით დადგენილია, რომ იეჰოვას მოწმეებს ი. ხ. ხვდებოდა მხოლოდ ქუჩაში. მათთვის ჯანმრთელობის დაზიანებები არ მიუყენებია და ძალადობა ან ძალადობის მუქარა არ განუხორციელებია. იგი არასოდეს არ მისულა იეჰოვას მიმდევრებისთვის სპეციალურად გამოყოფილ სახლში და ხელი არ შეუშლია მათი რელიგიური წესის აღსრულებისთვის.

2009 წლის 30 იანვარს სისხლის სამართლის N028090017 საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო⁵⁰.

აღნიშნული დოკუმენტი, ერთი მხრივ, უცნაურად გამოიყურება სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც დასჯადია „ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა“. გაუგებარია, საიდან დაასკვნა გორის პროკურატურამ, რომ ქუჩაში არ შეიძლება „რელიგიური წესის შესრულებას“ შეუშალონ ხელი 155-ე მუხლის მიზნებისთვის და რა ნაწილში მოითხოვს 155-ე მუხლი „სპეციალურად გამოყოფილ სახლში“ მისვლას ამ მიზნით? გაუგებარია ისიც, ფიზიკური ძალადობის („ზურგის არეში ხელი ჩაარტყა“, „რამოდენიმეჯერ უბიძგა“, „ხელი შემოარტყა სახეში“) ქმედებების აღწერის შემდეგ, როგორ დაასკვნა პროკურატურამ, რომ დაზარალებულების მიმართ ადგილი არ ჰქონია „ძალადობას“, ან თუ 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები არ იყო, რატომ არ გადაკვალიფიცირდა ჩადენილი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებულ „ცემის“ დანაშაულად.

2009 წელს სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებით შეიძლება აიხსნას ის, რომ ი. ხ. 2013 წელსაც აგრძელებდა იეჰოვას მოწმეების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას და სხვებსაც აძლევდა იმავეს გაკეთების მაგალითს, რაც დასტურდება კასპის რაიონის პოლიციის რაიონულ სამმართველოში იურიდიული ფირმის, ამხანაგობის „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ 2013 წლის 24 ოქტომბერს გაგზავნილი N13-028 წერილით. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ ამ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა).⁵¹

⁵⁰ გორის რაიონული პროკურორის მოადგილის წერილი საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს რეგიონულ ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორს, თამილა ჰაპავას, გ10.04.200 9/16, 10.04.2009.

⁵¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი MIA 8 14 00949196 იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულ ორგანიზაციას, 20/05/2014.

2014 წლის 25 მარტს იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ 2013 წელს მომხდარი ინციდენტების გამო წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველს, სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რათა ყურადღება გაემახვილებინათ იმ ფაქტზე, რომ იეჰოვას მოწმეების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის თუ მათი შენობების დაზიანების ფაქტების უმრავლესობა რჩება ეფექტური გამოძიების გარეშე, ან გამოძიების შედეგები არ არის ცნობილი დაზარალებულებისთვის მათი მცდელობის მიუხედავად.⁵² როგორც აღნიშნული წერილიდან ჩანს, გამოძიება უმეტესად სრულდება დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების მიერ ბოლის მოხდითა და ხელწერილის დაწერით, სისხლისსამართლებრივი დენის დაწყების გარეშე.

ამ წერილში მოყვანილი სამართალდარღვევის ფაქტების დაჯგუფება შინაარსის მიხედვით საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ 2013 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის შენობების ან სტენდების დაზიანების, ან ლიტერატურის დახვევის 21 შემთხვევას, სიტყვიერი შეურაცხყოფის – 19 შემთხვევას, ფიზიკური შეურაცხყოფის – 21 შემთხვევას, პოლიციელის მუქარის ერთ შემთხვევას, სახლში შეჭრის 2 შემთხვევას.

აღნიშნულ წერილზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხით⁵³ ირკვევა, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფის ან ლიტერატურის დახვევის შემთხვევაში (თუ ეს არ იწვევს ქონებრივ ზიანს და რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლას) სამართალდარღვევის ჩამდენ პირს აწერიან ხელწერილს ან აძლევენ წერილობით გაფრთხილებას. ერთ შემთხვევაში პირი დაჯარიმდა 100 ლარით წვრილმანი ხულიგნობისთვის. ქონების დაზიანების შემთხვევების უმეტესობაშიც, იმის გამო, რომ გამოწვეული ზიანი მცირე მოცულობის იყო (ზიანის მოცულობა არ აღწევდა 150 ლარს⁵⁴) ან

52 იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში, წერილი №15/14 საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, სახალხო დამცველთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრს, 2014 წლის 25 მარტი.

53 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი MIA 8 14 00949196 იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციას, 20/05/2014.

54 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად, დანაშაულია ქონების დაზიანება, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად კი, მნიშვნელოვანია ზიანი, რომლის ღირებულება აღემატება 150 ლარს.

შესაბამისი პირები იყვნენ არასრულწლოვანები, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ხელწერილის დაწერის ან გაფრთხილების სახით. თუმცა, ერთ შემთხვევაში ჩაითვალა, რომ ქონების დაზიანება ქმნიდა დევნის დანაშაულის შემადგენლობას და პირს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, მეორე შემთხვევაში კი მიმდინარეობს გამოძიება ქურდობის დანაშაულზე. რაც შეეხება ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ერთ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება ცემის დანაშაულზე (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 125), სხვა შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე (მუხლი 118), ოთხ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება დევნის დანაშაულზე (მუხლი 156), ხოლო კიდევ ერთ შემთხვევაში – რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლაზე (მუხლი 155). ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევების მნიშვნელოვან ნაწილში, რაც იეპოვას მოწმეთა ორგანიზაციის წერილშია აღწერილი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ დაადგინა, რომ ფიზიკურ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი.

იმისთვის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გაატარონ ეფექტური ღონისძიებები რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი სამართალდარღვევების აღსაკვეთად, რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან პასუხისმგებლობის უმკაცრესი ზომების მოთხოვნა.

- თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიური უმცირესობები ამ ტიპის სამართალდარღვევების სიჭარბეზე მიუთითებენ, მართებული იქნება, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა იყოს უფრო მკაცრი. რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლის ან დევნის დანაშაულებზე პირებს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ უნდა გაუფორმდეთ საპროცესო შეთანხმება და მით უმეტეს, განრიდება, რათა მათმა ქცევამ საჯარო სასამართლო პროცესზე მიიღოს სამართლებრივი შეფასება.
- ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ უშვებს ქონებრივი ზიანის გამო დევნის დაწყებას, როდესაც ზარალი არ აღემატება 150 ლარს, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ქმედების

ჩამდენი პირების მოტივზე. როცა ადგილი აქვს ქონებრივი ზიანის მიყენებას მხოლოდ რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით და ქონება ზიანდება კონკრეტული პირთა ჯგუფის შევიწროების მიზნით, მართებული იქნება, ქონების დაზიანებისთვის პასუხისმგებლობა დადგეს დევნის დანაშაულის გამო. როდესაც ამ ტიპის დარღვევას აქვს სისტემატური ხასიათი, ის ერთიანობაში ქმნის კონკრეტული რელიგიის მიმდევრებისთვის დევნის ატმოსფეროს.

- ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც იმავე ან სხვა პირების მიერ მსგავსი ქმედების აღკვეთას შეძლებს სამომავლოდ. იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევები, მათი რაოდენობის ზრდისა და სისტემატური ხასიათის გამო არ ტოვებს იმის საშუალებას, რომ აქამდე მათ მიმართ გატარებული ზომები ეფექტურად ჩაითვალოს რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული სამართალდარღვევების პრევენციის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლევის წინასწარი შედეგების განხილვისას მიგვიითითეს, რომ განრიდება აღნიშნულ პირებთან გაფორმდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსულტაცია გაიარეს დაზარალებულებთან დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირებისთვის განრიდების გაფორმების თაობაზე; ასევე, განრიდებულმა პირებმა დაზარალებულის თანდასწრებით გამოხატეს სინანული ჩადენილი ქმედების გამო და გასწიეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. რაც მთავარია, დაზარალებულებს ჰქონდათ საშუალება, აღეწერათ მათთვის მიყენებული ზიანი და ჩართულნი ყოფილიყვნენ პროკურატურის მიერ წარმოებულ პროცესში.

პროკურატურის პოზიციის თანახმად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაც ცალსახად არ გულისხმობს ბრალდებულისთვის შეღავათების გაწევას, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-156-ე მუხლები ნაკლებად მძიმე დანაშაულებს წარმოადგენს და ამ დანაშაულებზე სასამართლოსაც შეუძლია სასჯელის სახით დაადგინოს ჯარიმა ან დანიშნოს პირობითი მსჯავრი. ამდენად, არამართებულია რელიგი-

ური მოტივებით ჩადენილი ქმედებებისთვის ბრალდებულ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება აღქმულ იქნეს როგორც პროკურატურის მიერ მსუბუქი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების მანიშნებელი.

თუმცა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში ყურადღება მახვილდება არა სასჯელის სიმკაცრეზე, არამედ დანაშაულის ჩამდენი პირების საჯარო გასამართლებასა და მათი ქმედების საჯარო სამართლებრივ შეფასებაზე, რასაც დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით დიდი ღირებულება აქვს როგორც ამ პირის მიერ, ისე სხვა პირების მიერ იდენტური დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად. აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად საჯარო სასამართლო განხილვა, სადაც დეტალურად განიხილება მტკიცებულებები და შეფასება ეძლევა პირის ქცევას, მეტისმოცემია, ვიდრე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შეკვეცილი წარმოება სასამართლოში.

4.2. მუსლიმთა თემის წინააღმდეგ 2012-2013 წელს ჩადენილი სამართალდარღვევები

2012-2013 წლებში ადგილი ჰქონდა მუსლიმთა თემის უფლებების უხეში დარღვევის რამდენიმე ფაქტს, რომლებიც მსგავსი სცენარით ვითარდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და გულისხმობდა ადგილობრივი მუსლიმებისთვის ღვთისმსახურების ჩატარებაში აგრესიული ფორმით ხელის შეშლას მართლმადიდებელი უმრავლესობის მიერ, რის მიმართაც ხელისუფლების, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები იჩენდნენ შემგუებლურ დამოკიდებულებას და ზოგჯერ ხელსაც უწყობდნენ.

მუსლიმთა უფლებების მასშტაბურად შელახვას ჰქონდა ადგილი 2012 წლის მიწურულს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგეზიანსა და მოგვიანებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში,⁵⁵ 2013 წელს⁵⁶ კი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტე-

⁵⁵ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012, გვ. 520-523; იხ. აგრეთვე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, 2013.

⁵⁶ მუსლიმთა რელიგიურ ნიადაგზე დევნის შემთხვევას ჰქონდა ადგილი ქობულეთის სოფელ ციხისძირში, თუმცა, ეს შემთხვევა განსხვავდება თავისი შინაარსით და მასშტაბით ამ თავში

ტის სოფელ სამთაწყაროში.⁵⁷ ამ სოფლებში მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა ქართველი მუსლიმების მიერ მეჩეთის ამოქმედებას და სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გზით მათ ტრადიციული ღვთისმსახურების ჩატარების საშუალებას არ აძლევდა.

როგორც სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშშია აღნიშნული, „ნიგვზიანსა და წინწყაროში ლოცვასთან დაკავშირებული პრობლემა ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევის შედეგად რელიგიური უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით... ამოიწურა და 2013 წელს ამ სოფლებში ლოცვა დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა“.⁵⁸ თუმცა, ის ფაქტი, რომ რელიგიურ უმცირესობაზე ძალადობისა და ხელის შეშლის ფაქტის გამო არავინ დასჯილა და ამ ტიპის სამართალდარღვევების ზოგადი პრევენციისთვის სათანადო ზომები არ მიიღება, კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავაკავშიროთ იმასთან, რომ უფლებების შელახვის მსგავსი შინაარსის, თუმცა, კიდევ უფრო მწვავე შემთხვევა მოხდა 2013 წელს სამთაწყაროსა და ქელაში.

2013 წლის მაისიდან სოფელ სამთაწყაროში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ეპიზოდს, როდესაც სამთაწყაროსა და მეზობელი სოფლების მოსახლეობა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, გზის გადაკეტვისა და მუქარის მეშვეობით ხელს უშლიდა მუსლიმთა თემს რელიგიური მსახურების ჩატარებაში. რამდენიმე შემთხვევაში მართლმადიდებელ მოსახლეობასთან ერთად იმყოფებოდა სოფელ სამთაწყაროს რწმუნებული გ. ნ., რომელიც არ უშლიდა ხელს მათ ძალადობრივ აქტებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, კერძოდ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს მუსლიმი სასულიერო პირებისთვის სამლოცველოსთან მისასვლელი გზის გახსნა და საზოგადოდ, მუსლიმებისთვის ღვთისმსახურების უფლების უზრუნველყოფა, რაც სახელმწიფოს პოზიტიური მოვალეობის დარღვევას წარმოადგენდა.

განხილული სხვა შემთხვევებისგან და ქვემოთ სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის თავშია (მე-4 თავი) დეტალურად განხილული.

⁵⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, გვ. 297-304.

⁵⁸ იქვე, გვ. 296.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციით, დაიწყო გამოძიება დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული სს კოდექსის 155-ე მუხლის 1 ნაწილით) და დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობის მიერ მუსლიმი სასულიერო პირის ოჯახის მიმართ განხორციელებულ მუქარაზე (კოდექსის 151-ე მუხლით). 2013-2014 წლებში (2014 წლის პირველი კვარტალი) გამოძიების ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დამატებითი ინფორმაცია ვერ მიიღო. საქართველოს სახალხო დამცველის წინადადების პასუხად მას აცნობეს, რომ დედოფლისწყაროს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელ გ.ნ.-ს დისციპლინური გადაცდომისთვის გამოეცხადა გაფრთხილება.⁵⁹

ზემოგანხილულ შემთხვევებთან შედარებით, უფლებათა შელახვის კიდევ უფრო მძიმე ფაქტს ჰქონდა ადგილი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში, რადგან დამრღვევები უშუალოდ საჯარო მოხელეები იყვნენ: 2013 წლის 26 აგვისტოს შემოსავლების სამსახურმა დაშალა მინარეთი, როგორც ქვემოთ იქნება განმარტებული, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; იმავდროულად, შსს-ს თანამშრომლებმა ძალა გამოიყენეს იმ მუსლიმების მიმართ, ვინც დემონტაჟის გაპროტესტება სცადა.

ამ შემთხვევაშიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დემონტაჟს წინ უსწრებდა მედიაში გავრცელებული მართლმადიდებელი მოსახლეობის უკმაყოფილება სოფელ ჭელაში მინარეთის კონსტრუქციის დადგმის თაობაზე. მართლმადიდებელი მოსახლეობის პროტესტი აღწერილი იყო აგრეთვე სახალხო დამცველისადმი ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ-ვაშიც.⁶⁰

სიტუაცია, როდესაც მართლმადიდებელი მოსახლეობის პროტესტს რელიგიური უმცირესობის აგებული ან მშენებლობის პროცესში მყოფი საკულტო ნაგებობის მიმართ მოსდევს საჯარო მოხელეების მიერ კანონით დადგენილი პროცედურებით მანიპულირება მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად,

⁵⁹ იქვე, გვ. 300.

⁶⁰ იქვე, გვ. 302.

ერთმნიშვნელოვნად აერთიანებს ჭელას შემთხვევას ქვემოთ განხილულ თერჯოლის მშენებლობის შემთხვევასთან, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მშენებლობის ნებართვა შეაჩერა კანონიერი საფუძვლის გარეშე, მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ იეჰოვას მოწმეთა კავშირის მშენებლობის გაპროტესტების შემდეგ. ეს მიუთითებს საქართველოში საჯარო მოხელეთა ქცევის მოდელზე, სადაც ისინი საჯარო უფლებამოსილებას იყენებენ რელიგიური უმცირესობის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩასაყენებლად, რაც, ერთი მხრივ, რელიგიური უმრავლესობის დაკვეთის დაკმაყოფილებაა, მეორე მხრივ კი, რელიგიური უმცირესობის უფლების არსებით შეზღუდვას იწვევს და შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) შემადგენლობას ქმნის.

საჯარო მოხელეების დანაშაულის ჩადენის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის, რომ მათ მიერ საჯარო უფლებამოსილების უკანონო გამოყენებას ჰქონდა ადგილი, რაც მკაფიოდ არის სახეზე ჭელას შემთხვევაში. შემოსავლების სამსახურის მტკიცებით, თურქეთიდან შემოტანილი მინარეთის დემონტაჟი განხორციელდა იმის გამო, რომ საბაჟოზე შემოტანილი საქონლის არასწორი კლასიფიცირების გამო შეიძლებოდა შემცირებულიყო იმპორტის გადასახდელის ოდენობა და ამის გამორკვევა გასვლითი შემოწმებისა და ლითონის კონსტრუქციის „ფიზიკური დათვალიერებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია.“⁶¹

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განბაჟებისას მინარეთს „თავად შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა პირმა მიანიჭა სასაქონლო კოდი, რომელიც თავისუფლდებოდა იმპორტის გადასახადისგან“⁶², როგორც თურქეთში წარმოებული საქონელი. შესაბამისად, კონსტრუქციის ფიზიკური მახასიათებლები და ექსპერტიზის შედეგები, რომელიც თავისთავად, პროცედურის უხეში დარღვევით ჩატარდა,⁶³ ვერ შეცვლიდა იმპორტის გადასახადისთვის მნიშვნელოვან იმ გარემოებას, რომ წარმოშობის ქვეყნის გამო, საქონელი გათავისუფლებული იყო იმპორტის გადასახადისგან. შესაბამისად, იმპორტის გადასახადის ოდენობის დადგენის საბაზი შემოსავლების სამსახ-

⁶¹ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენების შესახებ, 29 აგვისტო, 2013.

⁶² სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, იხ. ზემოთ შენიშვნა 58, გვ. 303.

⁶³ დეტალები იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადებაში, შენიშვნა 62.

ურის ცალსახად ყალბი არგუმენტი და კიდევ ერთხელ ჩატარებული ღონისძიების უკანონობასა და შესაბამისი საჯარო მოხელეების სავარაუდო დანაშაულზე მიუთითებს.

მუსლიმთა თემის დარღვეულ უფლებებზე პასუხისმგებლობის აღებისა და ჭელას შემთხვევაში თანამდებობის პირების ქმედებების მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების ნაცვლად, სახელმწიფომ პრობლემის მოგვარების უფლებამოსილების არაფორმალური დელეგირება განახორციელა საქართველოს საპატრიარქოზე. 2013 წლის 28 აგვისტოს საპატრიარქოში გაიმართა შეხვედრა მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებსა და მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელობას შორის მოჭრილი მინარეთის საკითხის თაობაზე. ამ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მინარეთი არ უნდა აღმართულიყო მანამ, სანამ არ მოწესრიგდებოდა საკანონმდებლობაზე, და არ შედგებოდა მოლაპარაკება საპატრიარქოსა და მუსლიმთა სამმართველოს შორის.

როდესაც სახელმწიფო, საკმაოდ გამოკვეთილი რელიგიური უმრავლესობის მოთხოვნების გავლენით, არღვევს რელიგიური უმცირესობის კანონიერ უფლებებს და აყენებს მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში, დაზარალებულების უფლებების აღდგენისა და დამნაშავე პირების დასჯის ნაცვლად, მოლაპარაკებების გამართვის ხელშეწყობა რელიგიურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის იგნორირებას წარმოადგენს. ეს არის კანონის დარღვევის კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივ შეფასებასა და შესაბამის რეაგირებაზე უარის თქმა სამართლისთვის სრულიად არარელევანტური საფუძვლით – რელიგიურ გაერთიანებებს შორის მოლაპარაკების გამო. მოლაპარაკება, და თუნდაც შეთანხმება, ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ საჯარო მოხელეებმა დაარღვიეს კანონი, სავარაუდოდ, რელიგიური დისკრიმინაციის მოტივით, რაც საშიში პრეცედენტია სეკულარული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გადასახედიდან და სწრაფ და ეფექტურ გამოძიებას საჭიროებს. თუმცა, აღნიშნული შემთხვევის გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურას არ დაუწყია.

4.3. დევნის დაწყებისა და მსჯავრდადების სტატისტიკის ანალიზი საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და მთავარი პროკურატურის ინფორმაციის საფუძველზე

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი რელიგიური ნიშნით პირების დევნიდან დაცვის ამოცანას, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარ პროკურატურას, უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებს, ისევე როგორც 26 რაიონულ სასამართლოს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის⁶⁴ თანახმად, დევნის დაწყებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის დანაშაულების მიხედვით სტატისტიკა იწარმოება 2012 წლიდან, შესაბამისად, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტს მიაწოდეს 2012-2013 წლისა და 2014 წლის 3 თვის სტატისტიკური ინფორმაცია.

სკ-ის მუხლები	გამიძიების შედეგა დაწინაურებულზე (საიუსტიციო)			დევნის დაწყება (პირი)			დევნის შეწყვეტა პირების მიხედვით (საიუსტიციო მათივე მიხედვით)			დევნის არ დაწყება (საიუსტიციო მათივე მიხედვით)		
	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე	2012 წელი	2013 წელი	2014 წლის 3 თვე
109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
117-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „დ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
142-ე მუხლი	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
144* მუხლის მეორე ნაწილის „ე“	0	0	0	0	8	0	0	0	0	0	0	0
144* მუხლის მეორე ნაწილის „ე“	0	0	0	0	9	0	0	0	0	0	0	0
258-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
155-ე მუხლი	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ე“)	1 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	0	0	0	0	0	0	0	0	0
156-ე მუხლი	2 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	3 (2 დანაშაული შეწყდა 105-ე მუხლის I ნაწილის „ა“; 1 დანაშაული შეწყდა 105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	2 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	10	4	5	0	2 (105-ე მუხლის I ნაწილის „ა“)	0	0	3 (105-ე მუხლის III ნაწილი და 168)	2 (105-ე მუხლის III ნაწილი და 168)
166-ე მუხლი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

64 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი №13/27279, 30 აპრილი, 2014 წ.

როგორც აღნიშნული ინფორმაციით ირკვევა, 155-ე მუხლთან დაკავშირებით 2012 წელს და 2014 წელს გამოძიება შეწყდა თითო-თითო შემთხვევაზე, ორივეჯერ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, 2013 წელს კი გამოძიება შეწყდა, რადგან 155-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამნისტირება მოხდა, როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაულისა. 2012-2014 (2014 წლის პირველი სამი თვე) წლებში 156-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოძიება შეწყდა 7 შემთხვევაში, დევნა შეწყდა ან არ დაიწყო 5 შემთხვევაში. 156-ე მუხლის საფუძველზე ამ წლებში დევნა დაიწყო 19 შემთხვევაში, თუმცა, 2013 წელს ორ შემთხვევაში შეწყდა დაწყებული დევნა. აღნიშნული სტატისტიკა მიუთითებს, რომ რელიგიური შეუწყნარებლობის დანაშაულებიდან ყველაზე აქტიურად გამოიყენება არა რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლის მუხლი (მუხლი 155), არამედ დევნის მუხლი (მუხლი 156). თუმცა, აქ გასათვალისწინებელია, რომ დევნის დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზეც და რადგან კონკრეტულად რელიგიურ ნიადაგზე დევნასთან დაკავშირებული სტატისტიკა არ იწარმოება, ამ ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა გამოითხოვა შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

- საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ პუნქტის საფუძველზე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება, რაც მიღებულ იქნა 2012 წლის 27 მარტიდან [53-ე მუხლის 3¹ პუნქტის მიღების თარიღი] 2014 წლის 25 მარტამდე;
- 2009 წლის 1-ელი იანვრიდან 2014 წლის 25 მარტამდე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის [განზრახ მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;], 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის [ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

ჩადენილი რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;], 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის [ძალადობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო], 142-ე მუხლის [ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა], 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის [წამება ადამიანების თანასწორუფლებიანობის დარღვევით], 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის [წამება ადამიანების თანასწორუფლებიანობის დარღვევით], 155-ე მუხლის [რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა], 156-ე მუხლის [დევნა], 166-ე მუხლის [პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების ხელის მიცვალებულის უპატივცემულობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო] საფუძველზე ბრალდებული პირების საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის – საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენები;

- რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2014 წლის 7 აპრილს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 156-ე მუხლზე (დევნა) 2009-2013 წლებში განაჩენი გამოტანილ იქნა 11 პირის მიმართ, 3 პირს კი პროკურატურამ 2013 წელს გაუფორმა განრიდება; 2010 წელს სსკ-ს 142-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) გამოტანილ იქნა 1 განაჩენი; 2013 წელს სსკ-ს 144¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის (წამება ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათ შორის – რელიგიური ნიშნითაც) საფუძველზე კი გამოტანილ იქნა ორი განაჩენი. უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის განცხადებაში ჩამოთვლილი სხვა დანაშაულების საქმეები 2009-2014 წლებში არ განხილულა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის საპასუხო წერილში აღნიშნავს: „მსჯავრდადებუ-

მონაცემები

საქართველოს საერთო სასამართლოებში 2009-2014 წლებში განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ (სსკ ზოგიერთი მუხლის მიხედვით)

I ინსტანცია

წლები	სსკ 156-ე მუხლი				სსკ 142-ე მუხლი		სსკ 144 ¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი	
	განხილულია განაჩენის გამოტანით		განრიდების გაფორმების გამო დაუბრუნდა პროკურატურას		შეწყდა		განხილულია განაჩენის გამოტანით	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
2009	1	1	X	X	X	X	X	X
2010	X	X	X	X	1	2	X	X
2011	1	1	X	X	X	X	X	X
2013	4	9	1	2	X	X	2	3

ლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სსკ 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენების შესახებ მონაცემები სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში არ აღირიცხება“. იგივე ინფორმაცია დაადასტურა თბილისის საქალაქო სასამართლომაც.⁶⁵

სსკ 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი 2012 წლის 27 მარტს იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში და დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნით, მათ შორის – რელიგიური ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გამოცნადდა ყველა იმ დანაშაულისთვის, რომლის შემადგენლობაც არ ითვალისწინებს შეუწყნარებლობის მოტივს დანაშაულის ერთ-ერთ ელემენტად. აღნიშნული ნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, როცა შეუწყნარებლობის მოტივით არის

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი N47-კ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის 2014 წლის 26 მარტის N66 წერილის პასუხად, 7.04.14; თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი №1-04118/10620, 16.04.2014.

ჩადენილი დანაშაული, ეს ნიშანი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა შეერაცხოს პირს. გარდა იმისა, რომ შეუწყნარებლობის მოტივს სასჯელის განსაზღვრისთვის მიენიჭა მნიშვნელობა, ამგვარი მუხლის არსებობა კოდექსში მნიშვნელოვანია ანალიტიკური თვალსაზრისით და საშუალებას იძლევა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისა. თუმცა, იმ ფაქტის გამო, რომ ამ ნიშნით სასამართლოები სტატისტიკას არ აწარმოებენ, ნორმის რესურსი ამ თვალსაზრისით გამოუყენებელი რჩება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული გადაწყვეტილების ტექსტით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც კლასიკური შემთხვევაა, როცა სასამართლოს სასჯელის განსაზღვრისას უნდა გამოეყენებინა 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ნორმის სამართლებრივი მნიშვნელობაც გამოუყენებელი რჩება.

4.4. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) განცხადების პასუხად, რომელიც ენებოდა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოგვაწოდა 2013 წლის 20 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მოთხოვნების შესაბამისად, გადაწყვეტილება წარმოდგენილ იქნა დაშტრიხული სახით, თუმცა, ის ენება საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილულ განმარტებულ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ციხისძირში.⁶⁶ კერძოდ, 2013 წლის 14 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მე-2 რეგიონული სამმართველოს მე-2 განყოფილების უფროსმა ო.ბ.-მ, ამავე განყოფილების უფროსმა ინსპექტორებმა, პ.გ.-მ და მ.მ.-მ, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სოფელ ციხისძირში მცხოვრებ მუსლიმური აღმსარებლობის პირებს და მათ დასაშინებლად ცეცხლსასროლი იარაღი

⁶⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 296-297.

რამდენჯერმე ჰაერში ისროლეს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მ.მ. დამნაშავედ ცნო 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით [ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჯგუფურად და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით] და 239-ე მუხლი მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის [ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ]; ხოლო პ.გ. და ო.ხ. ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით [ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჯგუფურად და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით].

თავისთავად ის ფაქტი, რომ თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულზე ეფექტური გამოძიება ჩატარდა, მათ სასჯელი დაეკისრათ და საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება ჩამოერთვათ ერთი წლით, უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

თუმცა, ეს გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით კითხვებს აჩენს და ზემოხსენებული 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის სრული უგულვებელყოფითაა მიღებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მოგვაწოდა როგორც რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული. თუმცა, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არსად არის ნახსენები დანაშაულის ჩამდენი პირების მიერ ჩადენილი ხულიგნური ქმედებების კონკრეტული შინაარსი. სრულიად შეუძლებელი იქნებოდა დასკვნის გამოტანა, რაში გამოიხატა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი, რომ არა სახალხო დამცველის ანგარიშიდან ხელმისაწვდომი ინციდენტის შინაარსი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლომ სასჯელის შეფარდების ეტაპზე მიიჩნია, რომ დანაშაულის ჩამდენი არც ერთი პირის საქმეში არ ჰქონდა ადგილი „პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს“, მიუხედავად იმისა, რომ 53-ე მუხლის 3¹ ნაწილი პირდაპირ მიუთითებს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივზე, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე. ამასთან, ეს მუხლი სწორედ იმ დროს უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ინკრიმინირებული ქმედება (ხულიგნობა და ბინის ან სხვა

მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს რელიგიურ შეუწყნარებლობას, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს. რა თქმა უნდა, სასამართლოს შეეძლო გარემოებების შეფასების შედეგად დაედგინა, რომ ამ პირებს არ ჰქონდათ რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ღირსების დამამცირებელი ქმედებები ჩაიდინეს ისლამის აღმსარებელი პირების მიმართ და სწორედ იმის გამო, რომ დაზარალებულები ისლამის მიმდევრები იყვნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს, სულ მცირე, უნდა ემსჯელა, ჰქონდათ თუ არა დამნაშავეებს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივი და შემდეგ გადაეწყვიტა 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენების საკითხი, ამ ნორმის მდუმარე უგულებელყოფის ნაცვლად.

აღსანიშნავია, რომ თავად ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ისევე, როგორც საქართველოს ყველა სხვა საერთო სასამართლომ, თბილისის, გორის და მცხეთის საქალაქო სასამართლოების გარდა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის კითხვაზე უპასუხეს, რომ მათ არ განუხილავთ საქმე 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის გამოყენებით. განხილული მაგალითის გათვალისწინებით გაურკვეველია, საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებში ობიექტურად არ იყო ამ ნორმის გამოყენების პირობები თუ სასამართლოები არ ახდენენ მის უტილიზებას სასჯელის შეფარდების პროცესში დაუდგენელი მიზეზებით. ცალკე პრობლემაა ისიც, რომ ამ მუხლით სტატისტიკას არ აწარმოებენ და შესაძლოა, შესაბამისი საქმეების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა წმინდა ტექნიკური პრობლემის გამო.

ზესტაფონისა და თეთრიწყაროს სასამართლოებმა მოგვაწოდეს გადაწყვეტილებები, სადაც პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ 156-ე მუხლის საფუძველზე, ადამიანის აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო. ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა იეჰოვას მოწმეების დევნას. თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ 2013 წლის 1-ელი ნოემბრის გადაწყვეტილებით დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება და პირს დევნის დანაშაულისთვის დაეკისრა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა პირობით და 1000 ლარი ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ პირმა ჩაიდინა ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობისა და მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ძალ-

ადობითა და ძალადობის მუქარით – 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება – და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, რაც ჩაეთვალა პირობითი ორი წლით გამოსაცდელი ვადით.

2009-დან 2014 წლის თებერვლამდე პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოებს არ გამოუტანიათ არც ერთი გადაწყვეტილება სსკ-ს 155-ე მუხლის საფუძველზე (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 156-ე მუხლით ბრალდების შემთხვევაში საქმის გამამტყუნებელი განაჩენით დასრულების უფრო მაღალი ალბათობა არსებობს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ძიება ან დევნა იწყება 155-ე მუხლის საფუძველზე.

5. საკულტო ნაგებობის გმენებლობის ნებართვა

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება⁶⁷ არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. მშენებლობის ნებართვის მიღება რთული და დროში გაწეილი პროცესია, რომელიც ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს) ანიჭებს დიდ დისკრეციას პროცესის ყველა ეტაპზე. მშენებლობის პროცესზე აქტიური ზედამხედველობა და რეგულირება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამართლებულია მშენებლობის მომეტებული საშიშროებით ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. თუმცა, მეორე მხრივ, რეგულირების პროცესი ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს, რაც აშკარაა ქვემოგანხილულ საქმეებში, სადაც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს საკულტო

⁶⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება N57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, 2009 წლის 24 მარტი.

ნაგებობების მშენებლობისთვის ნებართვის მისაღებად შეექმნათ სხვადასხვა ინტენსივობის ბიუროკრატიული წინააღმდეგობები.

5.1. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია: თერჯოლის შემთხვევა

თერჯოლაში იეჰოვას მოწმე ქრისტიანების არარეგისტრირებული კავშირ „თერჯოლის“ წარმომადგენლები აშენებენ საცხოვრებელ სახლს 2014 წლის 19 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მშენებლობის სანებართვო მოწმობის მიღების საფუძველზე. 2014 წლის 2 ივნისს მშენებლობის ტერიტორიაზე შეიკრიბა დაახლოებით 200-მდე კაცი, რომლებმაც მოითხოვეს სამშენებლო საქმიანობის შეწყვეტა. აღნიშნული გამოსვლების პასუხად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება და შეაჩერა იეჰოვას მოწმეთა კავშირის მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის შეჩერების ოფიციალურ საფუძველს წარმოადგენდა მეზობლის, კ. მ.-ს ადმინისტრაციული საჩივარი, რომლის თანახმადაც, მიმდინარე მშენებლობა ხორციელდებოდა მეწყრულ ზონაში და საფრთხეს უქმნიდა და აზიანებდა მიმდებარედ აშენებულ მის სახლსაც. მშენებლობის ნებართვის შეჩერების გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო არა ექსპერტის დასკვნა, არამედ მუნიციპალიტეტის რამდენიმე თანამშრომლის, მათ შორის – არქიტექტურული სამსახურის თანამშრომლის მიერ მშენებლობის ადგილის დათვალიერებისას შედგენილი ოქმი, რომლითაც გრუნტისა და მეზობლის სახლზე არსებული დაზიანებების მიხედვით დაადგინეს, რომ მშენებლობის ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო მეწყრული ზონა და შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა როგორც მეზობლის სახლისთვის, ისე გვერდზე გამავალი საავტომობილო გზისთვის.

ნათელია, რომ თუ ადგილი ნამდვილად მეწყრული ზონა იყო, თავიდანვე არ უნდა გაცეა საკრებულოს მშენებლობის ნებართვა. თუმცა, როგორც არარეგისტრირებული კავშირის მოთხოვნით მომზადებული გეოლოგიური დასკვნა ადასტურებს, მიწის შეფასებისას რაიმე უარყოფით ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ გამოვლენილა და მიწა არ წარმოადგენს მეწყრულ ზონას. თერჯოლის

საკრებულოში 2014 წლის 3 ივლისს გამართულმა კ. მ.-ს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვამაც დაადასტურა, რომ დაზიანება, რომელიც მის სახლს აღენიშნება, არ არის გამოწვეული მიმდებარე ნაკვეთზე მშენებლობით, არამედ იქამდე წარმოქმნილი დაზიანებებია. ფორმალურადაც კი არ არსებობს საფუძველი, რომ ნებართვის შეჩერება ძალაში დატოვოს მუნიციპალურმა ორგანომ, თუმცა, 2014 წლის 5 ივლისისთვის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

მშენებლობის შეჩერებას წინ უძღოდა ადგილობრივი მართლმადიდებელი სასულიერო პირის (დეკანოზი ს. ც.-ს) მიერ ორგანიზებული მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლა, რაც მოტივირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური შეუწყნარებლობით და საერთო არ ჰქონდა მშენებლობის პირობებთან. იეპოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ აქვთ ვიდეორჩანაწერი, სადაც ჩანს, პირი როგორ გადასცემს მშენებლობის შეჩერების ბრძანებას შეკრებილ ხალხს და ულოცავს მათ ამ შედეგს. საჯარაუდოდ, ეს პირი ადგილობრივი საჯარო მოსამსახურეა, რადგან მას ხელი მიუწვდებოდა ბრძანებაზე.

სათანადო საფუძვლის არარსებობის პირობებში და მოსახლეობის პროტესტისა და მუქარის ფონზე მშენებლობის შეჩერება იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შედეგად შეზღუდა ადამიანის უფლება, რაც სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედების, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის (მუხლი 142, ნაწილი 2, „ა“ ქვეპუნქტი) ნიშნებს ატარებს და საჭიროებს ამ საკითხზე დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყებას. როგორც მშენებლობის ნებართვის მიმღებთა ადვოკატს, მანუჩარ ციმინტიას აცნობეს, ამჟამად სისხლისსამართლებრივი გამოძიება მიმდინარეობს არარეგისტრირებული კავშირის ერთ-ერთი წევრის, თ. ც.-ს დევნასთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი). თუმცა, საჯარო მოხელეების მიერ რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო დანაშაულის ჩადენის გამოკვლევა მომეტებული საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს და სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმში სწორედ ამ ტიპის ქმედებების გამოძიებაა, მათი იგნორირებისა და უფრო მსუბუქი დანაშაულით გადაფარვის ნაცვლად.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში განმარტეს, რომ შესაძლოა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყოს ერთი მუხლის კვალიფიკაციით, მაგრამ გამოძიების პროცესში განხილული და გადამოწმებული იქნება საჩივარში მოყვანილი ყველა ფაქტი. თუ გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით გამოვლინდა საჯარო მოსამსახურეების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მათ ქმედებას მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

5.2. მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ორგანიზაციის მიერ ნაგებობის მშენებლობა მანგლისში

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტებს აქვთ როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური სოციალური მიზნები, როგორცაა საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში ჩართვა რელიგიური დღის წესრიგის გარეშე. ამ მიზნით, მათ სურდათ სანატორიუმის აშენება სოფელ ალგეთში, მანგლისთან ახლოს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველასთვის, მათი რელიგიური მრწამსის მიუხედავად. მშენებლობის ნებართვისთვის მათ მიმართეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს. 2013 წლის გაზაფხულზე წარადგინეს პირველი ეტაპის – მშენებლობითი პირობების დადგენისთვის საჭირო საბუთები. მე-2 ეტაპისთვის საჭირო დოკუმენტების წარდგენისას მათ მუნიციპალიტეტში აცნობეს, რომ მანგლისის დაახლოებით 400 მცხოვრები მოითხოვდა, არ მიეცათ მათთვის სოფელ ალგეთში სარეაბილიტაციო-სპორტული ცენტრის მშენებლობის უფლება, თუმცა, ეს იყო მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია და რაიმე წერილობით განმარტება ამ საკითხზე არ მიუღიათ.

ნებართვის მიღების მე-2 ეტაპზე, რომელიც გულისხმობს სამშენებლო პროექტის შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის არქიტექტორმა დაადგინა, რომ მათი პროექტი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. იმ არქიტექტორმა, რომელმაც პროექტი მოამზადა, მიუთითა, რომ ყველა იმავე ტიპის პროექტისთვის ნებართვა გასცა ადგილობრივმა ორგანომ და ამ კონკრეტულ შემთხვევაში უარი ადვენტისტების წინააღმდეგ არსებული მიკერძოების შედეგი იყო და არა პროექტის ობიექტური პრობლემა. ამის მიუხედავად, პროექტი

შეცვალეს. იმავდროულად, გამოირკვა, რომ ის მიწის ოთხი ნაკვეთი, სადაც ცენტრის მშენებლობას აპირებენ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა და აუცილებელია მიწის სტატუსის შეცვლა, რათა მათ მშენებლობის ნებართვა მიიღონ. მიწის სტატუსის შესაცვლელად მათ მიმართეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რათა დაესაბუთებინათ მიწის სტატუსის შეცვლისა და სარეაბილიტაციო ცენტრის აშენების საჭიროება. წინამდებარე კვლევის მომზადების მომენტისთვის ისინი ელოდებოდნენ საჯარო რეესტრის პასუხს მიწის სტატუსის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ნებართვის შეჩერება ან ნებართვის გაცემის გაჭიანურება მსგავსი სცენარით ხდება თერჯოლისა და მანგლისის საქმეებში: ადგილობრივი სასულიერო პირი, რომელიც, სავარაუდოდ, ნებართვის მაძიებელი პირების აღმსარებლობის შესახებ ინფორმირებულია ადგილობრივი საჯარო მოხელეებისგან, ახდენს მოსახლეობის მობილიზებას მშენებლობის გასაპროტესტებლად, რასაც შემდეგ ეტაპზე მოსდევს ბიუროკრატიული სირთულეების შექმნა ნებართვის მიმღები პირებისთვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება, ნეგატიური იქნება თუ პოზიტიური, არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის ან მშენებლობის დაბრკოლების სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული მიზეზით მშენებლობაზე უარის თქმა იქნება შესაბამისი პირის საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა, რაც კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევაა.

5.3. ლათინ კათოლიკეთა ეკლესია რუსთაში

ლათინ კათოლიკეთა ეკლესიას სურს ეკლესიის აშენება რუსთაში და საამისოდ 2013 წლის 24 მაისს დაიწყო სამზადისი. კერძოდ, გაიარეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი ორი სტადია და ელოდებიან მესამე სტადიის დასრულებას – სამშენებლო ნებართვის მიღებას. 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ელოდნენ პასუხს, მაგრამ ვერანაირი პასუხი ვერ მიიღეს. სავარაუდოდ, ერთადერთი გამოსავალი იქნება სასამართლოსთვის მიმართვა ნებართვის მისაღებად.

ამგვარი გაჭიანურების წინააღმდეგ, რაც მშენებლობის რეგულირების პროცესში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის სახეს წარმოადგენს, მთავრობის N57 დადგენილება ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს გარანტიას: მშენებლობის ნებართვის გაცემის თითოეული სტადიისთვის განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიღების ვადა და თუ ორგანო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში და წერილობით არ აცნობებს გადაწყვეტილებას, მათ შორის, უარს, ნებართვის მაძიებელ პირს, ჩაითვლება, რომ მიღებულია ნებართვის მაძიებელი პირისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება.⁶⁸ აღნიშნული გარანტია მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა რუსთავში კათოლიკეთა ეკლესიის მშენებლობის გაჭიანურების მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად, მაგრამ როგორც მომდევნო ნაწილში ვნახავთ, საერთო სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული ნორმები ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ანუ ზემდგომი აქტით, დადგენილ წესებს და შესაბამისად, პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგა აღნიშნულ გარანტიას.

5.4. იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის სამეფო დარბაზების მშენებლობა ხაშურსა და სურამში

იეჰოვას მოწმეებმა მიმართეს ხაშურის მუნიციპალიტეტს სამეფო დარბაზების მშენებლობისთვის ნებართვის მისაღებად ხაშურსა და სურამში. პირველ სტადიაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაედგინა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. დადგენილ ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რაც მთავრობის N57 დადგენილების თანახმად ჩაითვალა მოთხოვნის დაკმაყოფილებად. შესაბამისად, ნებართვის მაძიებელმა პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიმართა ადგილობრივ ორგანოს, რაზეც დადგენილ ვადაში ისევ არ გასცეს პასუხი. იეჰოვას მოწმეთა არარეგისტრირებულმა კავშირმა თავისი მოთხოვნა ისევ დაკმაყოფილებულად ჩათვალა და სანებართვო მოწმობების გაცემა მოითხოვა, გამგეობამ კი ამ ეტაპზე დაუდგინა ხარვეზი, რისი უფლებაც მთავრობის დადგენილების მიხედვით უკვე აღარ ჰქონდა. შესაბამისად, იეჰო-

68 იევე, მუხლი 45, პუნქტი 12, მუხლი 52, პუნქტი 5, მუხლი 54, პუნქტი 7.

ვას მოწმეთა კავშირმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება სასამართლოში.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში⁶⁹ აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილების 42-ე, 52-ე და 57-ე მუხლების თანახმად, დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებად უნდა ჩათვლილიყო. თუმცა, სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა ის, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის დადგენილი ვადის დარღვევა ითვლება უარის თქმად და გასაჩივრების საფუძველს წარმოადგენს. სასამართლომ ჩათვალა, რომ მთავრობის დადგენილება და ზემდგომი ნორმატიული აქტი – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებენ გადაწყვეტილების მიღების ვადის დარღვევას და გადაწყვიტა, რომ უნდა ეხელმძღვანელა ზემდგომი ადმინისტრაციული აქტით. ამ განმარტებით ვადის დარღვევა მოთხოვნის დაკმაყოფილებად აღარ ჩაითვლება, მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უარის გასაჩივრების საფუძველს შექმნის.

აღნიშნული განმარტება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამაც.⁷⁰ ამ განმარტების დასასაბუთებლად სასამართლომ მიუთითა, რომ მშენებლობა მომეტებული საშიშროების შემცველია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და არ შეიძლება მისი განხორციელების საფუძველს წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა:

„სააპელაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს მშენებლობის ნებართვისა თუ სანებართვო მოწმობების ფორმალური ტიპის აქტებამდე დაყვანას და მშენებლობის თავისებურების, მისი სპეციფიკის, კონსტრუქციული მდგრადობის, მომეტებული საშიშროების გათვალისწინებით გამორიცხავს სანებართვო პირობების კანონშესაბამისად აღიარებას იმ საფუძველით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს უმოქმედობას“⁷¹.

⁶⁹ ხაშურის რაიონული სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N3-11-2013, 30 აპრილი, 2013 წელი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 6.11.

⁷⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N3ბ/1025-13, 29 ნოემბერი, 2013.

⁷¹ იქვე.

აღნიშნული საჯარო ინტერესი, რომ მშენებლობა მხოლოდ სათანადო პირობების არსებობისას განხორციელდეს მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უდავოდ გასაზიარებელია. თუმცა, მართებული იქნებოდა, სასამართლოს ისიც გაეთვალისწინებინა, რომ ამგვარი განმარტებით მოქალაქეებს თვითნებობისგან თავის დაცვის მხოლოდ გრძელი – სასამართლოსთვის მიმართვის გზა დაუტოვა და არსებითად წაახალისა ადმინისტრაციული ორგანოების უმოქმედობა და თვითნებობა. მშენებლობის უშიშროების საჯარო ინტერესთან ერთად, თვითნებობის აღკვეთის საჯარო ინტერესიც წონიან არგუმენტს წარმოადგენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ხაშური, სურამი, თერჯოლა, რუსთავი) ადმინისტრაციული ორგანოები აჭიანურებენ და აბრკოლებენ არაპოპულარული უმცირესობების მშენებლობებს მშენებლობის უსაფრთხოებასთან სრულიად დაუკავშირებელი მიზეზებით.

6. რელიგიური ინსტიტუტების ავტონომიის საკითხი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ“⁷² ხაზგასმით აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციის ავტონომია და შიდა საქმეებში ჩაურევლობა მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია:

„როდესაც რელიგიური თემის ორგანიზებაზე მიდგება საქმე, კონვენციის მე-9 მუხლი უნდა განიმარტოს მე-11 მუხლის გათვალისწინებით, რომელიც იცავს ასოციაციების არსებობას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისგან. ამ გადასახედიდან მორწმუნეთა რელიგიის თავისუფლება მოიცავს იმ მოლოდინსაც, რომ თემს საშუალება ექნება მშვიდად იარსებოს, სახელმწიფოს თვითნებური ჩარევის გარეშე. მართლაც, რელიგიური თემების ავტონომიური არსებობა დემოკრატიულ საზოგადოებაში პლურალიზმის არსებობის აუცილებელი პირობაა

72 Case of Hasan and Chaush v Bulgaria, განაცხ. 30985/96, 26 ოქტომბერი, 2000.

და მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ბირთვის ქმნის... როდესაც თემის ორგანიზაციული არსებობა არ არის დაცული, ინდივიდის რელიგიის თავისუფლების ყველა ასპექტი საფრთხის ქვეშ დგება“.⁷³

აღნიშნულ საქმეში ბულგარეთის სახელმწიფოს მიერ მუსლიმთა თემის ლიდერის შერჩევაში ჩარევა და მუფთის დანიშვნა თემში არსებული შეუთანხმებლობის პირობებში ჩაითვალა რელიგიის თავისუფლების შელახვად. როგორც ქვემოთ განხილული შემთხვევიდან ჩანს, საქართველოს სახელმწიფოს ჩარევა მუსლიმთა თემის ორგანიზაციულ ცხოვრებაში უფრო შორსმიმავალი და ყოვლისმომცველია და არ შემოიფარგლება მხოლოდ მუფთების დანიშვნით, თუმცა, ამ ფუნქციასაც ითავსებს.

6.1. მუსლიმთა სამმართველოს შექმნა და გართვა

2011 წლის 15 ივლისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 401960794) [შემდგომში „სამმართველო“]. მისი წესდების 1.9. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამმართველოს იურისდიქციაში შედის: „საქართველოში მოქმედი ყველა მეჩეთი, მუსლიმი სასულიერო პირები, მათი მრევლი და სხვა ისლამური რელიგიური დაწესებულებები“.

„ქართველ მუსლიმთა კავშირის“ წარმომადგენლის, ტარიელ ნაკაიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში მუსლიმთა თემი იმართებოდა ამიერკავკასიის სრულიად მუსლიმთა სამმართველოს მიერ და მუსლიმები 2001 წლიდან მიმართავდნენ სახელმწიფოს, რომ საქართველოს მუსლიმთა სამმართველო შექმნილიყო. თუმცა, ტარიელ ნაკაიძის აზრით, „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ დამფუძნებლები არიან არა მუსლიმთა თემისთვის სასურველი და სანდო ადამიანები, არამედ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირები. სამმართველოს რეორგანიზაციაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დამფუძნებლების მეშვეობით. ტარიელ ნაკაიძის აზრით, სამმართველოს სახელმწიფოს მიერ ერთპიროვნულად დაფუძნებამ

73 იქვე, პარ. 62.

გამოიწვია ის, რომ ხელისუფლების შექმნილმა ორგანიზაციამ ვერ მოიპოვა თემის აღიარება.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მუსლიმურმა ორგანიზაციებმა შესთავაზეს ხელისუფლებას, რომ მათი მონაწილეობით მომხდარიყო სამმართველოს რეორგანიზაცია. ამის ნაცვლად 2014 წლის 9 იანვარს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამმართველო დაშლილიყო სამ ნაწილად: დასავლეთის მუსლიმთა სამმართველო, აღმოსავლეთის მუსლიმთა სამმართველო და შეიხის ინსტიტუტი, რასაც ეთნიკური ნიშნით მუსლიმების დაყოფის ეფექტი ჰქონდა.

დამატებით სახელმწიფოს მითითებით გადადგა შიიტების შეიხი ვ. ა.. მის ნაცვლად დაინიშნა რამინ იგიდოვი. სუნიტ მუსლიმებს არ მისცეს საშუალება, თავად აერჩიათ მუფთი. როგორც ტარიელ ნაკაიძემ აღნიშნა, მუფთი რეალურად არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი და სამმართველოს სახელმწიფოს მითითებების შესაბამისად მართავს რესან გოგიტიძე, რომელიც ოფიციალურად ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორია.

სახელმწიფოს მიერ ყველა მეჩეთსა და სასულიერო პირზე იურისდიქციის მქონე ორგანიზაციის შექმნა და ამ ორგანიზაციის ერთპიროვნული მართვა მუსლიმთა თემისგან დამოუკიდებლად და წარმომადგენლობის პრინციპების უგულვებელყოფით შერჩეული დამფუძნებლებისა და აღმასრულებელი დირექტორის მეშვეობით წარმოადგენს მუსლიმთა თემის ავტონომიის უგულვებელყოფას, რაც, ერთი მხრივ, მუსლიმთა თემის წევრების რელიგიის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევაა და, მეორე მხრივ, მუსლიმთა თემში განხეთქილებისა და დაპირისპირების რეალურ საფრთხეს ქმნის.

7. რეკომენდაციები ხელისუფლებისადმი

საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას:

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრეფერენცირებული მოპყრობის აღმოსაფხვრელად სხვა რელიგიური გაერთიანე-

ბებისთვის მსგავსი საგადასახადო შეღავათების უზრუნველყოფა ან საგადასახადო შეღავათების, ისევე როგორც სხვა ფინანსური დახმარების ახლებური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ყველა რელიგიური გაერთიანების თანასწორ მოპყრობაზე იქნება დაფუძნებული და, იმავდროულად, საჯარო რესურსებს გონივრულად და გამჭვირვალედ გამოიყენებს ნათლად დეკლარირებული საჯარო მიზნებისთვის;

2. საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც არ იქნება მიმართული გაურკვეველი კრიტერიუმებით შერჩეული რამდენიმე აღმსარებლობისთვის თანხის გაურკვეველი ვადით გადახდაზე და ამის ნაცვლად დაეფუძნება ისტორიულად მიყენებული ზიანის კვლევის ობიექტურ შედეგებს;

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რაც გულისხმობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული ნებისმიერი რელიგიური გაერთიანებისთვის უფლების მინიჭებას, მთავრობის განკარგულების საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძინონ ქონება, რაც ამჟამად მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიას წარმოადგენს.

4. რელიგიის საქმეთა სააგენტოს არსებობის აუცილებლობისა და მანდატის შესახებ საჯარო დისკუსიის ინიცირება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

საქართველოს განათლების სამინისტროს:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის აკრძალვის საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის გამკაცრება და სამინისტროს სისტემაში შემავალი თანამშრომლების მიერ ამ მოთხოვნების დარღვევებზე ეფექტური რეაგირება სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრების სახით.

საქართველოს უინაზან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას:

სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე, რაც უზრუნველყოფს სამართალდამრღვევი პირების იდენტური ქცევის გამეორების პრევენციას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება საჯარო მოხელეების მიერ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციასა და ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

1. საბჭოთა კავშირის მიერ ჩამორთმეული საკულტო ნაგებობის დაბრუნებასთან დაკავშირებულ დავებში იდენტური ტესტის გამოყენება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ყველა სხვა რელიგიური გაერთიანების მიმართ, ისე, რომ მაქსიმალურად უზრუნველყონ შენობების ისტორიული წარმომავლობის გამოკვლევა და საკულტო ნაგებობების შესაბამისი რელიგიური თემებისთვის დაბრუნება, რაც მათი რწმენისა და აღმსარებლობის კონსტიტუციური თავისუფლების დაცვის ინტერესითაა უზრუნველყოფილი;

2. რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებში მოტივის სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად შერაცხვა და სტატისტიკის წარმოება სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის მიხედვითაც, რათა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ინტენსივობასა და მასთან ბრძოლის საჭიროებებზე სრული სურათი არსებობდეს როგორც სასამართლოებისთვის, ასევე სხვა გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

3. სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ჩადენილი დარღვევების მკაცრი კონტროლი და მათ მიერ თვითნებობის რისკის სათანადოდ შეფასება და შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, რათა ნებართვის მაძიებელს არ დაეკისროს ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობის მთელი ტვირთი.

მეორე ნაწილი

1. რელიგიის თემაზე საჯარო განცხადებების მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებები 10 განსხვავებული მოვლენის თაობაზე ბოლო ერთი წლის (2013 წლის მაისი - 2014 წლის აპრილი) განმავლობაში.

რელიგიის თემა პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული იყო შემდეგ მოვლენებთან:

- 2013 წლის 17 მაისის აქცია, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე; (2013 წლის 16 - 31 მაისი)
- დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მუსლიმების უფლებების დარღვევა (2013 წლის 31 მაისი - 10 ივლისი)
- სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი; (2013 წლის 26 აგვისტო - 2 სექტემბერი)
- ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტი (2013 წლის ნოემბერი-დეკემბერი)
- ინციდენტი ხანუქას დღესასწაულზე (2013 წლის 4 - 11 დეკემბერი)
- საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლე (2014 წლის 6-10 იანვარი)
- ოთხი რელიგიური კონფესიის დაფინანსების ინიციატივა (2014 წლის 27 იანვარი - 10 თებერვალი)

- კანონპროექტის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ განხილვა/კანონის მიღება (2014 წლის 16 აპრილი - 5 მაისი)

კვლევის პერიოდში მიმოვიხილეთ 42 პოლიტიკოსის 75 განცხადება. 42 პოლიტიკური სუბიექტიდან 14 მათგანი (კოალიცია „ქართული ოცნება“ – 12, „ნაციონალური მოძრაობა“ – 2) მთავრობას წარმოადგენდა, 20 მათგანი (კოალიცია „ქართული ოცნება“ – 15, „ნაციონალური მოძრაობა“ – 5) – საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას, 8 პოლიტიკური სუბიექტი – არასაპარლამენტო პარტიებს („ნაციონალური მოძრაობა“ – 2, „ქართული ოცნება“ – 2, „ქართული დასი“ – 1, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ – 1, „თავისუფალი საქართველო“ – 1, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 1).

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რელიგიასა და რელიგიურ ინსტიტუტებთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების კომენტირებისას პოლიტიკოსები, სახელმწიფო და საჯარო მოხელეები ხშირად არ იცავენ რელიგიური ნეიტრალურობის პრინციპს და მოვლენას, სიტუაციას აფასებენ მიკერძოებულად, პირადი რელიგიური პოზიციიდან ანდა მენისტრიმული რელიგიური კონიუნქტურიდან გამომდინარე, თუმცა, ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ, როგორც ხელისუფლების ზოგიერთი ლიდერი, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები არ ერიდებიან საკითხებისადმი პრინციპული, თანასწორუფლებიანობის, ტოლერანტობისა და სეკულარობის პრინციპებზე დაფუძნებული პოზიციების გამოხატვასაც.

1.1. 17 მაისის მოვლენები

2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დემონსტრაციისას მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და მათი მხარდამჭერი მრევლის ფიზიკური ძალადობა აქციის მონაწილეებზე და სამართალდამცავების რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე პოლიტიკოსთა ნაწილმა ადეკვატურად შეაფასა, ნაწილმა კი, საჯარო განცხადებებში დაგმო ძალადობის აქტი, თუმცა, მართლმადიდებელი სასულიერო პირების პასუხისმგებლობის თაობაზე მწვავე განცხადებები არ გაუკეთებია.

ასევე ხშირი იყო პოლიტიკოსთა მხრიდან ჰომოფობიური გამონათქვამები და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის შემთხვევები. სექსუალური უმცირესობების აქტიურობა ზოგიერთმა პოლიტიკურმა სუბიექტმა ყოფილ მმართველ ძალას, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაუკავშირა და ამ გზით მოსახლეობის იმ ნაწილში, ვინც მართლმადიდებელი ეკლესიის ღირებულებებს იზიარებს, პოლიტიკური ოპოზიციის დისკრედიტაციას შეეცადა.

17 მაისის მოვლენებს გამოეხმაურა 14 პოლიტიკური სუბიექტი. მათგან 3 სუბიექტის განცხადებები არ შეესაბამებოდა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს (1 წარმოადგენს არასაპარლამენტო ოპოზიციას – პარტია „თავისუფალ საქართველოს“, 2 – კოალიცია „ქართულ ოცნებას“); 11 პოლიტიკური სუბიექტის განცხადება შეესაბამებოდა სეკულარობის პრინციპებს (5 მათგანი წარმოადგენს მთავრობას, 2 – „ნაციონალურ მოძრაობას“, 3 სუბიექტი – საპარლამენტო უმრავლესობას კოალიცია „ქართულ ოცნებას“, 2 – საპარლამენტო უმცირესობას „ნაციონალურ მოძრაობას“, 1 კი არასაპარლამენტო სუბიექტია კოალიცია „ქართული ოცნებიდან“).

სეკულარობის პრინციპებს შეესაბამება შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების განცხადებები:

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი:

„საქართველოში ცხოვრობს მრავალი ეთნიკური ჯგუფისა და რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი, სხვადასხვა ორიენტაციის ხალხი და მათ აერთიანებს ის, რომ მოქმედებს კანონები, რომელთა წინაშე ყველა თანასწორია და, მათ შორის, როცა არღვევენ, ამ შემთხვევაშიც არის თანასწორი... (21 მაისი, 2013 წელი, „ტაბულა“, მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში არასდროს იქნება ფუნდამენტალიზმის ფართო პრობლემა“).

საქართველოს მთავრობა

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 17 მაისის მოვლენებს 10 დღის განმავლობაში სამჯერ გამოეხმაურა. ივანიშვილის თქმით,

ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის – სასულიერო პირი, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში პასუხს აგებს კანონის წინაშე (26 მაისი 2013; „ნეტგაზეთი“, ივანიშვილი: „ეკლესიის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა უნდა გავაღრმავოთ“).

მსგავსი შინაარსის განცხადებები გააკეთეს განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, მათ დაგმეს ძალადობა და აღნიშნეს, რომ კანონის წინაშე პასუხი ყველამ უნდა აგოს.

მთავრობიდან ყველაზე მწვავე და კრიტიკული განცხადება 17 მაისის მოვლენებზე უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ გააკეთა.

„ნებისმიერი სასულიერო პირი, რომელიც ძალადობას ჩაიდენს ან აშკარა საფრთხის შემცველ ვითარებაში ძალადობისკენ მოუწოდებს, საქართველოს კანონმდებლობით სჩადის დანაშაულს და ყველამ უნდა აგოს პასუხი. იმედი მაქვს, ეკლესიაშიც აღმოჩნდებიან ადამიანები, ვინც ამას იტყვის. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს რაც ვიხილეთ, „მორალური“ ინიციატივა სასულიერო პირებში ჰქონდათ მათ, ვინც სიძულვილს ქადაგებს და სჩადის თვითონ ძალადობას. ეს ადამიანები უნდა იყვნენ დასჯილნი კანონის საფუძველზე“ (17 მაისი, 2013; „ტაბულა“, გიგა ბოკერია: „დამნაშავეები უნდა დაისაჯონ“).

საპარლამენტო უმრავლესობა

სეკულარობის პრინციპებს შეესაბამებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, დავით უსუფაშვილის განცხადება, რომელმაც ყურადღება გაამახვილა კანონის უზენაესობაზე და აღნიშნა, რომ „არც ერთი შეხედულების, ორგანიზაციის თუ რელიგიური მრწამსის წარმომადგენელს არა აქვს იმუნიტეტი“ (18 მაისი 2013 წელი; „ნეტგაზეთი“, დავით უსუფაშვილი: „პოლიციამ აიჩრია აბსოლუტურად სწორი გამოსავალი“).

ლევან ბერძენიშვილის თქმით, ხელისუფლებამ სეკულარული სახელმწიფოს პრინციპები უნდა დაიცვას და სამართალდამრღვევმა სასულიერო პირებმა პასუხი უნდა აგონ. ბერძენიშვილმა ასევე გააკრიტიკა პატრიარქის მოწოდება 17 მაისის ღონისძიების აკრძალვის თაობაზე.

„როგორც კი მღვდელი იქნება თუ სხვა ტაბურეტს ხელს დაავლებს და იმ ტაბურეტს ჩემს თავზე დაამხოვს, მამა ღმერთი ვერ უშველის, ქართული კანონები გაასამართლებს მას“ (29 მაისი 2013; „ნეტგაზეთი“, ლევან ბერძენიშვილი: „ჩვენ უნდა მივიყვანოთ სეკულარიზაციის საკითხები ბოლომდე“).

თინათინ ხიდაშელი

„...რეაგირება აქ უნდა იყოს ცალსახა და ყველა მოძალადემ, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, უნდა აგოს პასუხი“ (17 მაისი, 2013 წელი; „რუსთავი 2“, გადაცემა „პოზიცია“).

საპარლამენტო უმცირესობა

პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ზურაბ ჯაფარიძემ და გიორგი გაბაშვილმა სატელევიზიო გადაცემებში კრიტიკული განცხადებები გააკეთეს სამართალდამრღვევი სასულიერო პირების თაობაზე და დამნაშავეების დასჯა მოითხოვეს.

არასაპარლამენტო პარტიები

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა დავით ზურაბიშვილმა საქართველოში „რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობას“ გაუსვა ხაზი, რომელიც „კიდევ ერთი ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადია“ (2013 წლის 13-19 მაისი, „ასავალ-დასავალი“, მე-19 ნომერი, გვ. 14-15).

საქართველოს პრინციპებს არ შეესაბამება შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების განცხადებები:

საქართველოს მთავრობა

ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ შსს-ს მუშაობა აქციის დღეს დადებითად შეაფასა, განცხადებაში კალაძემ ასევე ხაზი გაუსვა საკუთარ რელიგიურ მრწამსს და აღნიშნა, რომ „ნებისმიერი ძალადობა ან მოწოდება ძალადობისკენ არის არაქრისტიანული“ (17 მაისი

2013; „ტაბულა“, კალაძე: „ძალადობისა და კანონდარღვევის გარეშე მოხდა სიტუაციის კონტროლირება“).

საპარლამენტო უმრავლესობა

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა, პარლამენტარმა ზვიად ძიძიგურმა 2013 წლის 21 მაისს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და მოძალადე უნდა დაისაჯოს. თუმცა, ძიძიგურმა ასევე აღნიშნა, რომ არ ემხრობა სექსუალური უმცირესობების „რეკლამირებას“ საზოგადოებაში (21 მაისი 2013; „რუსთავი 2“, გადაცემა „არჩევანი“).

არასაპარლამენტო ოპოზიცია

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოს მთავრობასა და თბილისის მერიას პარლამენტის წინ აქციის გამართვისთვის გაცემული ნებართვის გაუქმებისა და ლგბტ თემის უფლებების შეზღუდვისკენ მოუწოდა.⁷⁴ სწორედ აღნიშნული მოწოდების გაუთვალისწინებლობის გამო გააკრიტიკა საქართველოს იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ. კუკავამ გაამართლა ძალადობა ლგბტ თემის წარმომადგენლებზე და ლიბერალური ღირებულებების მქონე საპარლამენტო პარტიები „გეიალუმის“ მოწყობაში დაადანაშაულა. მან ასევე გაამართლა სასულიერო პირების ძალადობა ლგბტ ჯგუფის მხარდამჭერთა „გამომწვევი“ ქცევის გამო.

კახა კუკავა: „პატრიარქმა ხომ საგანგებოდ განაცხადა, დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად გადავდოთ და ნუ ჩავატარებთ ამ ჰომოსექსუალების მხარდამჭერ აქციასო? რატომ არ დაუვდო ყური ივანიშვილმა პატრიარქის მოთხოვნას? იმიტომ, რომ მას სურდა ამერიკისთვის ეჩვენებინა, ნახეთ, როგორ ვიცავ ადამიანის გამოხატვის თავისუფლებასო!“ („ასავალ-დასავალი“, 2013 წლის 13-19 მაისი, მე-19 ნომერი, გვ. 14-15).

74 <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/19650/>.

1.2. სოფელ სამთაწყაროში მიმდინარე მოვლენები

სოფელ სამთაწყაროში 2013 წლის მაის-ივნისში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტის დროს ადგილობრივ მუსლიმებს არ მიეცათ ტრადიციული პარასკევის ღოცვის ჩატარების საშუალება. მართლმადიდებელი ქრისტიანები სამლოცველოს რამდენჯერმე დაესხნენ თავს და ხოჯას საკუთრების წართმევითა და სიცოცხლის განადგურებით დაემუქრნენ.

სამთაწყაროს მოვლენებს გამოეხმაურა 4 პოლიტიკური სუბიექტი. ყველა მათგანი წარმოადგენდა მთავრობას, რომელიც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დააკომპლექტა. მათგან მხოლოდ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის, ერთი განცხადება შეიცავდა მუსლიმების დაცვისკენ მოწოდებას. თუმცა, მოგვიანებით ზაქარეიშვილმა უურნალ „ტაბულასთან“ ინტერვიუში უარყო ქართველ მუსლიმებზე ძალადობისა და რელიგიური რიტუალების შესრულებისთვის ხელის შეშლის ფაქტი და განაცხადა, რომ მუსლიმებს საჯარო სივრცის ნაცვლად, შეუძლიათ პრივატულად, შინ ილოცონ.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის, სოფელ სამთაწყაროს რწმუნებულის, გულო ნადირაშვილის, და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ირაკლი შიოლაშვილის, განცხადებები არ შეესაბამებოდა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს. 2 სუბიექტის, გულო ნადირაშვილისა და ირაკლი შიოლაშვილის, განცხადებები გამოხატავდა მხოლოდ საპატრიარქოს ინტერესებს.

როგორც მედიაში გამოქვეყნებული განცხადებების მიმოხილვიდან ჩანს, საჯარო პირები მუსლიმების უფლებების დარღვევის ამკარა ფაქტების მიუხედავად, არ აღიარებდნენ პრობლემის სიმწვავეს, კონფლიქტს ხელოვნურად პროვოცირებულს უწოდებდნენ, არღვევდნენ რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს და უმრავლესობის უფლებების დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. მეტიც, სოფლის რწმუნებული ადგილობრივი ქრისტიანების მიერ მუსლიმების უფლებების შეზღუდვას ემხრობოდა.

მუსლიმთა დევნის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, 2013 წლის 14 ივნისს, სოფელში ჩავიდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო

მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. თუმცა, მისმა სტუმრობამ ვითარება ვერ განმუხტა. მინისტრის ვიზიტის დღეს სამთაწყაროელი მუსლიმები სოფელში არსებული დაძაბულობის გამო, ტრადიციულ ლოცვას არ დასწრებიან. ორი კვირის შემდეგ, 2013 წლის 28 ივნისს, ადგილობრივი ქრისტიანების ჯგუფი შეიჭრა ს. ხ.-ს სახლში და სამლოცველოს გაუქმება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხოჯას სახლის დაწვითა და სოფლიდან გაძევებით დაემუქრნენ. 2013 წლის 3 ივნისს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მუსლიმებზე ძალადობის ფაქტს პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა. მან კონფლიქტის სიმწვავეიდან გამომდინარე, მუსლიმებისთვის მიყენებული ზიანი არაადეკვატურად შეაფასა. პრემიერ-მინისტრმა კონფლიქტს „ხელოვნურად ინსპირირებული“ და წინამთავრობის „9-წლიანი მმართველობის გადმონაშთი“ უწოდა.

**უმცირესობების უფლებების
დაცვის გამომხატველი განცხადებები:**

საქართველოს მთავრობა

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი სოფელში შეხვდა როგორც მუსლიმ, ისე მართლმადიდებელ მოსახლეობას. მან მართლმადიდებელ მოსახლეობასთან საუბრისას აღნიშნა, რომ „ერთი მუსლიმიც რომ ცხოვრობდეს სოფელში, მას უნდა ჰქონდეს ლოცვის უფლება“ („ნეტგაზეთი“, „მუსლიმების ლოცვას სამთაწყაროში პაატა ზაქარეიშვილი დაესწრო“, 14 ივნისი, 2013 წელი).

**განცხადებები, რომლებიც მხოლოდ ერთი კონფესიის
ინტერესებს გამომხატავს:**

საქართველოს მთავრობა

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი:

„ახალი ხელისუფლების ამოცანა არ უნდა იყოს, ბრმად დასაჯოს ვინმე მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება ამას მოითხოვს. მთელი თვეა,

კითარებაში გარკვევას ვცდილობ და ჯერჯერობით, ერთი ოჯახის გარდა ვერავინ ვნახე, ვინც ნამდვილად ამბობს, რომ მასზე ზეწოლა ხდება. ეს არის ადგილობრივი ხოჯას ოჯახი...

ჯერჯერობით, არ გამოკვეთილა, უნდა დაისაჯოს თუ არა ვინმე და ვინ. იმ საზოგადოებისთვის, რომელიც არ არის ადგილზე – არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, პრესისთვის, ისეთი სურათია შექმნილი, რომ იქ აშკარად ვილაცას ხელს უშლიან ლოცვაში. ადრე მეც ვიყავი ამ სტერეოტიპის ქვეშ, მაგრამ რომ ჩავედი, ვერ ვნახე ადამიანები, რომლებსაც ლოცვის საშუალებას არ აძლევენ.

ერთ ადამიანს არ სჭირდება პარასკევის საჯარო ლოცვა, მისთვის შინ ლოცვაც საკმარისია“ (ჟურნალი „ტაბულა“, „სამთაწყაროში ვერავინ ვნახეთ ისეთი, ვისაც ლოცვა უნდოდა და ამის საშუალებას არ აძლევდნენ“, 1-ელი აგვისტო, 2013 წელი).

ადგილობრივი თვითმმართველობა

სოფელ სამთაწყაროს რწმუნებულის, გულო ნადირაშვილის, განცხადებაში ჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება კონფლიქტის დროს უმრავლესობის ნების გათვალისწინებაზე დამყარებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკას ახორციელებდა. რწმუნებულმა ყველა კონფესიის წარმომადგენლისთვის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხში საკუთარი პასუხისმგებლობა არასათანადოდ შეაფასა. მისი თქმით, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა მუსლიმურ სალოცავში რელიგიური რიტუალის ჩატარებას და მოსახლეობის დაპირისპირების პროცესში მისი როლი უმნიშვნელო იყო.

„...ქრისტიანული სოფელია, ჰერეთიდან წამოსული ინგილოები არიან, რომლებმაც შეინარჩუნეს ქრისტიანობა, არ გვინდა ჩვენო. არც თვითონ აჭარელო ახალგაზრდებს არ უნდათ მუსლიმანური სამლოცველო, მერე სოფლიდან გარეთ რომ გავალთ, არ გვინდა, ვინმემ „მუსლიმანო აჭარელო“ დაგვიძახონო, თორემ აქ არაფერ შუაშია დაპირისპირება. მოსახლეობა უწევს წინააღმდეგობას, მე რა უფლება მაქვს, მე ვარ სახელმწიფო მოხელე“ („ნეტგაზეთი“, „სოფლის რწმუნებულნი უარყოფს, რომ თავადაც უშლის ხელს მუსლიმებს ლოცვაში“, 2013 წლის 31 მაისი).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა მუსლიმებისთვის რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა და მათთვის შეკრების თავისუფლების შეზღუდვა ლეგიტიმურად მიიჩნია.

„სოფელმა გამოხატა თავისი ნება, სოფლის ნება არის უზენაესი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და ხალხს რაც უნდა, ისე იქნება და ხალხის ნება არის ის, რომ არ გაკეთდეს სამლოცველო სახლი. რაც შეეხება კონსტიტუციურ უფლებას, ვინ სად ილოცოს და როგორ ილოცოს, იმ სამ ადამიანს, რომლებიც ამ სოფელში ცხოვრობენ და სურთ, რომ სამლოცველო სახლი ჰქონდეთ, მათ სამლოცველო აქვთ საკუთარ სახლში მოწყობილი და 37 წლის განმავლობაში ლოცულობენ“.

1.3. მინარეთის დემონტაჟი სოფელ ჭელაში

26 აგვისტოს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ მეჩეთის მინარეთის მოშლითა და ძალოვნების მიერ მუსლიმი მოსახლეობის ფიზიკური შეურაცხყოფით უხეშად დაირღვა მუსლიმთა უფლებები. მოვლენების განვითარებაზე ნეგატიური გავლენა იქონია სახელმწიფო მოხელეებისა და პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლო განცხადებებმა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით შემამოფოთებელი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის, კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებები.

საერთო ჯამში, სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟს გამოეხმაურა 8 პოლიტიკური სუბიექტი, რომელთაგან მხოლოდ 2 შეიცავდა მუსლიმების უფლებების დაცვისკენ მოწოდებას („ნაციონალური მოძრაობის“ წევრები – საპარლამენტო უმცირესობიდან ჩიორა თაქთაქიშვილი და არასაპარლამენტო სუბიექტია პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე.), 6 პოლიტიკური სუბიექტის განცხადება კი

შინაარსით დისკრიმინაციული იყო (კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები: 3 მათგანი მთავრობიდან, 1 – საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და 2 – არასაპარლამენტო პოლიტიკური სუბიექტი, პრეზიდენტობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ და პარტია „ქართული დასის“ ხელმძღვანელი).

განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფდნენ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას და მუსლიმთა უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებს პოლიტიკურ ძალთა შორის დაპირისპირების ჩრილში განიხილავდნენ. მთავრობის წევრები ვერ ახერხებდნენ რელიგიური გრძობების გამოხატვისას პირადი შეხედულებებისა და თანამდებობრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნას და საჯაროდ აყენებდნენ ეჭვქვეშ რელიგიური უმცირესობის საკულტო ნაგებობების, კონკრეტულ შემთხვევაში კი, მინარეთის არსებობის საჭიროებას. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა, პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ხელმძღვანელმა ჯონდი ბალათურამ მინარეთის აღმართვა თურქეთის ექსპანსიას დაუკავშირა და ეს ფაქტი პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ გამოიყენა.

რელიგიური უმცირესობის მიმართ დისკრიმინაციული შინაარსის ან კონტექსტის გქონე განცხადებები:

საქართველოს მთავრობა

მინარეთის დემონტაჟს 3 და 4 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოეხმაურა. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მინარეთის მშენებლობა „კანონდარღვევით მოხდა და, შესაბამისად, თვითნებობასა და უკანონობაზე ხელისუფლება თვალს ვერ დახუჭავს“. ივანიშვილმა ასევე უარყო მინარეთის დემონტაჟის რელიგიური სარჩული. „როგორც მთავრობის მეთაური აქცენტს გავაკეთებ კანონზე. არ შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ ერთ ლამეში, დილით გავიღვიძოთ და მინარეთი დგას, რომელიც არავისთან შეთანხმებული არ არის, პროექტი არ არსებობს, ადგილობრივი თვითმმართველობა საქმის კურსში არ არის“.

ინუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი: „არ არის გამორიცხული, მსგავსი შემთხვევები [მინარეთის] სხვაგანაც დაფიქსირდეს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ტაბუდადებული თემა და საქართველოს საზოგადოებას უნდა შეეძლოს ისტერიისა და დაპირისპირების გარეშე გადაწყვიტოს, უნდა იყოს თუ არა საქართველოში მინარეთები. ეს საკითხი სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვანაირად გადაწყვიტა. ზოგმა ქვეყანამ რეფერენდუმის სახით თქვა მინარეთებზე უარი“ („ნეტგაზეთი“, „საზოგადოებამ ისტერიის გარეშე უნდა გადაწყვიტოს, უნდა იყოს თუ არა მინარეთები“, 2013 წლის 27 აგვისტო).

რეიტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი: „ეს მინარეთი, როგორც ჩანს, დამონტაჟდა ორი თვის უკან. შესაბამისად, ეს მოხდა უკვე იმ ესკალაციის ფონზე, რაც ზოგადად არჩევნებისა და ახალი ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ხელოვნურად იქმნება ისლამსა და სახელმწიფოს შორის“ (26 აგვისტო 2013 წელი; „ნეტგაზეთი“, „ადიგენში აქციის მონაწილეები უნდა დაიშალონ – ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან“).

საქართველოს პარლამენტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ ასევე უარყო მუსლიმთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა და საკითხი მშენებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების ჩრილში განიხილა.

„სოფელ ქელაში მომხდარ ფაქტს რელიგიური მიმდინარეობის ან აღმსარებლობისთვის ხელის შეშლასთან კავშირი არა აქვს. ეს არის სამართლებრივი ტიპის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მშენებლობას. ტაძრის მშენებლობას, მეჩეთის მშენებლობას აქვს თავისი წესი. ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში არის ესეთი პრეცედენტი, როდესაც ხდება სწორედ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და მათი სურვილის გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება. ჩვენ რატომ არ უნდა ვკითხოთ ჩვენს ხალხს აზრი?“

არასაპარლამენტო პარტიები

რელიგიური დისკრიმინაციის მოტივი უარყო კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა.

„ადიგენის რაიონის სოფელ ჭელას თემა, რომელიც არსებობს და რომელიც რეალურად არ არსებობს, ძალიან მალე გადაწყდება...“ (27 ივლისი, ახალი ამბების სააგენტო).

„მე მიხარია, რომ უმაღლესი სასულიერო პირები ნერგავენ ტოლერანტობის კულტურას და, ბუნებრივია, მათ მიჰყვება მრევლიც. სახელმწიფო ამ პროცესებში, ბუნებრივია, იმუშავებს მხოლოდ როგორც რელიგიური ტოლერანტობის და... ძირითადად, აგრეთვე სამართლებრივი პროცესების გარანტიად“ (30 აგვისტო, „ტაბულა“, მარგველაშვილი: „მიხარია, რომ უმაღლესი სასულიერო პირები ნერგავენ ტოლერანტობას“).

„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ მინარეთის აღმართვის ფაქტი და რეგიონში დაძაბულობა თურქეთის ინტერესებს დაუკავშირა. მისი განცხადება მუსლიმი მოქალაქეების შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული იყო.

„თურქული სპეცსამსახურები ძალიან აქტიურად მუშაობენ. მათი აგენტურა დავერბოვებული მოლაღატე ქართველები არიან, რომლებსაც რელიგიურ ნიადაგზე დაძაბულობების შექმნა სურთ. ისინი ამის გაკეთებას განსაკუთრებული მონდომებით აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში ცდილობენ“, ჯონდი ბალათურია (www.sazogadoeba.ge; „თურქეთის ჯაშუშურმა ქსელმა ლამის ააოხრა და ააყირავა საქართველო“, 28 ნოემბერი, 2013).

ბალათურიამ რესპუბლიკური პარტიის წევრები გააკრიტიკა, რადგან ადიგენის საკრებულოში მისი ფრაქციის წარმომადგენლებმა ჭელაში მინარეთის აღმართვას მხარი დაუჭირეს. მათ ქმედებას ბალათურიამ სამშობლოს ღალატი უწოდა. მასალაში გამოიკვეთა ბალათურიას ნეგატიური პოზიცია მინარეთის აღმართვასთან დაკავშირებით.

„სამარცხვინო პოლიტიკოსების დრო უნდა დამთავრდეს საქართველოში! ვინც სამშობლოს ღალატით არის დაკავებული, ხალხმა მათ მიმართ სიძულვილი ღიად უნდა გამოხატოს“, ჯონდი ბალათურია (www.sazogadoeba.ge; „თურქეთის ჯაშუშურმა ქსელმა ლამის ააოხრა და ააყირავა საქართველო“, 28 ნოემბერი, 2013).

მუსლიმთა უფლებების დაცვისკენ მოწოდების უმცველი განცხადებები:

საპარლამენტო უმცირესობა

ჭელას მინარეთის დემონტაჟის გამო შეშფოთება გამოთქვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

დავით ბაქრაძემ ძალოვანთა პასუხისმგებლობის საკითხზე გაამახვილა ყურადღება: „შემოსავლების სამსახურის გაუაზრებელმა და უგუნურმა ნაბიჯმა ქვეყანაში დაძაბულობის ახალი კერის შესაქმნელად პირდაპირი მაპროვოცირებელი როლი ითამაშა“ (30 აგვისტო, 2013; „ტაბულა“, ბაქრაძე: „შემოსავლების სამსახურის ნაბიჯმა მაპროვოცირებელი როლი ითამაშა“).

უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი: „სამარცხვინოა! საპატრიარქო, „მართლმადიდებელი“ უმრავლესობა და ხელისუფლება შეთანხმდნენ, შეთანხმებულად შეუზღუდონ მუსლიმებს აღმსარებლობის თავისუფლება, მინარეთი მანამდე არ დააბრუნონ თავის ადგილზე, სანამ კანონით არ აკრძალავენ საერთოდ მინარეთების დადგმას. თან საპატრიარქოსთვის მადლობა ვათქმევინოთ მუსლიმთა მუფთის პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარების გამო. ამაზე დიდი ცინიზმი თუ გახსოვთ საერთოდ? პრემიერს კი ისევ სძინავს, რა თქმა უნდა!“ (29 აგვისტო, 2013 წელი, „ტაბულა“, ვერბატიმი).

1.4. ინციდენტი „ხანუქას“ დღესასწაულზე

კვლევის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებში არ გამოქვეყნებულა არც ერთი პოლიტიკოსის საჯარო განცხადება, რომელიც 2013 წლის 4 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე *ებრაული დღესასწაულის*, „ხანუქას“ დარბევის ფაქტს დაგმოხდა.

ხანუქას დღესასწაულის საზეიმო აღნიშვნა თავისუფლების მოედანზე 20-მდე მოქალაქემ გააპროტესტა, მათ შორის იყვნენ მართლმადიდებელი სასულიერო პირებიც. ორმა მოქალაქემ პლაკატები ჩამო-

ხია და დამონტაჟებული ტრიბუნა დააზიანა. საპროტესტო აქციის მონაწილეების განცხადებით, დღესასწაულის საჯარო სივრცეში აღნიშვნა მართლმადიდებელ მრევლს შეურაცხყოფას აყენებდა. როდესაც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საპატიო სტუმრის რანგში ხანუქას სანთლებს ანთებდა, მოქალაქეთა ნაწილმა მას მოუწოდა, არ აენთო სანთლები. პროტესტის მიუხედავად, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო ხანუქას დღესასწაულის აღნიშვნაში მონაწილეობა.

1.5. თვითმმართველობის კოდექსის მიღება

საპატრიარქოსადმი ხელისუფლების მიკერძოებული დამოკიდებულება გამოიკვეთა თვითმმართველობის კოდექსის მიღების თაობაზე გაკეთებულ საჯარო განცხადებებში. აღსანიშნავია, რომ ფართო პოლიტიკურ სპექტრში კანონპროექტის ცალკეული პუნქტების შესახებ დისკუსია მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პატრიარქმა კანონი უარყოფითად შეაფასა. პატრიარქმა ილია მეორემ 4 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა, რომ თუ საქართველოს პარლამენტი თვითმმართველობის კოდექსს არსებული ფორმით მიიღებს, „ეს ქვეყანას დაშლამდე მიიყვანს“.

ამ მიმართვის შემდეგ პარლამენტში კოდექსის საკომიტეტო განხილვები რამდენიმე დღით გადაიდო. დეპუტატების ნაწილმა აღნიშნა, რომ პატრიარქის მოსაზრება მათთვის „ყოველთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია“.

საპატრიარქოსთან კონსულტაციის შემდეგ, 2013 წლის 10 დეკემბერს, კანონმდებლებმა შეცვალეს კოდექსის ის მუხლი, რომელიც საპატრიარქოს პრობლემურად მიაჩნდა. დეპუტატების გადაწყვეტილებით, თვითმმართველობის კოდექსში არსებული მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებები სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებად გარდაიქმნება.

კოდექსის განხილვის შემდეგ, პარტია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ლევან ვეფხვაძემ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ საპატრიარქოს აზრი გაითვალისწინა და კონკრეტული მუხლი მის მითითებით შეცვალა.

საერთო ჯამში თვითმმართველობის კოდექსის შესახებ დისკუსიას გამოეხმაურა 11 პოლიტიკური სუბიექტი. მათგან მხოლოდ 4 პოლიტიკური სუბიექტის განცხადება შეესაბამებოდა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს, 7 კი – არა.

სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს შეესაბამებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ 2 წარმომადგენლის (საპარლამენტო უმრავლესობა), ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ 2 წარმომადგენლის განცხადებები (1 – საპარლამენტო უმცირესობა, 1 – არასაპარლამენტო ოპოზიცია). სეკულარული სახელმწიფოს პრინციპების შეუსაბამო განცხადება გააკეთეს კოალიცია „ქართული ოცნების“ 5-მა წევრმა საპარლამენტო უმრავლესობიდან და არასაპარლამენტო ოპოზიციის 2-მა წარმომადგენელმა („ქრისტიან-დემოკრატები“, „ქართული დასი“).

სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს არ შეესაბამება შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების განცხადებები:

საპარლამენტო უმრავლესობა

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ „უწმინდესის პოზიცია საყურადღებოა“ (*„ნეტგაზეთი“*, 2014 წლის 4 დეკემბერი).

საპატრიარქოს ავტორიტეტზე ყურადღება გაამახვილა ასევე კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ: „პატრიარქის პოზიციას ჩვენ ყურს ვუგდებთ, ყურადსაღებია და მნიშვნელოვანია“ (*2013 წლის 4 დეკემბერი; „ნეტგაზეთი“*).

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძემ აღიარა, რომ საკომიტეტო განხილვის გადადების მიზეზი პატრიარქის პოზიცია იყო (*„ტაბულა“, ტყემალაძე: „საკომიტეტო განხილვის გადადების ერთ-ერთი მიზეზი პატრიარქი იყო“, 5 დეკემბერი, 2013 წელი*).

პატრიარქთან შეხვედრა და თვითმმართველობის კოდექსის გადახედვა დადებითად შეაფასა უმრავლესობის წევრმა ირაკლი სესიაშვილ-

მაც: „როდესაც საპატრიარქო განცხადება გააკეთა თვითმმართველობის რეფორმაზე, მთავრობა, ბუნებრივია, ეცდებოდა შეხვედრას“ („ტაბულა“, ტყემალაძე: „საკომიტეტო განხილვის გადადების ერთ-ერთი მიზეზი პატრიარქი იყო“, 5 დეკემბერი, 2013 წელი).

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვიქტორ დოლიძემ პრესასთან განაცხადა, რომ ხელისუფლება საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლის, „მით უფრო, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაზრებებს აუცილებლად გაითვალისწინებს“.

„ჩვენ ვუსმენთ უწმინდესს და უნდა ვუსმენდეთ კიდევ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრ საინტერესო და ჭკვიანურ იდეას გვთავაზობს ხოლმე“ (5 დეკემბერი, 2013, საინფორმაციო სააგენტო „პირველი“).

სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს არ შეესაბამებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატის, სოსო ჯაჭვლიანის განცხადებები:

„მანდატი კი არა, პატრიარქი ყველა მანდატზე დიდია... ყველა საკითხს პატრიარქს უნდა ვუთანხმებდეთ სულიერების გადასარჩენად...“ (6 დეკემბერი, 2013 წელი, „ტაბულა“, ციტატები).

ჯაჭვლიანმა გააკრიტიკა დეპუტატი თამარ კორძია, რადგან მან პატრიარქის განცხადება ხელისუფლების ფუნქციებში ჩარევად შეაფასა. როგორც კორძიამ აღნიშნა, პატრიარქის განცხადებას ერთადერთი მიზანი აქვს, რომ „თვითმმართველობის რეფორმა არ განხორციელდეს“, კორძიამ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დაწერა: „ხომ არ ჯობდა ერთი საპარლამენტო მანდატი გადაგვეცა პატრიარქისთვის?!“

არასაპარლამენტო ოპოზიცია

პარტია „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ პატრიარქის კრიტიკის გამო კორძია მოსაწლოებამ „პარლამენტიდან უნდა გამოიყვანოს“. ბალათურიამ პოლიტიკურ ძალებს, რომლებმაც თვითმმართველობის შესახებ კოდექსს მხარი დაუჭირეს, ანტიქართული ძალები უწოდა („ასავალ-დასავალი“, 2013 წლის 9-15 დეკემბერი, გვ. 7).

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ლევან ვეფხვაძე: „კარგია, რომ ხელისუფლება წავიდა დათმობაზე და საბჭოები იმ ფორმით, რა ფორმითაც თავიდან იყო გათვალისწინებული, აღარ შეიქმნება, არ იქნება ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ქვეყნის სეპარაციის საფრთხე აღარ იარსებებს“ (2013 წლის 10 დეკემბერი; for.ge; „თვითმმართველობის კოდექსი – როგორ იქმნება პროდუქტი“).

პოლიტიკური სუბიექტის განცხადება შემსაბამება სექულარული სახელმწიფოს პრინციპებს:

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა თამარ კორძაიამ პატრიარქის განცხადება ეკლესიის სახელისუფლებო ფუნქციებში ჩარევად შეაფასა (2013 წლის 4 დეკემბერი, „ტაბულა“, კორძაია: „ხომ არ ჯობდა ერთი საპარლამენტო მანდატი გადაგვეცა პატრიარქისთვის?!“).

შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო იერარქის მოწოდების დეპუტატისეული შეფასება გადაჭარბებულია. სექულარიზმი საეკლესიო და საერო ხელისუფლების სეპარაციას გულისხმობს. ამ დროს ხელისუფლება იცავს რელიგიურ ნეიტრალიტეტს, არ ერევა რელიგიური ინსტიტუტების საქმიანობაში და არც სასულიერო ლიდერებს აძლევს პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების საშუალებას. თუმცა, სასულიერო პირს, ისევე, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება.

„არ შეიძლება პატრიარქი აკეთებდეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ რისკებს შეიცავს თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნახევარზე მეტს წაკითხული არა აქვს თავიდან ბოლომდე. ამიტომ, თუ პატრიარქი მოუწოდებს საზოგადოებას აქტიური დისკუსიისაკენ, მან შეფასება არ უნდა გააკეთოს, რა რისკებს შეიცავს ეს კოდექსი“ (2013 წლის 4 დეკემბერი, „ნეტგაზეთი“, თამარ კორძაია: „საპატრიარქო ზედმეტად ერევა სახელისუფლებო საქმიანობაში“).

აღნიშნულ კონტექსტში, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით უსუფაშვილის შეფასება ყველაზე ადეკვატურია და სექულარული სახელმწიფოს პრინციპებს შეესაბამება.

დავით უსუფაშვილი: „თუ გვინდა, რომ ცივილიზებული ქვეყანა ავაშენოთ, მაშინ უნდა შევეფუოთ იმას, რომ საქართველო არის ყველასი – მათ შორის, რელიგიური მოღვაწისაც. პატრიარქი მიდის არჩევნებზე და ხმას აძლევს, ამიტომ მას აქვს სრული უფლება და თავისუფლება გამოხატოს თავისი მოსაზრებები. ჩარევა მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ხელისუფლება ჩარევს ვინმეს თავის საქმეში“ (2013 წლის 6 დეკემბერი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, გადაცემა „პოზიცია“).

საპარლამენტო უმცირესობა

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პავლე კუბლაშვილმა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში“ ხაზი გაუსვა რელიგიისა და სახელმწიფოს სეპარაციისა და სეკულარობის პრინციპების დაცვის მნიშვნელობას.

პავლე კუბლაშვილი: „ვერ გავიგე, საერთოდ რომ არაფერი თქმულიყო პატრიარქისგან, ეს კანონპროექტი არ უნდა წაეკითხათ, თუ ნაკლებად აქტუალური იყო ის რეფორმა, რომელიც ხორციელდება? თავისთავად ეს განცხადებები არაბუნებრივია, რომ აი, რადგან პატრიარქმა მოგვიწოდა, ამიტომ წავიკითხავთ ამ კანონპროექტს... მე ვფიქრობ, რომ მთავარი პრობლემა არის პოლიტიკისა და რელიგიის, პოლიტიკისა და ეკლესიის გამიჯვნა და ეს ასე უნდა მოხდეს“ (2013 წლის 6 დეკემბერი, „რუსთავი 2“, გადაცემა „პოზიცია“).

კუბლაშვილის მსგავსად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მდივანმა საგარეო საკითხებში გიგა ბოკერიაშვილმა ისაუბრა პატრიარქის განცხადებაზე და რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

გიგა ბოკერია: „საუბარი სეპარატიზმის გაღვივებასა და ქვეყნის დაშლის გეგმაზე უკეთეს შემთხვევაში არის სრული გაუაზრებლობა და ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოში სახელმწიფო და ეკლესია გაყოფილია... (2013 წლის 7 დეკემბერი, „ტაბულა“, ბოკერია: „უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოში სახელმწიფო და ეკლესია გაყოფილია“).

1.6. პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლე

პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლეს, რომელიც ბავშვთა და ქალთა უფლებებისა და საზოგადოდ, უმცირესობების ჯგუფებისა და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციების წინააღმდეგ იყო მიმართული, გამოეხმაურა 10 პოლიტიკოსი. მათგან 7 სუბიექტის (3 – მთავრობა, კოალიცია „ქართული ოცნება“, 2 – საპარლამენტო უმრავლესობა, კოალიცია „ქართული ოცნება“, 2 – საპარლამენტო უმცირესობა, „ნაციონალური მოძრაობა“) განცხადება შეესაბამებოდა სექულარული სახელმწიფოს პრინციპებს, 3 კი – არა. მათ შორის იყო მთავრობის წარმომადგენელი 1 სუბიექტი კოალიცია „ქართული ოცნებიდან“, 1 კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი საპარლამენტო უმრავლესობაში და 1 არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი პარტია „თავისუფალი საქართველო“.

მთავრობის 1-მა წარმომადგენელმა გამოიყენა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული ტერმინები.

ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა გამოხატა პატრიარქის საწინააღმდეგო მოსაზრება, ზოგიერთმა კი საჯარო განცხადებისგან თავი შეიკავა. მაგალითად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უურნალისტების კითხვაზე, ეთანხმება თუ არა ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებებს, აღნიშნა, რომ ამ საკითხში უფრო კომპეტენტური ადამიანების რჩევა სჭირდება („ნეტგაზეთი“, 16 იანვარი, 2014 წელი).

პოლიტიკური სუბიექტების განცხადება არ შემსაბამება სექულარული სახელმწიფოს პრინციპებს:

საქართველოს მთავრობა

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა თავის განცხადებაში მხარი დაუჭირა ქადაგებას, თვითიდენტიფიცირება მოახდინა დომინანტ რელიგიურ ჯგუფთან და ხაზი გაუსვა პატრიარქის მორალურ უპირატესობას.

„როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ერთი მხრივ, ეს არის ქვეყანა, სადაც თითქმის 90% ამ ეკლესიის შვილია და ამ ეკლესიის მრევლია, ამ დროს ეს სიტყვები, რომელიც მოდის მისი მღვდელმთავრისგან, უნდა მივიღოთ იმიტომ, რომ ეს არის საფუძველი ქვეყნის სიმტკიცის („ნეტგაზეთი“, 2014 წლის 7 იანვარი, სოზარ სუბარი: „ოჯახის სიწმინდეზე ასეთი აქცენტების გაკეთება არ არის შემთხვევითი“).

საპარლამენტო უმრავლესობა

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო ისეთ თემებზე საუბრისას, როგორცაა პატრიარქის საშობაო ეპისტოლე. ბესელიამ აღნიშნა, რომ კრიტიკით ხშირად პატრიარქს დაუმსახურებლად გულს სტკენენ. ბესელიამ დადებითად შეაფასა პატრიარქის ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრებები, მისი თქმით, ეკლესიის წინამძღოლმა ისაუბრა ქრისტიანულ სწავლებაზე, ოჯახურ ტრადიციებზე და მას არ მოუწოდებია სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვების უფლებების შელახვისკენ.

„პატრიარქს არ უთქვამს, რომ შევლახოთ უფლებები ამ ბავშვების ან არ გვიყვარდეს, არ მივიღოთ ისინი და ხელი ვკრათ „დაუმორჩილებელ“ ცოლებს... ნეტავ შევძლოთ ისეთი მიმტვევბლობა, ისეთი სიყვარულით და სიკეთით ერთი დღე ცხოვრება, როგორც ეს პატრიარქმა შეძლო“ (2014 წლის 9 იანვარი, „ტაბულა“, ეკა ბესელია: „სუროგაცია ჩვენთან ბიზნესი და ტრეფიკინგის წყარო გახდა“).

არასაპარლამენტო ოპოზიცია

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ „ასავალ-დასავალთან“ საუბრისას საპატრიარქოსთან გამართულ აქციას, რომლის მონაწილეები ხელოვნური განაყოფიერების გზით გაჩენილი ბავშვების შესახებ ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებას კრიტიკულად აფასებდნენ, „სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი“ უწოდა.

კახა კუკავა: „დიახ, საქართველოს საპატრიარქოსთან აქციის გამართვა და სიძულვილით გაჟღერებული ის პლაკატები, რომლებიც ნინია კაკაბაძესა და მის დამქაშებს ეჭირათ, არის საქართველოს კათო-

ლიკოს-პატრიარქზე ხელის აღმართვა“ (2014 წლის 13-19 იანვარი, „ასავალ-დასავალი“, N2, გვ. 9, ინტერვიუ კახა კუკავასთან).

პოლიტიკური სუბიექტების განცხადება შემსაბამება სემპლარული სახელმწიფოს პრინციპებს:

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გამოეხმაურა საპატრიარქოსთან აქციის დარბევის ფაქტს და აღნიშნა, რომ „ღირსეული, თავისუფალი ადამიანების საზოგადოებაში სრულიად გაუმართლებელია ძალადობა ნებისმიერი საბაზით“ (2014 წლის 9 იანვარი; „ნეტგაზეთი“: „პრეზიდენტი საპატრიარქოსთან მომხდარ ინციდენტს ეხმაურება“).

პატრიარქის ეპისტოლე კრიტიკულად შეაფასეს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ თამარ ჩუგოშვილმა, საპარლამენტო უმცირესობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით დარჩიამშვილმა და ზურაბ ჯაფარიძემ, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა თამარ კორძაიამ.

უმრავლესობის წევრმა ზვიად კვაჭანტირაძემ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ეპისტოლეს შინაარსობრივ ნაწილზე, თუმცა, დასძინა, რომ არ სჯერა, „რომ ეს ყველაფერი პატრიარქის სურვილით გაჟღერდა“ (2014 წლის 7 იანვარი; „ტაბულა“, ზვიად კვაჭანტირაძე: „არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი პატრიარქის სურვილით გაჟღერდა“).

1.7. მთავრობის ინიციატივა „ოთხი კონფესიის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით

2014 წლის 27 იანვრის დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობამ პირდაპირი, დოტაციური დაფინანსება გამოუყო საქართველოს საპატრიარქოს გარდა, კიდევ ოთხ რელიგიურ გაერთიანებას. აღნიშნული ინიციატივის მიხედვით, დაფინანსების გარეშე დარჩნენ სხვა რელიგიური გაერთიანებები, რაც თავისთავად კონფესიების რანჟირების მანკიერ პრაქტიკას წარმოადგენს.

დაფინანსების აღნიშნულ მოდელში არსებული ხარვეზებისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის მიუხედავად, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების შესახებ კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა.

მაგალითად, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ინიციატივას ხელისუფლების „მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული“ ქმედება უწოდა. მისი თქმით, საქართველოს საერთაშორისო ლიბერალური საზოგადოების წინაშე აქვს აღებული ვალდებულებები ყველანაირი უმცირესობის (მათ შორის სექსუალური და რელიგიური) დაცვის შესახებ, „თუნდაც საკუთარი რელიგიის დაკნინების, შეურაცხყოფის ხარჯზე“.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ლაპარაკია უკვე არა კონფესიების, არამედ სხვა რელიგიური მიმართულებების დაფინანსებაზე, რაც ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატით უკანონო ფაქტია. ვინმემ დასვა კითხვა: თუ ჩვენ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას დავაფინანსებთ, ამით სომხური ეკლესია უარს იტყვის სადავო ტაძრებზე? ამ კითხვას არავინ სვამს და მოდი, ჩვენ დავსვათ „ასავალ-დასავალში“ („ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 3-9 იანვარი, N5, გვ. 35).

1.8. „ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის“ განხილვა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას საჯარო დისკუსიაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სახელმწიფოში სეკულარიზმის კუთხით არსებული გამოწვევები. პარლამენტმა კანონი პირველი მოსმენით 2014 წლის 17 აპრილს მიიღო, თუმცა, საპატრიარქოს მოთხოვნით, მასში შევიდა ცვლილებები, რომლებიც კანონის ინტერპრეტაციას დომინანტი რელიგიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით გვთავაზობს. მაგალითად, არარელევანტურია სპეციალური მითითების გაკეთება იმის თაობაზე, რომ კანონის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას.

კანონის დამტკიცებამდე, საქართველოს საპატრიარქო უარყოფითად შეაფასა კანონპროექტში უმცირესობათა ჯგუფების დაცვის შესახებ კონკრეტული მითითებები. მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი მოითხოვდა, რომ კანონმდებლებს დისკრიმინაციის საფუძვლების ნიშნების ჩამონათვალიდან „სექსუალური ორიენტაცია“ ამოეღოთ.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის განხილვას არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სასულიერო პირები და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები ესწრებოდნენ. დეკანოზი დავით ისაკაძე იმ დეპუტატებს, რომლებიც კანონპროექტს მხარს დაუჭერდნენ, ანათემაზე გადაცემით დაემუქრა.⁷⁵ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ კანონს მხარი დაუჭირა, მათი განცხადებები ხშირ შემთხვევაში ერთი კონფესიის მიდგომებს გამოხატავდა და საპატრიარქო სხვა უმცირესობათა ჯგუფებთან შედარებით პრეფერენციურულ კონტექსტში იყო მოხსენიებული. ასევე, პოლიტიკურ ნარატივში გამოიკვეთა ნაციონალური და რელიგიური იდენტობების გაიგივების ტენდენცია.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის შესახებ განცხადება გააკეთა 21-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა, რომელთაგან მხოლოდ 8 მათგანის განცხადება შეესაბამებოდა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს, 13-ის კი გამოხატავდა საპატრიარქოს ინტერესებს.

სუბიექტები, ვისი განცხადებაც შეესაბამებოდა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს: მთავრობა „ქართული ოცნება“ (1), საპარლამენტო უმრავლესობა „ქართული ოცნება“ (4), საპარლამენტო უმცირესობა „ნაციონალური მოძრაობა“ (2), არასაპარლამენტო პოლიტიკური სუბიექტი „ქართული ოცნება“ (1).

სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს არ შეესაბამებოდა შემდეგი სუბიექტების განცხადებები: მთავრობა „ქართული ოცნება“ (4), საპარლამენტო უმრავლესობა (8), არასაპარლამენტო ოპოზიცია „თავისუფალი საქართველო“ (1).

75 <http://cp.ge/ge/stiacci.php?ID=14905>.

ამასთან, 3 შემთხვევაში პოლიტიკოსები ახდენდნენ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით: საპარლამენტო უმრავლესობა „ქართული ოცნება“ (1), მთავრობა „ქართული ოცნება“ (1), არასაპარლამენტო ოპოზიცია „ქართული დასი“ (1).

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიუღებლობა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციას შეაფერხებს. გადაცემა „პირველ სტუდიაში“ პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საკუთარ რელიგიურ კუთვნილებას და კანონის მნიშვნელობა ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრიზმიდან განიხილა.

„მე იმ რელიგიას ვეკუთვნი, რომელიც ამბობს, რომ ვინც უცოდველია, მან პირველმა ისროლოს ქვა, ეს ის რელიგიაა, რომელშიც მაცხოვარი ამბობს, რომ საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავთ და სხვათა თვალში ხედავთ ბეწვს. ეს ის რელიგიაა, რომელმაც მთავარი აქცენტი არა უბრალოდ მოყვასის სიყვარულზე, არამედ მტრის შეყვარებაზე გადაიტანა. შესაბამისად, ნებისმიერი ჩაგვრა, მისი ლეგიტიმაცია ჩემთვის არა უბრალოდ როგორც თანამედროვე სამყაროს წარმომადგენლისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელსაც უნდა რომ საქართველო ევროპული გზით წავიდეს, არამედ როგორც ქრისტიანისთვის მიუღებელია“ (30 აპრილი, 2014, ახალი ამბების პორტალი new posts, გიორგი მარგველაშვილი: „ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით არავინ დაზარალდება“).

განცხადებები გამოსატავს საპატრიარქოს ინტერესებს:

საქართველოს მთავრობა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი გამოეხმაურა საქართველოს პატრიარქის განცხადებას და აღნიშნა, რომ „ილია მეორე ბრძენი ადამიანია და მან კარგად იცის, რასაც აკეთებს“. მისი თქმით, კანონპროექტი არ უქმნის საფრთხეს ქვეყნის ტრადიციებსა და ფასეულობებს (30 აპრილი 2014, „ტაბულა“, ლარიბაშვილი: „არ მივიღებთ კანონს, რომელიც ქვეყნის ინტერესებს საფრთხეს შეუქმნის“).

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობას გაუსვა ხაზი და დასძინა, რომ „ყველას მოვალეობაა, ჩვენი საზოგადოების ყველაზე თვალში საცემი, პატივისცემი პირი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არ ანერვიულოს“ (30 აპრილი, 2014, „ტაბულა“, წულუკიანი: „ისეთი არაფერია, რამაც ერში თუ ბერში, ვინმე შეიძლება, შეაშფოთოს“).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოში უმრავლესობის უფლებები ილახება და მართლმადიდებელი მრევლი პრეფერენციებულ კონტექსტში მოიხსენია.

დიმიტრი ჯაიანი: „აგერ, ბატონო ჩემო, მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებს მილიონამდე ადამიანმა მიაგო პატივი! ამ ხალხს რა ვუთხრათ? ამ ხალხს არა აქვს ათასწლოვანი რწმენისა და კულტურის, ტრადიციებისა და ოჯახის დაცვის უფლება?! ყველა გამოკითხვით, 98 პროცენტი ემხრობა და ნდობას უცხადებს ჩვენს უწმინდესსა და დედაეკლესიას! სად გავგონილა, რომ ორმა პროცენტმა თავის ჭკუაზე ატაროს ქვეყანა! ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა! თანაც ეს უკუღმართ დღეზე გაჩენილები და მათი „კუდები“ ხომ ის 2 პროცენტიც არ არიან?!“ (2014 წლის 21-27 აპრილი, „ასავალ-დასავალი“, N16, გვ. 16).

საპარლამენტო უმრავლესობა

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, უმრავლესობის წევრმა მანანა კობახიძემ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ანტიდისკრიმინაციულ კანონს განიხილავდნენ, აქცენტი უმრავლესობის უფლებების დაცვაზე გააკეთა.

„წელან მამაომ ბრძანა, თუ ჩემი უფლება დაირღვევა, ვინ დაიცავსო. დავიცავთ, მამაო, ნამდვილად თქვენს უფლებას, თუკი ამ კანონის მიღების შემდეგ, თქვენ დაგემუქრებათ რაიმე, იმის გამო, რომ თქვენ იქადაგეთ და თქვით, რომ ეს [ჰომოსექსუალობა] არის ცოდვა. ეკლესიამ უნდა თქვას, რომ ეს [ჰომოსექსუალობა] არის ცოდვა და

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეკლესიამ ეს არ თქვას" (29 აპრილი, 2014, „ტაბულა“, ვერბატიმი).

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ აღნიშნა, რომ კანონის შინაარსობრივი ნაწილის დასახვეწად კონსულტაციებს სასულიერო პირებთან გადის (27 აპრილი, 2014, „ნეტგაზეთი“). მისივე თქმით, შესაძლოა კანონმდებლებმა არ ასახონ კანონში ის პუნქტები, რომლებსაც სასულიერო პირები საფრთხის შემცველად მიიჩნევენ.

ეკა ბესელია: „ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ დიალოგი სასულიერო პირებთან და ვესაუბროთ იმ ადამიანებს, რომლებიც კანონში ხედავენ ისეთ საფრთხეებს, რომელიც არ ჩაიდება. არ იქნება ისეთი შედეგებიც, რომელზეც განცხადებები საჯაროდ კეთდება. მნიშვნელოვანია, ერთმანეთის პოზიციები დავაახლოოთ და გავიგოთ“ (30 აპრილი 2014, „ტაბულა“, ეკა ბესელია: „მზად ვართ, გავაგრძელოთ დიალოგი სასულიერო პირებთან“).

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გედევან ფოფხაძემ 16 აპრილს ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერში, გადაცემა „ფოკუსში“ განაცხადა, რომ მისთვის მისი რელიგიური კუთვნილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეპუტატის მანდატი.

„შეიძლება მე ვცდები და ამ კანონით რამე ზარალდება მორალის თვალსაზრისით. მე მგონია, რომ პირიქით – ეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ადამიანების უფლებების სტანდარტს უფრო მაღალ საფეხურზე აყენებს. მაგრამ თუ ვინმე იტყვის, რომ ამით ზარალდება საყოველთაოდ აღიარებული მორალური სტანდარტები, ესეც არის სამართლებრივი კატეგორია და უნდა შევჯერდეთ ამაზე, დასაბუთება ბოლომდე უნდა მოვისმინოთ“ („ტაბულა“, გედევან ფოფხაძე: „ჩემთვის ჩემი რელიგიური კუთვნილება დეპუტატობაზე უფრო მნიშვნელოვანია“, 16 აპრილი, 2014 წელი).

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ივანე კიდურაძემ აღნიშნა, რომ „როგორც ყველა ნორმალურ ქართველს, მასაც ძალიან უყვარს პატრიარქი და სწორედ ამიტომ დაუჭირა მხარი კანონს (2014 წლის 5-11 მაისი, „ასავალ-დასავალი“, მე-18 ნომერი, გვ. 10).

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, სოსო ჯაჭვლიანის განმარტებით, მან კანონპროექტს მხარი მას შემდეგ დაუჭირა, რაც დარწმუნდა, რომ მასში ეკლესიისთვის მიუღებელი პუნქტები არ არსებობს.

სოსო ჯაჭვლიანი: „ჩვენი დედაეკლესიის წარმომადგენლები ისე ლაპარაკობენ, როგორც უნდა ლაპარაკობდნენ... ვიდრე კანონს მივიღებდით, იურისტებსაც ვესაუბრე და დამარწმუნეს, რომ ამ კანონში ეკლესიისთვის მიუღებელი და საგანგაშო არაფერია“ (2014 წლის 5-11 მაისი, „ასავალ-დასავალი“, მე-18 ნომერი, გვ. 10).

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა გუბაზ სანიკიძემ 1-ელ მაისს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღების აუცილებლობაზე ისაუბრა და ასევე გააკრიტიკა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეკლესიას „დარტყმის ქვეშ“ აყენებენ.

„ეკლესია არის ჩვენი სინდისი, ხანდახან შეგვაწუხებს და შევწუხდეთ, არაფერი არ გვიჭირს და დარტყმის ქვეშ ნუ ვაყენებთ ამას. ეკლესია და ხელისუფლება განწირული ვართ თანამშრომლობისთვის, სხვა გზა არა გვაქვს, იმიტომ, რომ დაგვეზოზოა ეს ქვეყანა“ („ნეტგაზეთი“, სანიკიძე: „რუის-ურბნისის განჩინებაში წერია სექსუალურ უმცირესობებზე“, 1 მაისი, 2014).

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარია, გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს იმ ღირებულებების პროპაგანდას, რასაც ეკლესია ეწინააღმდეგება („ასავალ-დასავალი“, მე-18 ნომერი, გვ. 10, 2014 წლის 5-11 მაისი).

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ზვიად კვაჭანტირაძემ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე განმარტა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნით კანონში შევიდა მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც, „სრულად არის დაცული ეკლესიის დამოუკიდებლობა. კანონი მაქსიმალურად მორგებულია ქართულ რეალობას და ყველა ნიუანსი მაქსიმალურად გათვალისწინებულია“ (28 აპრილი, 2014).

არასაპარლამენტო ოპოზიცია

„ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე საპარლამენტო განხილვების დროს ანტი-დისკრიმინაციული კანონპროექტის ავტორებს აკრიტიკებდა იმის გამო, რომ პარლამენტში ინიცირებამდე დოკუმენტის განხილვა საპატრიარქოსთან არ მომხდარა. მისი აზრით, კანონპროექტის მიღებისას მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს საპატრიარქოს მოსაზრება გაეზიარებინა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ზუსტად ეს არის დისკრიმინაცია. ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტთან, როგორც არის ეკლესია, არ ყოფილა განხილული ეს კანონპროექტი“. „ნეტგაზეთი“, ისაკაძე: „ანტიდისკრიმინაციული კანონი ილია მეორესთან და ქორეპისკოპოსებთან არ განხილულა“, 2014 წლის 16 აპრილი).

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელმა კახა კუკავამ ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხში საპატრიარქოს პოზიციას იზიარებს.

კახა კუკავა: „მე ასი პროცენტით ვიზიარებ ეკლესიის პოზიციას და ვაცხადებ, რომ ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს! საქართველოში დისკრიმინაციის მომხრე არავინ არის და ძალადობას არავინ ამართლებს, არც ეკლესია და არც ოპოზიცია. საქმე ისაა, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში ამ ხელისუფლებამ ქართულ კანონმდებლობაში ჩაწერა ტერმინები „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ („ასავალ-დასავალი“, მე-18 ნომერი, გვ. 15, 2014 წლის 5-11 მაისი).

განცხადებები შეესაბამება სემპლარული სახელმწიფოს პრინციპებს:

საქართველოს მთავრობა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარაიშვილმა კანონპროექტი დადებითად

შეაფასა და აღნიშნა, რომ გადამწყვეტი სიტყვა კანონმდებლებს უნდა ეკუთვნოდეთ.

„კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა, ჩემთვის მისაღებია. ვეთანხმები და მგონია, რომ უნდა გავიდეს ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვთვლით, მაგრამ პარლამენტი არის უფრო მაღალი ორგანო, შესაბამისად, მას აქვს თავისი ხედვები. აქვს უფლება, გარკვეულწილად შეცვალოს პროექტი და კორექტივები შეიტანოს. საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა დამოკიდებულება კი ბუნებრივია. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული“ (1 მაისი, 2014, „ტაბულა“, ზაქარეიშვილი: „ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი ჩემთვის მისაღებია“).

საპარლამენტო უმრავლესობა

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ოპონენტების საპასუხოდ, რომლებიც კანონმდებლებს „გეიპროპაგანდაში“ ადანაშაულებდნენ, განუცხადა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდას არ ემსახურება და კანონის ამოცანა უმცირესობათა ჯგუფების ძალადობისგან დაცვაა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის საფუძვლების ნიშნების ჩამონათვალიდან სექსუალურ ორიენტაციას არ ამოიღებენ, რადგან „ეს პრინციპული საკითხია და სახელმწიფო ძალადობას არ დაუშვებს“ („ტაბულა“, უსუფაშვილი: „არ წამოვეგოთ სპეკულაციებს ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით“).

თინათინ ხიდაშელმა გადაცემა „პოზიციაში“ მთავრობასა და ეკლესიას შორის „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ გამო დაპირისპირების ფაქტი უარყო.

„ეს ფაქტი, რომ ასეთი ტიპის კანონით ბედნიერი არ არის სასულიერო პირების ნაწილი. ეს ნორმალურია... დისკრიმინაციის აკრძალვა სჭირდება ქართულ სახელმწიფოს. ისეთები უნდა მივიღოთ ადამიანები, როგორებიც არიან...“ (2 მაისი 2014, „რუსთავი 2“ , გადაცემა „პოზიცია“).

კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატმა თამარ კორძაიამ აღიარა, რომ ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა საპატრიარ-

ქოსთან, თუმცა, ამ კომპრომისის შედეგად მიღებულ ცვლილებებს თავად დეპუტატი არ იზიარებს.

„წარმოდგენილ კანონპროექტში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ეხება იმას, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებას ამ კანონის არც ერთი დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არის სრულიად ზედმეტი დებულება. მაგრამ ამ დებულებას არ ვაპროტესტებ, როგორც პარლამენტისა და უმრავლესობის წევრი, იმიტომ, რომ ეს იყო შეთანხმება და ეს იყო იმ მოლაპარაკების შედეგი, რაც სწორედ საპატრიარქოსთან მიმდინარეობდა, როგორც ერთ-ერთ ინსტიტუციასთან ქვეყანაში... სწორედ მათი მოთხოვნა რომ იყო ასეთი, ჩვენ ეს დავაფიქსირეთ. თუმცა, ვთვლი, რომ ამ კანონში ის არ უნდა იყოს“ (28 აპრილი 2014, „ტაბულა“, კორძაია: „კანონპროექტი დაცვის მექანიზმების კუთხით ცოტა უნდა გამოვაცოცხლოთ“).

ლევან ბერძენიშვილმა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გამო საპატრიარქოს წინააღმდეგობა შეაფასა, როგორც „განათლებასთან გაუნათლებლობის დაპირისპირება“.

„ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში დისკრიმინაციის საგანი თვითონ იყო, დისკრიმინაციისთვის არ უნდა იბრძოდეს. პირიქით, მხარში უნდა გვედგეს და გვეხმარებოდეს, რომ არავის დისკრიმინაცია არ მოხდეს, მათ შორის – რელიგიური მოტივით“ (30 აპრილი 2014, „ტაბულა“, ლევან ბერძენიშვილი: „განათლებას გაუნათლებლობა უპირისპირდება“).

საპარლამენტო უმცირესობა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა გადაცემა „პოზიციამი“ აღნიშნა, რომ პოლიტიკოსებმა დომინანტი რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილება საკუთარი ლეგიტიმაციის წყაროდ არ უნდა გამოიყენონ.

პავლე კუბლაშვილი: *„კონსესუსი, პირველ რიგში, პოლიტიკურ ძალებს შორის უნდა იყოს, რომ არ არსებობდეს პრობლემები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, განსხვავებული ადამიანის, განსხვავებული მრწამსის გამო ჩავგრასთან დაკავშირებით, სხვა-*

დასხვა მიზეზის გამო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. ეს პრობლემები უნდა გადაწყვიტონ პოლიტიკოსებმა. ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს, გამოიყენოს გარკვეული რელიგიური გრძნობები, რომ თავისი პოზიცია დაამკვიდროს“ (2 მაისი 2014, „რუსთავი 2“, გადაცემა „პოზიცია“).

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა პარლამენტში გიორგი გაბაშვილმა გადაცემა „პოზიციაში“ ხაზი გაუსვა უმცირესობათა ჯგუფების დაცვის მნიშვნელობას.

გიორგი გაბაშვილი: „საქართველო შედგება სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური წარმომადგენლებისგან, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ერთად და უნდა ვისწავლოთ, რომ არც ერთ ჯგუფს, მით უმეტეს, ყველაზე დიდს, ეთნიკურად ქართველებს, მართლმადიდებლებს, არ გვაქვს უფლება სხვისი უფლებების ხარჯზე ჩვენი უფლებები დავიცვათ“ (2 მაისი, 2014, „რუსთავი 2“, გადაცემა „პოზიცია“).

არასაპარლამენტო ოპოზიცია

სეკულარობის პრინციპებს შეესაბამებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის, დავით ზურაბიშვილის განცხადება, რომელმაც ხაზი გაუსვა საეკლესიო და საერო ხელისუფლების გამიჯვნის აუცილებლობას.

დავით ზურაბიშვილი: „საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო და, ბუნებრივია, ეკლესიას შეუძლია, გამოთქვას მოსაზრება კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ პრეროგატივა აქვს საქართველოს პარლამენტს და ერთიანი პოზიციაა, რომ ეს კანონი უნდა იყოს სწრაფად მიღებული“ (29 აპრილი, 2014, „რუსთავი 2“, გადაცემა „არჩევანი“).

დასკვნა

რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის აღკვეთისა და სეკულარიზმის თვალსაზრისით, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო, ზოგად და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატსა და რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესში არსებობს ხარვეზები. ეს საკანონმდებლო ჩარჩოსა და რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით სახელმწიფო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა. თუმცა, რელიგიური უმცირესობების მწვავე პრობლემები განპირობებულია არა ნორმატიული აქტებით, არამედ ამ აქტების დისკრიმინაციული აღსრულების წესით. ეს იკვეთება სხვადასხვა სფეროს საჯარო მოხელეების ქცევაში – მშენებლობის ნებართვების გაცემა, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მართლმსაჯულების აღსრულება რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებსა თუ საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეულ საკუთრებაზე, განსაკუთრებით, საკულტო ნაგებობებზე უფლებების აღდგენა.

მედიაში გამოქვეყნებული საჯარო განცხადებების მიმოხილვიდან ჩანს, რომ რელიგიასა და რელიგიურ ინსტანციებთან ამა თუ იმ სახით დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების კომენტირებისას, პოლიტიკოსები, სახელმწიფო და საჯარო მოხელეები, ზოგჯერ არ იცავენ რელიგიური ნეიტრალურობის პრინციპს და სიტუაციას აფასებენ მიკერძოებულად, პირადი რელიგიური პოზიციიდან ან მეინსტრიმული რელიგიური კონიუნქტურიდან გამომდინარე.

კვლევაში გამოიკვეთა, რომ საჯარო მოხელეები „უმრავლესობის დაკვეთით“ რელიგიური უმცირესობებისადმი ხშირად დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებენ. ეს რელიგიური გაერთიანებების უფლებების უხემ დარღვევასა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ პრეფერენ-

ციულ მოპყრობაში ვლინდება. შესაბამისად, რელიგიურ გაერთიანებებს არ ეძლევათ საშუალება საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანაბრად ისარგებლონ. აღნიშნული მდგომარეობა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს, და განსაკუთრებით პროკურატურასა და სასამართლოს გამოწვევის წინაშე აყენებს. ამ სტრუქტურებმა რელიგიური უმცირესობების ინტერესებზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გაამახვილონ საჯარო მოხელეთა და ყველა სხვა პირის შესაძლო რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივზე, მკაცრი კონტროლი გაუწიონ და ეფექტურად აღკვეთონ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი სამართალდარღვევები – განსაკუთრებით, აღნიშნული მოტივით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან გადამეტების ფაქტები. ეს აუცილებელი ნაბიჯია საქართველოს სეკულარული განვითარების, ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის თანასწორობის უზრუნველყოფის გზაზე.